



ისტორიული გეგმვის დროება

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2017 წ. იანვარი, №1(75), ფასი 3 ლარი

13 რუსეთის
უნივერ-
სიტეტის
ქართულ
სტუდენტთა
ყოფა-
ხსოვნება

4 «მე, მენი
იყავ და
ბანკოლირდი»

20 მიხეილ
თაყაიშვილი
— სკოლის
ჩემოგონები

22 აკაკი
ბატუნი —
ქართული
უნივერსიტეტის
უცხო ენათა
კათედრის
დამაარსებელი

25 გარეული
ენადალში

თეატრალური
მხატვარი
დიმიტრი
31 თავაძე

37 ივანე
ჯავახიშვილი:
დამბა II
თავდადებული

ნუთუ გარდაცემილი იუბილე იხედავ უნივერსიტეტის, როგორც უმთა რუსთაველის 850 წლის იუბილემ ჩაიბარა?

7



2017 წლის
4 დეკემბერს
ნიკოლოზ
გარდაცემილს
200 წელი
უსრულდება.
«იუნესკომ»
პოეტის
საიუბილეო
თარიღი —
დაგადგინდა
200 წლისთავი
2017 წლის
საერთაშორისო
მნიშვნელობის
კულტურული
მოვლენების
წესებში შეიტანა

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

28



ახმეტელის თეატრის სპექტაკლი „სტუმარ-მასპინძელი“

თანამედროვე ქართული
თეატრი გარდაცემულ
ფაზაშია. ის ერთდროულად
ცდილობს, შეინარჩუნოს
ტრადიცია (რადგან
ეაზიზება წარსულის)
და მორიდებით ილტვის
თანამედროვე ფორმებისა
და ექსპერიმენტებისაკენ



თბილისი საახალწლოდ



«მიღიან წელნი
და ჩვენ ისევ ისა
პირდაღებულნი ვართ,
ისევ ისა ხელსარიელნი,
როგორც ვყოფილვართ,
და ვიძახით:
სად წავიდეთ,
ვის შევჩივლოთ,
ვის ვუთხრათ,
ვინ განგვიღებს დახუჭულ
კარებს ბედისას?
...უბედურების კარის
დახურვას და უიგნიდან
ჩაკატას მაინც
ვღირსებოდით.
ეს რომ მაინც
ენათლოებიანა ქველს
წელიწადს, კიდევ
ღმერთს მაღლობას
ვეტყოდით».

ილია ჭავჭავაძე

სარჩევი

ილიას გაკვეთილები

■ «მეუ, მხნე იყავ და განკლიერდი»	4
■ ილიასეული სიბრძნე	6
საუბუნის ადამიანი	
■ ნეთუ ბარათაშვილის იუბილევ ისევე უღივლავოდ ჩაივლის, როგორც უოთა ჩუსთაშვილის 850 წლის იუბილევ ჩაიარა?	7
„სწავლის ძირი მწარე არის...“	
■ ჩუსთის უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტთა ყოფა-ხსოვრება	13
„თერგდალეულები“	
■ მიხეილ თაქთაქიშვილი – სკოლის რეფორმატორი	20
უნივერსიტეტის პირველი პროფესორები	
■ ერაკლე ტატიშვილი – ქართული უნივერსიტეტის უხსო ვნათა ქათედრის დამაარსებელი	22
მეგობრობა გზად და ხიდად	
■ სარგი ღურუშიძე: მარხული წინანდალში	25
თარიღი	
■ 14 იანვარი ქართული თეატრის დღეა	28
ხელოვნება	
■ თეატრალური მხატვარი დიმიტრი თავაძე	31
ჩვენი ისტორია	
■ ივანე ჯავახიშვილი: დამატკი II თავდადებული	37
ეს საინტერესოა	
■ ადამიანები უარყოფითი რეზუსფაქტორით განსაკუთრებული არიან	46
რელიგია	
■ «ვინც მეორად არ იშვას წყლისაგან, მან ვერ იხილოს ხათა სასუფეველი»	49

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი
„ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი ღარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

UDC (უპკ) 050 (479.22)
0-892

«მეუ, მხნე იყავ და განძლიერდი»

საახალწლოდ

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარია იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სწეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა.

„ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრულიო“, — უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში... იღვანე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახნიო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მაღლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით, რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგვიცვნიან. **წასვლა ძველისა თავისთავად გავრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლეელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მა-**

ინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეჩვეულ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუყვებით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია.

დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკვივნა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს — ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელ-



ცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩვილოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშვენი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგემა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკეტას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მაღლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვია, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბენვის ოდენაც-კი არა შეგვამტნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმ-

არს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩავგაგდო და ნამუსი და სინდისი თავისი უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისი თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რალა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რალაც იმედით ვებლაუჭებით, რალაც სიხარულით შევნატროთ. მეტი რა გზაა, წყალნალეული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხართ. ქრისტეს აქეთ სრული ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასტენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს ცალკე და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგეგებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას

ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რალას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, — რა ნითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალთ არა სჩანს, აბა ერთი გვიბრძანეთ, — რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკვინოს.

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰმობსო“, — ნათქვამია. და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვითანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „ნახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეთ ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვა და პირში ჩავგივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი — წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს,

ანდაზისა არ იყოს, — ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს. მაშ, რა მოუვა. ამას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა.

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატროლობით ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმალაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ველარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევიან, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ — აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ილია ჭავჭავაძე

ტფილისი, 31 დეკემბერი, 1898 წელი

მიღიან ღვინი, მიღიან წაღნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხალხარილნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდათ, ვის შევიწივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახუულ ქარაბს ბაღისას? ბაღის ქარის ბაღაბს ვინ სჩივის. ეს ის ქანვია ჩვენთვის, რომელსაც მშვიარი კატა ვერ შეხწვდა და თავი იმით ინუბაზა, რომ პარასკევიანო. ჩვენთვის ისიც ღიღი ბაღნიარაბა იქნაბოღა, რომ უბაღუარაბის ქარის დახურვას და შეგნიდან ჩაქაბას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალოებაინა კვალს წაღინადს, კიდეც ღვართს მაღლობას ვეზყოდით.

ილიასული სიბრძნე

* ადამიანი თუ მთელი ერი იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურს ჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს მისი შთამომავალი.

* ადამიანის უძვირფასესი საუზრე მისი ვინაობაა.

* ავი კაცი რამდენადაც მეცნიერია, დიდი სწავლული, იმოდენად უფრო ძლიერ საშიშია, უფრო ძლიერ მავნებელია.

* არამც თუ უსაბუთო ძაგება, უსაბუთო ქებაც კი საწყენია მართებულის კაცისათვის.

* ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახავ, ვერ ირწმუნებ, და ზოგი — იმისთანა, თუ არ ირწმუნებ, ვერ დაინახავ.

* მხოლოდ წარსულის ცოდნით დაუცავს ყოველს ერს თავისი ეროვნება, თავისი არსებობა, თავისი ვინაობა.

* ვინც კარგად ემსახურება სამშობლო ქვეყანას, იგი უდიდგვაროდაც დიდია.

* ანწყოს, რომელსაც წარსული არ აქვს, არც მომავალი აქვს.

* ქვეყანა ტაძარი კი არაა, საცა კაცი უნდა ღოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და მუშაობდეს!

* ბედს თვითონ კაცი ქმნის და არა ბედი — კაცსა.

* ქვეყანაზე რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა.

* სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსვემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევა-მოსილება. დიდი წამება იგივე დიდი გამარჯვებაა, რომელიც ნი-

ლად ჯვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

* „ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ — აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* დროზედ ნახმარი ფარიცა იგივე ხმალი არიო.

* ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული — გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, — ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, — ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?... რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.

* ჭეშმარიტ ღირსებას ყვირილი არ უნდა.

* დიდი სიბრძნეა კაცისა, ცნობა თავისი თავისა.

* იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოეხება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთ-

ვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდნიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნც გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის ნადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

* როცა ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტი-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალე ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო, უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო, მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხოვრებისა, აი გასაღები სამოთხისა!

* ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია.

* არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაინუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ღარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

* საქმისა თუ აზრის ავკარგია-ნობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამოადა ჰფქვავს მინდმოკიდებულ წისქვილსავით.

ნუთუ ბარათაშვილის იუბილეს ისავე უღიმღამოდ ჩაივლის, როგორც უოთა ჩუსთაშვილის 850 წლის იუბილემ ჩაიარა?

2017 წლის 4 დეკემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილს 200 წელი უსრულდება. „იუნესკომ“ პოეტის საიუბილეო თარიღი — დაბადებიდან 200 წლისთავი 2017 წლის საერთაშორისო მნიშვნელობის კულტურული მოვლენების ნუსხაში შეიტანა.

„გრძელი, თხუთმეტსაუკუნო-
ვანი გზა ქართული მწერლობისა
კავკასიონის მთის უწყვეტ გრე-
ხილს მოგვაგონებს. როგორც კა-
ვკასიონის მთას ამშვენებს მზით
გაბრწყინებული, მარადი თოვლი-
ით დაფარული მწვერვალები,
ისევე ქართულ მწერლობასაც
აქვს თავისი მიუწვდომელი სი-
მაღლეები. ამ მწვერვალთაგან
უმაღლესი რუსთაველია, რომ-
ლის მზიური ელვარება მსოფლი-
ოს ყველა კუთხემდის აღწევს. ამ
თვალშეუდგამ მწვერვალს მხარს
უმშვენებს შედარებით ნაკლები
სიმაღლის, მაგრამ თავისებური
ბრწყინვალეების მფენი მწვერვა-
ლების მთელი კრებული, რომელ-
თა არსებობა გარდუვალად გუ-
ლისხმობს და ამართლებს რუს-
თაველის მოვლენის ადგილსა და
აუცილებლობასაც. ბარათაშვი-
ლი ამ კრებულის ულამაზესი
მწვერვალია, რომელიც შორი-
დანვე გვიზიდავს თავისი შეუჩე-
რებელი ლტოლვით ცისუსაზღვ-
როებისაკენ და რომელიც იმი-
თაც გამოირჩევა, რომ მის ნათელ
შუბლს განუშორებლად ეხვევა
ჯანლი და საავდროდ მოჯარებუ-
ლი შავი ღრუბლების გროვა“
(გრიგოლ აბაშიძე, „წინაპრები და
თანამედროვენი“).

ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის
დროზე თარგმნეს ნობელის პრე-
მიის ლაურეატმა პოეტებმა, რო-
გორებიც იყვნენ ბორის პასტერ-
ნაკი, სალვადორე კვაზიმოდო და
რადიარდ კიპლინგი და არა მხო-

ლოდ მათ.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ფაქ-
ტობრივად, ერთადერთი ავტო-
რია, რომელმაც XIX საუკუნეში
ყველა კითხვას გასცა პასუხი, მი-
უხედავად იმისა, რომ მისი შემოქ-
მედება კინალამ დაიკარგა; მიუხე-
დავად იმისა, რომ მის შემოქმედე-
ბას დიდხანს ყურადღებას არ აქ-
ცევდნენ და, მიუხედავად იმისა,
რომ მან ლექსი „მერანი“ ბიძა-
მისს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს,
წერილში მისწერა, ბიძამისი კი ამ
ლექსით არ აღფრთოვანებულა
და განგაშის ზარი არ შემოუკრ-
ავს, — არიქა, ასეთი ლექსი არ და-
გვეკარგოსო. ნიკოლოზ ბარათაშ-
ვილის გაგებას დასჭირდა ილია
ჭავჭავაძის, ქართველი ხალხის მა-
მისა და შემოქმედის, გენია. მან
დაინახა იგი; გადმოსვენებასაც
თავად უხელმძღვანელა და გამო-
ცემასაც; ბარათაშვილის განდი-
დებაც მან ითავა, სხვები კი მხო-
ლოდ იმას მისტიროდნენ, რაც ბა-
რათაშვილის შემოქმედებიდან
ვერ გადარჩა (თითქოს რაც გა-
დარჩა, საკმარისი არ იყოს!).

ბარათაშვილის ლექსები ხელნა-
წერის სახით ვრცელდებოდა. კო-
რნელი კეკელიძის სახელობის ხე-
ლნაწერთა ინსტიტუტში დაცუ-
ლია ბარათაშვილის თხზულება-
თა რამდენიმე ავტოგრაფიული
კრებული. მისი ლექსები პირვე-
ლად 1852 და 1858 წლებში ჟურ-
ნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

მას ბედი არ ჰქონდა: ჯერ იმი-
ტომ, რომ უსამშობლოდ გარდა-



ნიკოლოზ ბარათაშვილი,
ლაღო გუდიაშვილის ნახატი

იცვალა და უცხო მიწაზე, საძმო
სასაფლაოში ჩაასვენეს; მერე იყო
და, გადმოსვენეს, მაგრამ მთან-
მინდაზე ვერ აღმოჩნდა, რადგან
ვერ „დაიმსახურა“ და დიდუბეში
დაკრძალეს; მერე, როგორც იქნა,
დიდუბიდან გადავასვენეთ მთან-
მინდაზე. ბარათაშვილი ადამია-
ნის სულის მარადიულ ტკივილებს
ისე მძაფრად შეეხო, ისე მწვავედ
აშალა ეს ტკივილები და ისე ღრმ-
ად განგვაცდევინა, რომ მათ ჩვენ
თითქმის ფიზიკურად ვგრძნობთ.

ჩვენ სულ ახლო მოგვესმის ბედ-
დანყევლილი ჭაბუკის გულისშემ-
ძვრელი კვნესა, დანალვლიანებუ-
ლი მივყვებით მისი მერნის ნაკვა-
ლევს, რათა ნუთით შევიდეთ იმ
სულის შემხუთველ სამყაროში,

რომელშიაც იგი ცხოვრობდა და ენამა, უფრო დიდხანს დავრჩეთ იმ უმშვენიერეს სამყაროში, რომელსაც იგი თავისი შემოქმედებით ქმნიდა და ერთხელ კიდევ მოწინებით ვემთხვიოთ მისი უკვდავი სულის ჭრილობებს.

მე-19 საუკუნის დასაწყისი საქართველოსთვის ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა. რუსეთთან შეერთება თითქმის ფიზიკურ განადგურებამდე მისულ საქართველოს მშვიდობიან ცხოვრებას უმკვიდრებდა. ირანისა და თურქეთის გამუდმებული შემოსევებით სისხლისაგან დაცლილი ქვეყანა ნელ-ნელა ნელში იმართებოდა. მაგრამ რუსეთის მმართველობის დამყარება უმტკივნეულოდ როდი ხდებოდა, იგი მათ გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ვინც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას, საქართველოს სამეფოს რუსეთის განაპირა პროვინციად გადაქცევას ვერ ურიგდებოდა.

ასეთ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს ქართველ პოეტს ნიკოლოზ ბარათაშვილს. იგი 1845 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა.

მცირე დროის განმავლობაში ბარათაშვილმა ცოტა მოასწრო: მისი პოეტური მემკვიდრეობა სულ ოცდაჩვიდმეტ ლექსსა და ერთ პოემას შეიცავს. **ოჯახური პირობები და საზოგადოებრივი ბარამოცვა პოეტს საშუალებას არ აძლევდა, თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები მუშაობის სამსახურისთვის მიეძღვნა. მაგრამ ის პატარა ნიგონი, რომელიც მან შთამომავლობას დაუტოვა, ქართული პოეზიის მშვენიერად დარჩა სამუდამოდ.**

ცხოვრებაში პოეტი უბედური იყო. არც ერთ მის ნატვრასა და ოცნებას, არც საზოგადოებრივსა და არც პირადს, განხორციელება არ ეწერა.

ფიზიკური ნაკლის გამო (ბარათაშვილი ყმანვილკაცობაში ცალი ფეხით დაკოჭლდა) იძულებული იყო, გამოთხოვებოდა მაშინდელი

ახალგაზრდობისათვის ყველაზე სანუკვარს — სამხედრო კარიერაზე ოცნებას. იმის გამო, რომ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას განიცდიდა მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის ერთადერთი მარჩენალი თვითონ იყო, პოეტმა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების განზრახვაზეც ხელი აიღო.

სიყვარულში უიღბლოსა და საზოგადოებაზე გულგატეხილ ჭაბუკს ცხოვრებამ ფრთები ადრე შეაკვეცა. პოეტი იძულებული იყო, კანცელარიის პატარა მოხელის ხვედრს შერიგებოდა.

მაგრამ არა! შინაგანი ხმა პოეტს ისევ და ისევ დიდი შემართებისავენ ეძახდა და მოუწოდებდა. მას სწამდა, რომ დაბადებული იყო წმინდისა და ამაღლებულის სამსახურისათვის, გრძნობდა, რომ მძლავრი ფრთები ჰქონდა და ყველაზე მაღლა ფრენა შეეძლო. მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ მძიმე ტვირთი ფრთების გაშლის საშუალებას არ მისცემდა და საოცნებო კამარას ვერასოდეს შეჰკრავდა.

გრიგოლ აბაშიძე ბარათაშვილის ლექსებისა და მცირერიცხოვანი პირადი წერილების მიხედვით, ცდილობს, აღადგინოს უაღრესად ტრაგიკული ისტორია ამ ადამიანის სულისა. იგი წერს:

„საზოგადოებაში გარეგნულად იგი უზრუნველსა და უდარდელ კაცს ჰგავდა: გამკილავი ენა ჰქონდა, ჭორი უყვარდა და დარდიმანდ ტოლებში დროსტარების სული და გული იყო.

ვაგლახ! ეს ყველაფერი მხოლოდ ნილაბი იყო, რომლის იქითაც პოეტის განწირულება და სასონარკვეთა იმალებოდა.

მაგრამ მგოსანს ქვეყნად ჰქონდა ერთი თავშესაფარი, სადაც მას თავისი სულის გადმოშლა და შინაგანი ხმის აყოლა შეეძლო. ეს თავშესაფარი პოეზია იყო. აქ იგი გარემომცველ ცრუ და გაუტანელ სამყაროს ეთიშებოდა და მასზე მაღლა დგებოდა — შთაგონების მძლავრი ფრთები მას იტაცებდნენ და მიაფრენდნენ ოცნების, სიყვარულისა და ადამიანური სიკეთის უმშვენიერეს სამყაროში. იგი ბუ-

ნებას უბრუნდებოდა და უერთდებოდა, როგორც მთელს ერთვის ოდესლაც მისგანვე მოწყვეტილი ნაწილი. ბუნება თავის მხრივ ღებულობდა მას, რადგანაც პოეტის რწმენით ბუნებასაც აქვს საიდუმლო ენა, რომელიც კაცთაგან მხოლოდ წმინდა, ამაღლებული სულის პატრონებს ესმით.

პოეტს, თავისი თანამედროვე დასავლეთის რომანტიკოსების მსგავსად, განმარტოვებული სასაფლაოს იდუმალი მყუდროება იტაცებს, სადაც ქარის კენესა და ფოთლის შრიალი მას ბუნებისა და ადამიანის შესატყვისობასა და განწყობილებათა შესაბამისობაზე ესაუბრებიან.

იგი მიიღტვის რომანტიკული ლურჯი ფერისაკენ, ცის ფერისაკენ, რომელიც სიყრმიდანვე პოეტისათვის არაამქვეყნიური საწყისის, მიუწვდომელი სიმაღლისა და სილამაზის სიმბოლო იყო და რომელთანაც შედნობა და შეერთება თავისი სანეტარო ოცნებად აქვს დასახული. **ბარათაშვილი ცის იქით, „ზენაართ სამყოფში“ ეძებს თავისი მწუხარე სულის სადგურს, რათა ამქვეყნიურ ამაოებას გაშორდეს, მაგრამ იგი გრძნობს, რომ მისი ეს სურვილი განუხორციელებელია, რადგან ის შორეული სამყარო მიუწვდომელია „გლახ მოკვდავთათვის“.** ბარათაშვილი თავის ლირიკულ შედევრებში („ხმა იდუმალი“, „ჩემი ლოცვა“, „სულო ბოროტო“, „ვუპოვე ტაძარი“ და სხვა) უხილავის ხილვას, იდუმალისა და უწვდომელის წვდომას რელიგიური სასოებითა და განცდის გულწრფელობით აღწევს.

პოეტის ბევრი ლექსი არა მარტო ჩუმი და მდელვარე ეგზალტაციით გვაგონებს ძველ რელიგიურ ჰიმნებსა და ბიბლიურ საგალობლებს, არამედ ინტონაციურადაც, პოეტური მეტყველების არქაული ინვენტარიტაც ხაზს უსვამს იმას, რომ ზოგი მათგანი სწორედ ლოცვად, ღვთაებასთან განმარტოვებით სათქმელ აღსარებადაა შექმნილი.

ტრფიალება, სიყვარული ბარათაშვილისა ასეთივე წმინდაა და

ამაღლებული.

მისი ტრფობის მისამართთაგან ჩვენთვის მხოლოდ ერთი — პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის უმშვენიერესი ასულია ცნობილი. ეკატერინე ჭავჭავაძის მიუძღვნა ბარათაშვილმა თავისი საუკეთესო ლექსები.

უზრუნველ თავადებთან და ბრწყინვალე ოფიცრებთან შეჯიბრებაში ღარიბი პოეტი და უსახელო მოხელე წინასწარ განწირული იყო. ფუფუნებას შეჩვეული პატივმოყვარე მუზა პოეტისა უფრო მეტი დიდებისა და მაღალი მდგომარეობისაკენ ისწრაფვოდა.

პოეტსა და მის სატრფოს შორის მანძილი განუსაზღვრელად დიდი იყო. ბარათაშვილს ისღა დარჩენოდა, ეოცნება და აუსრულებელი ნატვრის ასრულება თავის ლექსებში მაინც რეალურად, ხელშესახებად წარმოედგინა.

უმშვენიერეს ლექსებში პოეტი მომხიბვლელად გადმოგვცემს თავისი უსაზღვროდ შეყვარებული გულის უჩვეულო ფეთქვასა და დატყვევებული სულის უნატიფეს მოძრაობას. მგოსანს ალონებს ოცნების განუხორციელებლობის შეგნება, მაგრამ იგი არ გაურბის სატანჯველს და სიყვარულის სამსხვერპლოზე საამო ნამებით სიკვდილს გართულებული, მაგრამ იშვიათად ლამაზი მეტაფორით გადმოგვცემს:

**შევიშრობ ცრემლსა ჭირთ
მანელებელს,
გულსა დავინვაგ
დასანაცრებელს
და მისსა ფერფლსა,
ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს,
ჩემსა სალოცველს!**

ბარათაშვილის ლირიკაში ყველაზე საინტერესოა ადამიანის დანიშნულებისა და ცხოვრების აზრზე პოეტის ფილოსოფიური დაკვირვება, მისი პოეტური მედიტაციები დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე თავისი სიღრმით, განწირულების დრამატული განცდით და მასთან ერთად მაღალი მოქალაქეობრიობის აუცილებელი ხაზგასმით. პოეტს ბავშვობიდან განუყრელად თან სდევს



მანანა ორბელიანის სალონი, ნ. ბარათაშვილი კითხულობს პოემას „გაღი ქართლისა“, მხატვარი რ. სტურუა

ნაღვლის ამშლელი იდუმალი ხმა. მას თავი ვერ დაუღწევია ბოროტი სულის დევნისაგან და წყევლით მიმართავს გონების მომწამვლელ, სიცოცხლის აღმამფოთარ ავბედით თანამგზავრს. ბარათაშვილს გულწრფელად სურს, გაერკვეს ცხოვრების აზრში, მაგრამ უმაღლე გული უტყდება და იმედგაცრუებული აღიარებს:

**არ ვიცი ამ დროს
ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება,
რად იყო ფუჭი და
მხოლოდღა ამაოება?..**

პოეტმა იცის, ადამიანის ყოფა მხოლოდ აღუესებელი სანყაულია და რომ ამქვეყნად თავისი ბედით კმაყოფილი არავინ არის. კეთილ მეფეს ერთი წუთით არ ტოვებს ზრუნვა ხალხის პატრონობისა, ხოლო ბოროტ დამპყრობელს — იმის ფიქრი, რომ კიდევ უფრო გააფართოოს თავისი სამფლობელოს საზღვრები.

**მაგრამ თუ ერთხელ სოფელს
უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვინა თქვას მათი საქმე,
ვინ სადღა იყოს?..**

სინანულით ამბობს პოეტი, მაგრამ ამ დასკვნას იგი ცხოვრების აზრის ეგზისტენციალისტურ უარყოფამდე როდი მიჰყავს. პირიქით, იგი ცხოვრებას ღებულ-ობს იმ სახით, როგორიც ის არის და ადამიანის არსებობის აზრს

**შრომასა და ბრძოლაში ხედავს:
მაგრამ რადგანაც კაცნი
გვექიან, შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივსდით მას,
გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ
ცოცხალი მკვდარსა
ემსგავსოს,**

**იყოს სოფელში და
სოფლისთვის არა იზრუნოს!**
ჭეშმარიტი ხელოვნება მუდამ ადამიანის სიღიადესა და გამარჯვებას ღალადებს, იგი ჩაგვაგონებს ბრძოლის მოთხოვნილებას და მოქმედებისაკენ გვეძახის.

**ბარათაშვილი აშიშვლებს
და კარგად ხედავს წუთისოფ-
ლის ამაოებას, მაგრამ არსად
და არასოდეს გამოსაპალს
სიკვდილში არ ეძებს. არა სი-
ცოცხლეზე ხელის აღება,
არამედ ბრძოლა და მოძმედე-
ბა არის ბარათაშვილისათ-
ვის ერთადერთი გამართლე-
ბა არსებობისა. პოეტი არსად
გულუბრწყვილოდ თავს არ იტყუ-
ებს. იგი თითქმის ფიზიოლოგიურად
განიცდის საკუთარ განწირუ-
ლებასა და ცხოვრებაში სრულ
უპერსპექტივობას, მაგრამ არამ-
ცდარამც თავის მწარე ხვედრთან
შერიგება არ სურს. იგი უნაპირო
უსასრულობისაკენ ისწრაფვის,
რათა ბედის მორჩილებისაგან გა-
ითავისუფლოს თავი. ბედისაგან**

ეს ლტოლვა სიცოცხლეზე ხელის აღებასავით საბედისწეროა და უკომპრომისო.

პოეტის სულის ეს განწირული ძახილი ჩვენ გულის სიღრმეებში შემძვრელად მოგვესმის მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის საუკეთესო ქმნილებაში, ბარათაშვილის შემოქმედების მწვერვალში — „მერანში“.

უკანმოუხედავად, გატყორცნილი ისარივით მიჰქრის მერანი ქარსა და ავდარში, სიცხესა და უდაბნოში. ეს ქროლვა მთის ადიდებული მდინარის აბობოქრებულ გიჟურ წყვეტებას ჰგავს, სადაც ყველაფერი — წყალიც, ქვაც და ღორღიც ერთ სხეულადაა შეკრული და ერთ ნებას — გახელებულ, შეუკავებელ დენას ემორჩილება.

ამ თავდავიწყებულ ქროლვას ერთი შეხედვით თითქოს არც ბოლო აქვს, არც აზრი და მისამართი. პოეტს არ აშინებს, რომ იგი თავის მამულში არ დაიმარხება, რომ ნათესავების გლოვის ნაცვლად სვავები ივალალებენ და ტივალ მინდორზე შავი ყორანი გაუთხრის საფლავს.

მაგრამ არა! ამ თავგანწირვას აზრიც ჰქონია და მიზანიც:

მხოლოდ ვარსკვლავთა

თანამავალთა

ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

გვიმხელს პოეტი თავის სურვილს და ჩვენ გვაოცებს შემართება და ოცნების სითამამე ცხოვრების უკუღმართობისაგან ფრთებდალენილი პოეტისა, რომელიც მინაზე დაკრული ახერხებდა ვარსკვლავებისათვის საიდუმლოს განდობაზე ფიქრსა და ხილული სამყაროს მიღმა ხედვას.

შეუცნობელში, უსასრულობაში მიმქროლავი პოეტი კიდევ უფრო გარკვევით გამოთქვამს ამ უნაპირობაში გაჭრისა და უსაზღვროებისაკენ სწრაფვის აზრსა და მიზანს:

**გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო,
გარდამატარე
ბედის სამძლვარი,**

**თუ აქამომდე არ ემონა მას,
არც ან ემონოს შენი მხედარი!..**

პოეტს ერთი მიზანი ამოქმედებს, როგორმე გადალახოს ბედის მიერ მისთვის დადებული ზღვარი. ამ მიზნის მისაღწევად მართლაც ღირს ყველაფრის განწირვა და დათმობა, რადგან ზღვარს იქით უსაზღვროება... თავისუფლება იწყება. პოეტი გამუდმებით ერთსა და იმავეს ჩასძახის თავის თანყვესტილ მერანს:

**გასწი, მერანო, შენს ჭენებას
არ აქვს სამძლვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი,
შავად მღელვარი!**

როცა ადამიანი წინასწარ ურიგდება დალუპვას, ძნელია, იფიქრო მომავალზე და მით უფრო სხვების მომავალზე.

მაგრამ ბარათაშვილისათვის სწორედ მოქალაქეობრივი ვალის ეს განუყრელი გრძნობაა დამახასიათებელი. „მერანის“ უკანასკნელი სტრიქონები სწორედ ადამიანის საბოლოო გამარჯვების ჰიმნია, ქვეყნის დალუპვის ჟამს ნათქვამი უმაღლესი ოპტიმიზმით გამსჭვალული ჰიმნი:

**ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირულის
სულის კვეთება,**

**და გზა უვალი,
შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.**

**და ჩემს შემდგომად მოძმესა
ჩემსა სიძნელე
გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
შავის ბედის წინ
გამოუქროლდეს!**

ეს არის ადამიანებისადმი უდიდესი სიყვარულის გამოხატვა, მოქალაქეობრივი ვალის ვაჟკაცური შეგნება, წინასწარმეტყველური ენთუზიაზმი და ადამიანის სიდიადის განცდა. „მერანის“ ამ კულმინაციურ სტროფში პოეტი ღოზუნგად აყალიბებს ადამიანის არსებობის, მისი საუკეთესო მისწრაფებების, ოცნებისა და გატაცების აზრს:

**ადამიანი არ არის თავისი ბედის
მონა. იგი თავის ხვედრს ბრმად არ
ემორჩილება და თუმცა უვალი
გზის გაკვალვისას, ბედის საზღვრის
გადალახვისას იგი, შესაძლოა,
დაიღუპოს, მისი ცხოვრების
უმაღლესი მიზანი მიღწეული იქნება:
მისი დალუპვა გზის სიძნელეს
გაუადვილებს მას, ვინც მის
შემდგომ დაადგება ამ გზას.**

ძნელია დასახელება მეორე ლექსისა, რომელიც დაწერილი იყოს პოეტური ენერგიის ასეთი მოზღვავეებით, რომელშიაც განწირულებისა და სასოწარკვეთის შეგნება ასე ორგანულად იყო შერწყმული დაუმორჩილებლობისა და თავდავიწყების განცდასთან.

„მერანს“ ადარებდნენ ბაირონის „ჩაილდ ჰაროლდის“ ცალკე თავებს, მიცკევიჩის „ფარისს“, რემბოს „მთვრალ ხომალდს“ და ედგარ პოს „ყორანსაც“ კი.

ბაირონი მე-19 საუკუნის დასაწყისის ევროპის ყველა პოეტის კერპი იყო და მისი მოტივების გამოძახილი ბევრი დიდი პოეტის შემოქმედებაში გვხვდება.

ბარათაშვილი ბავშვობიდან, სკოლის სკამიდანვე კარგად იცნობდა მიცკევიჩის შემოქმედებას და, თუმცა „მერანი“ გარეგნული ნიშნებით, შორეულად მართლაც მოგვაგონებს „ფარისს“, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მემამბოხე სული პოლონეთის დიდი პოეტისა შინაგანად უთუოდ ენათესავებოდა ქართველი მგოსნის უდრეკ სულს.

**ბარათაშვილი აუიშვლავს და კარგად
სედავს წუთისოფლის ამაოებას,
მაგრამ არსად და არასოდეს გამოსავალს
სიკვდილში არ ეძებს. არა სისოცხლეზე
ხელის აღება, არამედ ბრძოლა
და მოქმედება არის ბარათაშვილისათვის
ერთადერთი გამართლება არსებობისა.**

რემბოს „მთვრალ ხომალდთან“ აქვს ზოგი რამ საერთო სადგენიშებელი მერნის ქროლვას. სადღაც ედგარ პოს „ყორანიც“ ეხმიანება ბარათაშვილის თვალბედით შავ ყორანს, რომელიც ბედისნერის აჩრდილივით მიაცილებს უსაზღვროებისაკენ მიმქროლავი „მერნის“ ლირიკულ გმირს.

მაგრამ ყველა ეს პარალელი გარეგნულია და მეტად შორეული. „მერანს“ აქვს თავისი უახლოესი პარალელი რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“. „მერანის“ ცალკე სტრიქონები არა მარტო ეხმაურება „ავთანდილის ანდერძის“ შესატყვის სტრიქონებს, არამედ ზოგჯერ თითქმის მათ პერიფრაზადაც გვეჩვენება. ეს პარალელური სტრიქონები არა მარტო გარეგნულად გვაგონებენ ერთმეორეს, ისინი ერთმანეთს ჰგვანან აზრითა და ღრმა დაფიქრების შედეგად მიღებული დასკვნების ერთიდაიგივეობით.

ბარათაშვილის შემოქმედებაში პირადი და საზოგადოებრივი მჭიდროდაა ერთმანეთში გადახლართული. როგორც მოსალოდნელი იყო, სამშობლოს ბედზე, მის ანმყოფსა და მომავალზე ფიქრს ბარათაშვილის შემოქმედებაში ძალიან დიდი ადგილი უჭირავს! **იგი, როგორც ყველა ჭეშმარიტი შვილი თავისი დროისა, თავისი შემოქმედების ცენტრში აყენებს დროის მიერ ნამოჭრილ კითხვებს. მისი პატრიოტული ლირიკა და პოემა „ბედი ქართლისა“ ამ კითხვაზე გაცემული პასუხია და საუკუნის შვილის, მოწინავე ადამიანის განწყობილების ღრმა ანაბეჭდს ატარებს.**

საქართველოს რუსეთთან შეერთება, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და ქვეყნის განვითარების ახალი პერსპექტივა ღრმად აღელვებდნენ პოეტს და იგი არაერთხელ უბრუნდება ამ თემას.

ამ პოემაში ერთხელ კიდევ დგება ტრაგიკული პრობლემა პატარა ერისა: განაგრძოს რიცხოვნობა ჭარბ მტერთან უთანასწორო ბრძოლა და ამით სასწოროზე შეაგ-



ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონში

დოს თავისი არსებობა, თუ უარი თქვას საკუთარ თავისუფლებაზე, დაემორჩილოს უძლიერესს და ამით შეინარჩუნოს არსებობა. სოლომონ მსაჯულის დიალოგში თავის მეუღლესთან, აგრეთვე, ერეკლე მეფესთან, ხელახლა ცოცხლდება ძველი კოლხეთის ტყეში შეფარებულ პატრიოტთა კრებაზე გამართული კამათი, აიეტისა და ფარტაძის დისკუსია ორი უკიდურესობისაგან შედარებით უკეთესის არჩევის თაობაზე; კამათი, რომელიც თოთხმეტი საუკუნის შემდეგ არაერთხელ განახლებულა ქართველთა მოდგმის მრავალი თაობის ცხოვრებაში. ამ პოემაში დიდი პოეტური მღელვარებით, მაგრამ მემატინის ობიექტურობითაა დახატული მე-18 საუკუნის მიწურულის საქართველოს ტრაგიკული სურათი, ქვეყნის მოწინავე ადამიანთა გულწრფელი ზრუნვა ერის უკეთესი მომავლისთვის და ის საბედისწერო ჩიხი, რომელშიც საქართველო იმ დროისათვის მოექცა. პოემას შევყავართ ისტორიის ტალღების ბოქარ დენაში და ამ დინების მონაწილედ გვხვდის.

„ბედი ქართლისა“ არის შესანიშნავი რეალისტური პოემა. იგი

ფორმის მხრივაც ახალია ქართულ ლიტერატურაში და არა მარტო პრობლემების დასმის სიღრმით, შესრულების ორიგინალურობითა და მაღალმხატვრულობითაც, საეტაპო ნაწარმოებს წარმოადგენს მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში.

„ბედი ქართლისა“ გავლენა იგრძნობა ილიასა და აკაკის პატრიოტულ პოეზიაში და ერთგვარად ლანდივით გასდევს ახალ ქართულ პოეზიას.

ბარათაშვილს სიკვდილამდე აწვალეს ქართლის ბედი.

ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ბარათაშვილი კვლავ უბრუნდება იმავე კითხვების წრეს, ერთგვარად აჯამებს ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგებს და მიდის საბოლოოდ გამართლებამდე იმ ისტორიული აქტისა, რომელიც ერეკლე მეორემ განახორციელა საქართველოს რუსეთთან დაკავშირებით. ამ ბრძნულ გადაწყვეტილებაში პოეტი ხედავს საძარტველოს ნორმალური განვითარების გარანტიას, განათლებასა და მოწინავე კულტურასთან დაკავშირების კეთილნამოფიერებას.

ლექსში შემთხვევით როდია ხაზგასმული ის გარემოება, რომ რუსეთიდან საქართველოში განათლების ძვირფასი თესლი ვრცელდება.

დიდია ბარათაშვილის როლი ქართული პოეზიის განვითარებაში, იგი იყო ქართული პოეზიის ევროპეიზაციის მედროშე და ამავე დროს მყარად იდგა ეროვნული პოეზიის ნიადაგზე. პოეტი ეხმარება დასავლეთის პოეზიაში აღძრულ პრობლემებს და ამავე დროს თავისი პოეზიის ნყაროებს კლასიკური ქართული პოეზიის, მდიდარი ქართული ჰაგიოგრაფიის, ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში უდებდა სათავეს.

ბარათაშვილი, გურამიშვილის შემდეგ და მისგან დამოუკიდებლად, იყო პირველი ქართველი პოეტი, რომელმაც დასძლია იმ დროის ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული აღმოსავლეთის პოეზიის გავლენა.

ბარათაშვილმა აღადგინა პირდაპირი ხაზი რუსთაველიდან, რომელიც საქართველოს პოლიტიკური და კულტურული დაცემის შედეგად იყო განწყვეტილი.

თუ რუსთაველის პოეზია თავისი სრულმნიშვნელობით, უნაპირობოთა და მზიური სიმშვიდით ოკიანეს გვაგონებს, ბარათაშვილი მთის გამჭვირვალე მდინარესა ჰგავს, რომელსაც უბნელისი ღრმა მორავები აჟვს და ისეთი საშინელი ადიდება იცის, რომლის დაოკებაც მხოლოდ გიჟურ ქროლვას, არყოვნის ზღვასთან შეერთებას შეუძლია.

ბარათაშვილის პოეზია დაუამებელი ტკივილების, ადამიანის სულის განუკურნებელი ტკივილების პოეზიაა და, როგორც ადამიანი ვერ იცოცხლებს ტკივილის გრძნობის განუცდელად, ისე ქართული პოეზიაც წარმოუდგენელი იქნება იმ შავი ფიქრებისა და სასოწარმკვეთი ტკივილების გარეშე, რომლითაც ბარათაშვილმა აავსო ჩვენი სული, სამყაროსთან ჩვენი დამოკიდებულების განცდა.

ბარათაშვილი არის ადამიანის



სოფიო, ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები

სულიერი ამაღლების მომღერალი პოეტი. მისი ჰუმანიზმი ფართოა და აქტიური. იგი ადიდებდა ხალხთა მეგობრობასა და ძმობას და, პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმ სასტიკ დროში აღვიძებდა კეთილშობილ გრძნობებს“.

ბარათაშვილი მთელი არსებით ებრძოდა თავისი დროის უსამართლობას, და, მიუხედავად იმისა, რომ თავის უღონობას ტრაგიკულად განიცდიდა, მაინც მტკიცედ სწამდა ადამიანის ძლევამოსილება, კეთილი საწყისის საბოლოო გამარჯვების ზეიმი.

ამ ზეიმს წინასწარმეტყველურად სჭერებდა იგი ძნელი დროის შავი ღრუბლების მიღმა და, დასტიროდა რა სულის ობლობასა და უნუგეშობას, სჯეროდა, რომ მის შემდგომ თაობებს თავისი მსხვერპლით გზის სიძნელეს უადვილებდა.

მის პოეზიაში გასაოცრად არის შეხამებული სასოწარკვეთა და დასაღუპავად განწირული, გაუტეხელი ვაჟკაცის ოპტიმიზმი“.

ბარათაშვილის პოეზია ის პოეზიაა, რომელიც არასოდეს გახდება მარტოდენ ისტორიის საკუთრება. იგი დღემდე იყო პოეტის მომდევნო ყველა თაობის თანამგზავრი და მომავალი თაობების-

ათვისაც ასეთივე ახლობელი დარჩება. ბარათაშვილის შემოქმედებას წაიკითხავენ XXI, XXII, XXIII საუკუნეებშიც. ბარათაშვილი არის ჩვენი გამოცანაც, ბედისწერაც და უბედურებაც.

2017 წლის 4 დეკემბერს ნიკოლოზ ბარათაშვილს დაბადებიდან 200 წელი უსრულდება. ნუ-თუ ბარათაშვილის იუბილეც ისევე უღიმღამოდ ჩაივლის, რომორც შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილე ჩაიარა? კარგი იქნება, სახელმწიფომ თანხა გამოეყო ნიკოლოზ ბარათაშვილის მუზეუმისთვის, მომზადდეს მასალა, შეიქმნას ფილმი, დაიდგას სპექტაკლები, გამოქვეყნდეს ყველაფერი, რაც კი გვაქვს, იმიტომ, რომ ასეთი ადამიანები საუკუნეში ერთხელ იბადებიან.

ყური მივუგდოთ ისევ გრიგოლ აბაშიძეს:

„ბარათაშვილის სასოწარკვეთილი სულის კივილი ვერ ეტევა რომელიმე ეპოქის საზღვრებში, იგი ყველა დროში პოულობს გამოხმაურებას და მისი მერნის ფლოქვენისაგან დაკვესებული ცეცხლის ნაპერწკლები დიდხანს, კიდევ დიდხანს გაუნათებს გზას ახლის მაძიებელ ბევრ მოგზაურს“.

დარეჯან ანდრიაკი

რუსეთის უნივერსიტეტების ქართულ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრება

„ჩვენმა ახალგაზრდობამ, საჭიროა, იცოდეს, როგორ პირობებში უზღებოდათ უმაღლესი ცოდნის მიღება მის წინა თაობებს, როგორი დუხჭირი ცხოვრება ჰქონდათ მათ და, მიუხედავად ამისა, რა თავდადებული იყვნენ ისინი სწავლა-განათლებისთვის. ჩვენმა ახალგაზრდობამ, გვინდა, ისიც დაინახოს, მისი წინაპრები, ზედმიწევნით მძიმე ყოფა-ცხოვრების პირობებში როგორ უთავსებდნენ ერთმანეთს სწავლასა და საქართველოსათვის, ქართველი და სხვა ხალხის მეგობრობისათვის სასარგებლო, საზოგადო საქმიანობას. ახალგაზრდობამ, საჭიროა, იცოდეს, როგორ პირობებშია შექმნილი ის ტრადიციები, რომელთა გამგრძელებლებაც ისინი ითვლებიან დღეს და მათი ვალია, შეინახონ, განავითარონ ყოველივე საუკეთესო, რაც შექმნილია წინა თაობების მიერ“ (ირ. ტატიშვილი, თ. დეკანოზიძე, „მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა“, თბ., 1960 წ.). ამ მოსაზრებას ჩვენც ვიზიარებთ და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის გარიჟრაჟზე რუსეთის უნივერსიტეტების ქართველ სტუდენტთა ყოფაცხოვრებაზე XXI საუკუნის ქართველ ახალგაზრდებსაც მოვუთხროთ — რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, მიზნისთვის რომ მიეღწიათ. ოღონდ განათლება მიეღოთ, მზად იყვნენ, რადაც უნდა დასჯდომოდან, შეგუებოდნენ ყოველგვარ გაჭირვებას.

მოსკოვში, ისევე, როგორც სხვა რომელიმე ქალაქში, სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდები, რასაკვირველია, პირველ რიგში, ბინის ძებნას იწყებდნენ. მართალია, უმაღლეს სასწავლებლებს ჰქონდა საერთო საცხოვრებლები, მაგრამ იქ მოხვედრა ჩამოსულთათვის საერთოდ და მით უმეტეს უცხო მხრიდან ჩამოსულთათვის მეტად ძნელი იყო.

მოსკოვის უნივერსიტეტის განკარგულებაში იყო სამი ფასიანი საერთო საცხოვრებელი, ანუ, როგორც უწოდებდნენ, თავშესაფარი. ორი მდებარეობდა გრუზინების რაიონში, ერთი კი — ნოვოდევიჩის მონასტერთან ახლოს, კლინიკების რაიონში. გრუზინების რაიონში არსებულ თავშესაფარში ცხოვრობდნენ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები, კლინიკების რაიონის საერთო საცხოვრებელში კი — სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები. საერ-

თო საცხოვრებლები საკმაოდ კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ სადგომთა რაოდენობა მცირე იყო და სწორედ ამის გამო სტუდენტებს იქ მოხვედრა მეტისმეტად უჭირდათ. მაგალითად, „გრუზინების რაიონში არსებულ საერთო საცხოვრებელში 5 წლის განმავლობაში, — წერს მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი **სანდრო წერეთელი**, — მოეწყო მხოლოდ ერთი ქართველი სტუდენტი ფილოლოგიური ფაკულტეტისა — ალექსანდრე კვიტაიშვილი“.

ა. კვიტაიშვილი გვიამბობს, რომ საერთო საცხოვრებელში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, კარგი პირობები იყო შექმნილი მეცადინეობისა და მშვიდი ცხოვრებისათვის. აქ მოწყობილი იყო სამკითხველოები, სასტუმრო დარბაზი, სასადილო, რომელსაც საჭიროების დროს იყენებდნენ სააქტო დარბაზად, სპორტული დარბაზი და სხვ.

ერთი სიტყვით, ნორმალური სტუდენტური ცხოვრებისათვის იმ დროის კვალობაზე ეს ბინა საუცხოო იყო.

„ასევე კარგად იყო მოწყობილი, — გვიამბობს მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გრიგოლ გაგუა, — კლინიკების რაიონში არსებული საერთო საცხოვრებელი, რომელშიც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: თვით გრიგოლ გაგუა, მიხეილ დავითაშვილი, ივანე დემურია, მიხეილ ზანდუკელი, ბაგრატ იოსელიანი, ალექსანდრე კანდელაკი, დიმიტრი კახნიაშვილი, გრიგოლ კუჭაიძე, გიორგი ნაზარიშვილი, იოსებ სიმონიშვილი, სიმონ ქიქოძე, მიხეილ ცხაკაია და სხვ.“.

ამ საერთო საცხოვრებელში გატარებულ დღეებს სიამოვნებით იგონებს **სიმონ ქიქოძე** (ცნობილი პედაგოგი დეკანოზი **სიმონ ქიქოძე**, გამოჩენილი ქართველი მოლვანის წმიდა გაბრიელი ეპისკოპოსის ძმა). „კარგი მოგონება დამრჩა საერთო საცხოვრებელზე კლინიკურ ქალაქში, — წერს ის, — პირობები სწავლისათვის საკმაოდ დამაკმაყოფილებელი გვქონდა. უზრუნველყოფილი ვიყავით ნიგნებითა და სხვა სასწავლო ინვენტარით. ეს იცოდნენ ჩვენმა ამხანაგებმა და ამიტომ მათი უმრავლესობა ჩვენს ბედს შენატროდა“.

გარდა ზემოთ დასახელებული საერთო საცხოვრებლებისა, მოსკოვში არსებობდა კიდევ ე.წ. **ღარიბ სტუდენტთა თავშესაფარი**, რომელიც ვაჭარმა ლიაპინმა 1871 წელს ააშენა. ლიაპინის დატოვებული სახსრებით მან თითქმის ცხრაასიანი წლების ბოლომდე იარსება. ლიაპინის სიცოცხლის დროს ეს სახლი ითვლებოდა სტუდენტთა საუკეთესო საერთო სა-

ცხოვრებლად, მაგრამ მასში მოხვედრა მუდამ ძნელი იყო მისი გადატვირთვის გამო. 1872 წელს „დროებაში“ გამოქვეყნებული იყო საინტერესო წერილი ლიაპინის სახლის შესახებ:

„შარშან ვაცნობეთ ჩვენ მკითხველებს, რომ ერთმა მდიდარმა ვაჭარმა უფ. ლიაპინმა ააშენა სახლი მოსკოვში ღარიბი სტუდენტებისათვის“. როგორც ამ წერილიდან ჩანს, სტუდენტთა ეს სამსართულიანი სახლი 30 ოთახს შეიცავდა. კარგად მოწყობილ ოთახებში იდგა სტუდენტთათვის საჭირო ყველა ნივთი. ბიბლიოთეკისათვის ცალკე ოთახი იყო გამოყოფილი, რომელშიც სტუდენტებს შეეძლოთ უფასოდ გასცნობოდნენ გაზეთებს, ჟურნალებს, სასწავლო და საკითხავ ნივთებს. თავშესაფარს ჰქონდა სასაუზმოდ. საჭმელი სტუდენტებს აქ იაფ ფასებში ეძლეოდათ. „ამ სახლში ამჟამად, — წერს გაზეთი, — 100 ღარიბი სტუდენტი დგას. ვისაც ამ სახლში დადგომა სურს, თავის უნივერსიტეტის ინსპექტორებს უნდა განუცხადოს ეს სურვილი და, თუ ადგილი არის, მიიღებენ. ამბობენ, რომ სტუდენტები ძალიან კმაყოფილნი და მადლიერნი არიან უფ. ლიაპინის და არაფერ შევიწროებას არ გრძნობენ ამ სახლში დგომით. იქ მდგმურებმა მხოლოდ სამი პირობა უნდა აასრულონ: მომეტებული ღვინო არა სვან, ქაღალდი არ ითამაშონ და ქალები არ შემოიყვანონ თავიანთ ოთახში. ეს ისეთი პირობებია, რომლის ასრულება ღარიბი სტუდენ-

ტებისათვის, რასაკვირველია, დიდ სიძნელეს არ შეადგენს და, ამიტომ, ისინი სიამოვნებით დგებიან ამ სახლში, თუკი თავისუფალი ოთახი იშოვებს“. ლიაპინის სახლში მოხვედრა ვერც ერთმა ქართველმა სტუდენტმა ვერ შესძლო, მიუხედავად ზოგიერთი მათგანის დიდი სიღარიბისა.

როგორც აღვნიშნეთ, საერთო საცხოვრებელში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო, ამიტომ მოსკოვში ჩამოსული სტუდენტობა თავიდანვე კერძო ბინის ძებნას იწყებდა. ბინის ძებნაში ახლად ჩამოსულ სტუდენტს ყველა დამხვედური უწევდა დახმარებას, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი **სილოვან გაბუნია**, რომელიც თითქმის 10 წელი ცხოვრობდა მოსკოვში და ყოველთვის ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოეჩინა საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის. ის კარგად იცნობდა ქალაქს, ამიტომ წლების მანძილზე ახლადჩამოსულთა სულისჩამდგმელი და გზის მაჩვენებელი იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერძო ბინის შოვნას ქართველი სტუდენტები ადვილად ახერხებდნენ, რადგან მოსახლეობა სიამოვნებით იღებდა მდგმურად ქართველ ახალგაზრდებს.

ქართველ სტუდენტებს ბინის შოვნის საქმეში თვით უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლებიც ეხმარებოდნენ. ხშირად, შედარებით შეძლებულ, ადგილობრივ მცხოვ-

რებ სტუდენტებს თავისთან საცხოვრებლად მიჰყავდათ ქართველი ამხანაგები, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქართველ სტუდენტებს საცხოვრებლად ბინას თავაზობდნენ თვით უნივერსიტეტის პროფესორები, რასაკვირველია, უფასოდ.

ასეთი გზით მოხვდნენ ქართველი სტუდენტები პოეტ ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახშიც.

„ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, — წერს თავის მოგონებებში **ვასილ კანდელაკი**, — რომ მე, ქუთაისელი კაცი, მოსკოვში, 1904—96 წლებში, ქუთაისელები-სავე ოჯახში მოვხვდი. ძალიან გახარებული ვიყავი ამ ამბით, მაგრამ თურმე უფრო სასიხარულო ის იყო, რომ ეს იყო ოჯახი მომავალი დიდი პოეტის — ვლადიმერ მაიაკოვსკისა. ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახის წევრები — დედა და დები დიდი ყურადღებითა და სითბოთი მეტყეოდნენ... მე და ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახი სამუდამოდ დავმეგობრდით. ახლაც ბავშვური სიხარულით შევცქერი ვლადიმერის ხელით მოჩუქურთმებულ ხის ჩარჩოს, რომელიც მან განშორებისას სახსოვრად მაჩუქა და რომელშიც მისი სურათი მიდევს“.

„1911-12 წლებში ბინის ძებნის დროს, — წერს **ნიკოლოზ ჟღენტი** თავის მოგონებებში, — ერთ სათნო და პატიოსან ოჯახში მოვხვდი. შევატყვე, რომ ეს ოჯახი დიდ მატერიალურ ნაკლებობას განიცდის, რაც მე, თვით ხელმოკლეს, კიდევ უფრო გამიძნელებდა ცხოვრებას, მაგრამ იმდენად სიმპათიური იყო ოჯახის უფროსი, რომ მე იქ ცხოვრებაზე უარი ვერ ვთქვი და **სიმონ წერეთელთან** ერთად ვიქირავე ბინა. ოთახში ვიხდიდით 25 მანეთს. იქ ცხოვრების პირველივე დღეებში გამოირკვა, რომ მთელი ოჯახი მოწინავე იდეებით არის გამსჭვალული და რომ ამ ოჯახს ჰყავს ვაჟიშვილი — პოეტი. ახლოს გავიცანით ახალგაზრდა ვლადიმერი, მისი და, დედა და დიდი მეგობრობა გვქონდა მათთან. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, როდესაც სამშობლო-

ქართველ სტუდენტებს ბინის შოვნის საქმეში თვით უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-მასწავლებლებიც ეხმარებოდნენ. ხშირად, შედარებით შეძლებულ, ადგილობრივ მცხოვრებ სტუდენტებს თავისთან საცხოვრებლად მიჰყავდათ ქართველი ამხანაგები, ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქართველ სტუდენტებს სასწავლო და საკითხავ ნივთებს უწევდა დახმარებას, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური იყო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი სილოვან გაბუნია, რომელიც თითქმის 10 წელი ცხოვრობდა მოსკოვში და ყოველთვის ცდილობდა, შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოეჩინა საქართველოდან ჩამოსული ახალგაზრდებისათვის. ის კარგად იცნობდა ქალაქს, ამიტომ წლების მანძილზე ახლადჩამოსულთა სულისჩამდგმელი და გზის მაჩვენებელი იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კერძო ბინის შოვნას ქართველი სტუდენტები ადვილად ახერხებდნენ, რადგან მოსახლეობა სიამოვნებით იღებდა მდგმურად ქართველ ახალგაზრდებს.


ში ვიბრუნდებოდით ვლადიმერ მაიაკოვსკის ოჯახს ვემშვიდობებოდით, როგორც უახლოეს ნათესავთა და მეგობართა ოჯახს“.

მოსკოვის უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩამოსულ ახალგაზრდობას, გარდა ბინისა, სასადილოც საზრუნავი ჰქონდა. „ვიდრე ახალი ჩამოსულები ვიყავით და სახლიდან წამოღებული ფულის ნაწილი შემორჩენილი გვქონდა, — გვიამბობს **ივანე გუბელაძე**, — ვიკრიბებოდით და მივდიოდით ან დემეტრაძის რესტორანში ტვერის ქუჩაზე ან მენაბდის რესტორანში ლეონტიევის შესახვევში, მაგრამ შემდეგ, როცა ფული შემოგვაკლდებოდა, ვინყებდით ფიქრს ჩვენი სასადილო ადგილის პერჩევაზე“.

სახლში სადილების მომზადება უშუალოდ სტუდენტისათვის (თუკი სახსრები საერთოდ სადილზე ფიქრის საშუალებას აძლევდა), რასაკვირველია, ძნელი იყო და თან ძვირიც, ძვირი ჯდებოდა, აგრეთვე, დიასახლისთან გარიგება საუზმესა და სადილებზე, ამიტომ ქართველი სტუდენტები ამჯობინებდნენ, ესადილათ სტუდენტთა სასადილოში ან საჩაიეში.

სტუდენტთა სასადილოები მონყობილი იყო უნივერსიტეტის ინიციატივით. უნივერსიტეტის მიერ შედგენილი იყო სასადილოს გამგეობა, რომელსაც ეწოდებოდა **„სტუდენტთა სასადილოს მომწყობი საზოგადოება“**. გამგეობაში შედიოდნენ თვით სტუდენტები. სასადილოს ხარჯებს უნივერსიტეტი ანაზღაურებდა. არსებობდა უნივერსიტეტის მიერ მოწყობილი 2 სასადილო: ერთი — უნივერსიტეტის გვერდით, მოხოვაიას ქუჩაზე, მანეჟის პირდაპირ; მეორე ე.წ. კომიტეტის სასადილო — მალაია ბრონაიას ქუჩაზე. აქ სადილი ახალი და კარგი ხარისხის პროდუქტებისგან მზადდებოდა და შედარებით „შეძლებული“ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი იყო. ამასთან, პურს აქ უფასოდ აძლევდნენ.

„სტუდენტთა სასადილოებში, — მოგვითხრობს სანდრო წერეთელი, — ამზადდებდნენ როგორც



ხორციანს, ისე ვეგეტარიანულ კერძებს და, რაც მთავარია, ასე თუ ისე შეძლებული სტუდენტისთვის, სრულიად ხელმისაწვდომ ფასებში“.

„სადილის ფასი ამ სასადილოებში, — გვიამბობს **არჩილ ხარაძე**, — 23-25 კაპიკს არ აღემატებოდა და, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასადილოს დიდძალი სტუდენტობა ეტანებოდა, გასაგები ხდება, რომ არც თუ ისე უგემური და არანოყიერი იყო ეს სადილები, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ქართველ სტუდენტთა დიდ უმრავლესობას არა თუ ყოველ დღე, არამედ თვეში ერთხელაც არ ჰქონდა ამ სასადილოში შესვლის საშუალება ძლიერი ხელმოკლეობის გამო“.

აღსანიშნავია ისიც, რომ **ამ სასადილოში მუდმივ მოსადილე სტუდენტთა 60 პროცენტი უფასოდ იღებდა სადილებს**; ამ სტუდენტებს სპეციალური აბონემენტის ჰქონდათ. „არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, — წერს სანდრო წერეთელი, — რომ ქართველ ხელმოკლე სტუდენტს „სტუდენტთა სასადილოს მომწყობი საზოგადოებისათვის“ უსასყიდლოდ ეთხოვოს ნახევართვიანი ან ერთთვიანი სასადილო აბონემენტი და მას ის არ მიეღოს“.

მაგრამ არც ეს შველოდა უღარიბეს სტუდენტობას, რადგან მუდმივი უფასო აბონემენტის თხოვას, მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, არც ერთი სტუდენტი არ აკადრებდა თავის თავს, ხო-

ლო ერთი თვის აბონემენტი დიდ შეღავათს არ აძლევდა, რადგან ერთი თვით თავის გამოკვება მეორე თვის განმავლობაში შიმშილს, რასაკვირველია, არ ამსუბუქებდა. ესეც არ იყო, განა რამდენი სტუდენტისთვის შეიძლებოდა მუდმივი უფასო აბონემენტის გაცემა მაშინ, როცა ასეთს საჭიროებდა ქართველი და სხვა ეროვნების სტუდენტების დიდი უმრავლესობა.

სტუდენტთა სასადილოები სხვა საუნივერსიტეტო ქალაქებში ან არ იყო, ან თუ დაარსდებოდა, მხოლოდ დროებით, ვინაიდან მის შესანახად მთავრობა თანხებს არ იძლეოდა, შემოსავალი ამ სასადილოებს, რასაკვირველია, არ ჰქონდა, სასადილოს გამგეს კი ყოველთვის არ შეეძლო ასეთი ორგანიზაციის უზრუნველყოფა საკუთარი სახსრებით. ამიტომ ასეთი სასადილოები თითქმის გახსნისთანავე იხურებოდა. 1903 წელს „კვალში“ გამოქვეყნებული იყო შემდეგი განცხადება: **„ოდისის უნივერსიტეტის შუაშტაბელ სტუდენტებისათვის იაფფასიანი სასადილოების გაამართველ კომიტეტს უცნობაშია თბილისის ქალაქის მთავარმმართველობისთვის, რომ დახმარება აღმოუჩინონ ზემოთა დასახელებულ სასადილოებს, რადგან იმით კავკასიის სტუდენტობის უმეტესი ნაწილი სარგებლობს“**. ამ განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ სასადილოებს,

რომლებიც დახმარებას მთავრობას, კერძოდ, თბილისის მთავარმმართველობას თხოვდნენ, არც დიდხანს არსებობა შეეძლოთ და არც ღარიბ სტუდენტთა უზრუნველყოფა.

რუსეთისა და საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქართველი სტუდენტები დიდ ხელმოკლეობასა და გაჭირვებას განიცდიდნენ. მთავრობა სრულიად არ ზრუნავდა სტუდენტებზე. მეტად მცირე იყო სახელმწიფო სტიპენდიები. ამასთან, სტიპენდიებს იღებდნენ მაღალი წოდების პირთა შვილები, ე.ი. ისინი, ვისაც ცხოვრების ისედაც შესანიშნავი პირობები ჰქონდათ, ხოლო ღარიბი სტუდენტობა უსტიპენდიოდ რჩებოდა. უცხო ქალაქში მცხოვრებ სტუდენტებს კი ხარჯი დიდი ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, სტუდენტების დიდი უმრავლესობა და ზოგიერთ წლებში თითქმის ყველა, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კერძო ბინას ქირაობდა. ბინა, მართალია, სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად ფასობდა, მაგრამ ყოველთვის უმძიმეს ტვირთად აწევებოდა ღარიბ სტუდენტობას.

ხარჯებს თხოულობდა, აგრეთვე, ზამთრის ტანისამოსის, სასწავლო ნივთების შეძენა და, რასაკვირველია, კვება.

ზემოაღნიშნული ხარჯების დაფარვა მუდამ ძალიან უჭირდა ქართველ სტუდენტობას, მაგრამ **სწავლის სურვილი იმდენად დიდი ჰქონდათ, რომ ოღონდ**

განათლება მიეღოთ, მზად იყვნენ, რადაც უნდა დასჯდომოდით, შეგუებოდნენ ყოველგვარ გაჭირვებას. 1863 წელს „საქართველოს მოამბეს“ მოყავს იმდროისათვის მეტად დამახასიათებელი ფაქტი: „**ოთხი ყმაწვილი კაცი შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში. იმგვარ შევიწროებაში იყვნენ, რომ ოთხივემ ერთი პატარა ოთახი დაიჭირეს და ოთხივეს ერთი ხელი მოუცილებელი ტანისამოსი ჰქონდათ, ესე იგი: ერთი შინელი, ერთი წყვილი ტანისამოსი და მარტო ერთი წყვილი წაღები. ამის გამო მათ რიგით უნდა ეარათ უნივერსიტეტში; ხან ერთი წავიდოდა, ხან მეორე. ასე რომ, ვინც წავიდოდა და ლექციას მოისმენდა, მაშინვე თავის ამხანაგებს უამბობდა, რომელნიც შინა რჩებოდნენ. თუმცა ამგვარი შევიწროება ძალიან უშლის ხელს ყმაწვილ კაცს განათლებასა, — დასძენს გაზეთი, — მაგრამ მაინც ამ ოთხმა კურსი დაასრულეს და ისე კარგად დაიჭირეს ეგზამენი, რომ პირველი ხარისხის ატესტატები მიიღეს“.**

ქართველ სტუდენტთა მძიმე ეკონომიური პირობები დიდად აწუხებდა ქართველ საზოგადოებრიობას და ის ყოველთვის ცდილობდა, ხელი გაემართა ღარიბი სტუდენტობისთვის. კერძო პირები, საზოგადო მოღვაწეები პრესის საშუალებით აცნობდნენ ფართო მასებს ქართველ სტუდენტთა მდგომარეობას, აღწერდნენ მათ ცხოვრებას, მოუწოდებდნენ ყვე-

ლას, ვისაც კი ოდნავი საშუალება ჰქონდა, დახმარებოდნენ მოსწავლე ღარიბ ახალგაზრდობას. 1869 წელს **ნიკო ცხვედაძემ** „დროების“ საშუალებით ამცნო ქართველ საზოგადოებრიობას, რომ ქართველი სტუდენტობა უსახსრობის გამო იძულებულია, დატოვოს უმაღლესი სასწავლებელი და სამშობლოში გამობრუნდეს:

„სტუდენტების მომეტებული ნაწილი არის დიდ სიღარიბეში. შარშან მოსკოვის უნივერსიტეტში სხვა ქართველ სტუდენტებს შორის (ნ. ცხვედაძის მიერ ეს წერილი გამოგზავნილია პეტერბურგიდან) ერია ორი სტუდენტი, რომლებსაც ძლიერ დაახლოებით ვიცნობდი. ესენი ძლიერ სიღარიბეში იყვნენ და ცდილობდნენ, სტიპენდია მიეღოთ, მაგრამ ამაოდ. კუჭმა რომ საქმე გაუჭირათ, ადგნენ და პეტერბურგის უნივერსიტეტში გადმოვიდნენ, რადგან აქ ღარიბ სტუდენტებს ხანდახან აძლევდნენ ხოლმე შემწეობას; მაგრამ აქაც სიღარიბემ თავი არ დაანება ამათ და ამისათვის ერთმა მათგანმა, რომელსაც ცოტა ავადმყოფობაც დაერთო, გაანება დროებით თავი უნივერსიტეტს და წამოვიდა საქართველოში, რა არის ცოტაოდენი ფული იშოვნოს და ისე მოვიდეს ისევ აქ, ხოლო მეორე ისევ აქ არის და ცხოვრობს დიდის წვალებით. კიდევ შარშან ერთ ქართველთაგანს გაეთავებინა კურსი ერთ ქვემო გუბერნიის სემინარიაში ძალიან კარგი ატესტატით და ემოვა ოთხიოდე თუმანი ფული და ჩამოვი-

უსაფრთხილად «ნ. გოჩალი» გაზეთ «დროებაში» დაგეგმილ წერილში ვკითხულობთ: «ქვირაში ორჯერ სადილს სჭავენ თვეში ორ სამ მანეთად, «კუთხას» საღვამე გაღვაწადნილ ქუჩაში იჭაქან და უკანასკნელ ღონეს იმაზე ლევენ, რომ სწავლას არ მოწყდნენ და სიღარიბეს არ დაუპარდნენ. მე ვიხსნოვ იმისთანებს ჩვენებურაბიდან, რომელნიც ღლეპის განმავლობაში უსადილოდ რჩებიან. მე ვიხსნოვ კიდევ იმისთანებს, რომელთაც უსაფარაველი კუთხა არა აქვთ, და არ იხიან, ღლეს საღ დააღაპებენ და ღაპეს საღ გაათევენ. აბა, ერთი ამ გაჩაქმობაში რა სწავლა მოგივა ფიქარში?»

და პეტერბურგში იმ აზრით, რომ შესულიყო უნივერსიტეტში, თუ საზრდოს როგორმე იშოვიდა; ამან პეტერბურგში ვერა საზრდო ვერ იშოვა და გულხელდაკრეფილი წავიდა საქართველოში. აი ახლაც პეტერბურგში შევხვდი ერთ სტუდენტს, რომელიც სიღარიბისა გამო თუმცა მეორე კურსშია და გვარიანათაც მიყავს თავისი საქმე, ფიქრობს უნივერსიტეტის დროებით თავის დანებებას და მანდ წამოსვლას, თუ სტიპენდია არ დაუნიშნეს. **რამდენი კიდეც სიღარიბის გამო, თუმცა დიდი სურვილი აქვთ მაღალ სასწავლებლებში სწავლის მიღებისა, რჩებიან საქართველოში და ის არ იცინ, თუ როგორ მოახერხონ, რომ მიიღონ გვარიანი განათლება.**

მართლაც, სავალალო მდგომარეობაში იყო სიცოცხლით, ჯანითა და ღონით სავსე, განათლების მიღების სურვილით გატაცებული ახალგაზრდობა, რომელსაც ხელმოკლეობის გამო არ ჰქონდა თავისი ოცნების ასრულების იმედი. ერთ-ერთი დროებითი პეტერბურგელი ფსევდონიმით „ნ. გორელი“ გაზეთ „დროებაში“ თავის ნაცნობ ქართველ სტუდენტთან შესახებ წერდა: **„კვირაში ორჯერ სადილს სჭამენ, თვეში ორ სამ მანეთად, „კუთხეს“ სადმე გადავარდნილ ქუჩაში იჭერენ და უკანასკნელ ღონეს იმაზე ლევენ, რომ სწავლას არ მოწყდნენ და სიღარიბეს არ დაუვარდნენ. მე ვიცნობ იმისთანებს ჩვენებურებიდან, რომელნიც დღეების განმავლობაში უსადილოდ რჩებიან. მე ვიცნობ კიდეც იმისთანებს, რომელთაც შესაფარებელი კუთხე არა აქვთ, და არ იცინ, დღეს სად დაალამებენ და ღამეს სად გაათევენ. აბა, ერთი ამ გარემოებაში რა სწავლა მოგივა ფიქრში?“**

60-70-იან წლებში სიღარიბემ მრავალი სტუდენტის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეიწირა. 1867 წელს, სიღარიბეში დასნეულდა და გარდაიცვალა ნიჭიერი ახალგაზრდა, ავტორი რამდენიმე საინტერესო წერილისა („მურზაყან ნაბერალის ცხოვრებიდან“, „სამშობლო ენისათვის“ და

სხვ.), ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტი თომა მაჭავარიანი.

ასეთივე ბედი ეწვია 1869 წელს პეტერბურგში მოსწავლე ერთ-ერთ ქართველ სტუდენტს. ამის შესახებ ნ. ცხვედაძე წერდა: **„ერთი სტუდენტი, რომელიც თავისი მიმართულებით კარგი საიმედო კაცია, უფულობამ აი როგორ დასცა და ჩაადგო გამოუსვლელ მდგომარეობაში: საშობაოთ ეს ყმანვილი გავიდა და გულმა საშინლად დაუწყო ტკივილი. ამხანაგების შემწეობით, როგორც იყო, მაისამდინ თავი გამოიტანა, მაგრამ მაისში კი ძლიერ ჩავარდა ლოგინათ. ღასაკვირველია, მას რომ ფული ჰქონოდა და საქართველოში წამოსულიყო, როგორც ურჩევდნენ ექიმები, ეჭვი არ იყო, რომ მოკეთებოდა და კიდეცა განთავისუფლდებოდა თავის სნეულებისაგან. ამას ფული არ ჰქონდა და ამისათვის დარჩა აქ.“**

1875 წელს გაზეთი იტყობინება, რომ სიღარიბემ დააძაბუნა და ავად გახადა ოდესის უნივერსიტეტის ნიჭიერი და საიმედო მომავლის მქონე ყმანვილი, 20 წლის ახალგაზრდა სიმონი პანდელაძე.

ღარიბ სტუდენტთან მდგომარეობა 80-იან წლებშიც არ გამოსწორებულა. 1881 წელს პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტი შეწუხებული თავისი ამხანაგების მდგომარეობით წერს: **„ვინც კი უნივერსიტეტში შესულა, ის უცბად შეამჩნევდა სტუდენტების ერთ ნაწილს, რომელიც შიმშილისაგან ჩამომხმარი და ღარიბად ჩაცმულია“. ამავე წელს, ხელმოკლეობისა და სიღარიბისაგან გაბეზრებული სტუდენტები, რომლებსაც თვითურად გარკვეული თანხა მაინც ეგზავნებოდათ, იწერებინ: „ნივთიერის მხრივ დიდ გაჭირვებას განვიცდით. ჩვენ თვითურად 20-25 მანეთი გვაქვს, იმ დროს, როცა თვეში 30-40 მანეთი მხოლოდ საჭმელად გვესაჭიროება, ხშირად ვშიმშილობთ, რაც გავლენას ახდენს ჩვენი ცოდნით შეიარაღებაზე. რა გულით უნდა იმეცადინოს კაცმა, როცა ის ფიქრობს, თუ დღეს ან ხვალ რა ჭამ-**

ოს. იმისათვის, რომ საჭმელი ბევრად არ მოაკლდეთ, სტუდენტები ქირაობენ შორს ნოტიო ოთახებს, რომ იაფად იცხოვრონ. ზაფხულობით კარგია ასეთი ოთახები, მაგრამ ზამთრობით არიან აუტანელ დღეში, როცა შიმშილს სიცვივეც ზედ ერთვის“.

„სამწუხარო გარემოება, რომელზედაც მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება, — იწერება ხარკოვიდან სტუდენტი ყიფშიძე, ის არის, რომ საზოგადოდ კავკასიელებს და საკუთრად ჩვენ, ქართველებს, ამ ქვეყნის ჰავა მეტად მკაცრად გვეკიდება. რუსეთის მეტად ცივი და მკაცრი ჰავა თავის ძალას ისე ღონივრად იჩენს, რომ ჩვენ, სამხრეთის ქვეყნების მცხოვრებთ, სრულებით არ შეგვიძლიან ბრძოლა მის წინააღმდეგ. სექტემბერში ქ. ხარკოვში მოიყარა თავი ქართველმა სტუდენტობამ, რიცხვით ოცდახუთამდე. ეს პატარა „ახალშენი“ აქ მეცადინეობდა და იღწვოდა თავის განსავითარებლად, რამდენადაც შეეძლო და რამდენადაც გარემოება ნებას აძლევდა მეცადინეობისას, მაგრამ უღმობელმა ბუნებამ იქვე, აკადემიური წლის დასაწყისშივე, იჩინა თავი. ის ავადმყოფობანი, რომელიც სამშობლო ქვეყანაში არც კი შეემჩნეოდა კაცს, აქ მეტის-მეტ ძალას შერებიან. დაავადებულ სტუდენტებს დოქტორები (პროფესორები) ერთხმად ურჩევენ ხოლმე სამშობლოში დაბრუნებას, რადგან საქართველოს ბუნება დოქტორებზე უკეთ არჩენს აქ გაჩენილ ჭლექს, თუ იგი უკანასკნელ ხარისხამდე არ არის მისული; მაგრამ ეს ზოგჯერ მოუხერხებელი ხდება. ზოგი სტუდენტი აქ სიკვდილს არჩევს უდროვოდ სახლში დაბრუნებას. ოქტომბერში გავისტუმრეთ საქართველოში ი. ჭ-შვილი, სტუდენტი მესამე კურსისა. მას რის ვაივაგლახით შევუფროვებთ გზის ფული და აქ არ მოვკალით. ნოემბერში გავიხდა ავად კიდეც კ-შვილი, რომელიც, აგრეთვე, დოქტორების რჩევით წავიდა სახლში თავისი ხარჯით. დღეს აგერ მესამე, ერთი უკეთესთაგანი

სტუდენტი რ. ჩ-ძე გვიკვდება ქლექით და სისხლღებინებით და არ ვიცით, რა ფუყოთ. პროფესორმა ლაშქვეიჩმა გვითხრა — დაუყოვნებლივ სამშობლოში გაამგზავრეთო, მაგრამ რითი? ავადმყოფის გამოგზავნას მეორე კლასით 7-8 თუმანი უნდა და ჩვენს ღარიბ სტუდენტობას სად შეგვიძლიან, როდესაც თითოეულ ჩვენთაგანს, ისიც არა ყველას, მოგვდის 15-25 მანეთამდე თვეში და, ვინც 30 მანეთს მიიღებს, ის შეძლებულ სტუდენტად ითვლება. ნოტიო და მკაცრ რუსეთის ბუნებასთან საბრძოლველად საჭიროა არანაკლებ 40 მანეთი. ხელდაკრეფილი შევცქერით ავადმყოფს და ველით, შველისათვის ხელმოკლენი და უღონოდ ქმნილნი, როდის ჩაჰყრის საცოდავი ძვლებს სამარეში“.

ასეთმა გაჭირვებამ ბევრ ახალგაზრდას ჩაუხშო არა მხოლოდ სწავლის სურვილი, არამედ ხატვის, სიმღერის, ცეკვის განსაკუთრებული ნიჭი. ერთ-ერთ კავკასიელ სტუდენტს, რომელსაც შესანიშნავი ხმა ჰქონდა, უსახსრობამ დააკარგვინა სწავლის სურვილიც და შესაძლებლობაც. 1885 წელს „დროების“ შინაურ ქრონიკაში აღნიშნულია, რომ „პეტერბურგის კონსერვატორიაში კავკასიელთაგანი ერთი სწავლობს არტისტულ ხელოვნებას. ეს არის ქუთაისელი ღარიბი ოჯახის შვილი ს.ჯ. მუსიკის კრიტიკოსმა ივანოვმა კაპელმეისტერმა იტალიური ოპერისამ ბევინიანმა და არტისტებმა საიმპერატორო თეატრებისამ ძალიან მოიწონეს მისი ხმა და ბრწყინვალე მომავალი უქადეს, თუ ს.ჯ. ბეჯი-

თად მოკიდებს ხელს მუსიკის შესწავლას. მაგრამ სიღარიბე ს.ჯ.-ს ძალიან უშლის ხელს. მშობლები-საგან სიღარიბის გამო არაფერი მოსდის; ასე რომ, იგი იძულებული შეიქმნა, ეგალობნა ხოლმე აქაურ სომხების ეკლესიაში (ს.ჯ. სომეხია), თუმცა ძალიან კარგად იცის მან, რომ საეკლესიო გალობას ცუდი გავლენა ექნება მის სწავლაზე. სომხების ეკლესიის საქმეების მმართველობამ დაუნიშნა მას თვეში მხოლოდ თხუთმეტი მანეთი. სუყველას კარგად მოეხსენება, რომ ამ ფულით პეტერბურგში შეუძლებელია ცხოვრება. თხუთმეტი მანეთი მარტო ოთახის ქირისათვის თუ კმარა.

ბევრი გაჭირვება და ავადმყოფობა გამოიარა ამ ზამთარში ს.ჯ.-მ. ქართველი სტუდენტები რომ არ ყოფილიყვნენ, ძნელად თუ გაანევედა ზამთარს. ერთმა ქართველმა სტუდენტმა (ქ-შვილმა) მისცა ბინა მას თავის ოთახში და ამით გადაარჩინა ოთახის ქირის ძლევას. ისე რომ, ჩვენ სტუდენტები კი ვუნევთ დახმარებას ერთმანეთს, მაგრამ ეს არ ჰყოფნის და არც შველის ჩვენს ხელმოკლეობას“.

რუსეთის ქალაქებში მოსწავლე სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობა შეიძლებოდა გამოსწორებულიყო იმით, რომ მათ ჰქონოდათ არდადეგების დროს ორი-სამი თვით სამშობლოში ჩამოსვლის საშუალება, მაგრამ ესეც შეუძლებელი იყო, რადგან გზა იმდენად ძვირი ჯდება, რომ საჭირო თანხის გაღება არც ერთ სტუდენტს არ შეეძლო. ამიტომ, ისინი იძულებული იყვნენ, უნივერსიტე-

ტის დამთავრებამდე, ხუთი და ზოგჯერ მეტი წლის განმავლობაში საუნივერსიტეტო ქალაქში ეცხოვრათ. ქართველ სტუდენტებს კი არა, მატარებლით მგზავრობა მათაც უჭირთ, ვინც რუსეთის მკვიდრნი იყვნენ და საუნივერსიტეტო ქალაქებთან შედარებით ახლოს ცხოვრობდნენ. იმდროინდელ პრესაში ხშირად ქვეყნდება მატარებლის ბილეთის სიძვირის გამო მომხდარი ინციდენტები. „რუსული გაზეთები გვატყობინებენ, — წერს „თეატრი“, — რომ თურმე ამ დღეებში პეტერბურგიდან მომავალ ვაგონში, პირველ კლასიდან უეცრივ ვილაცა ქალის ყვირილი მოისმაო, როდესაც ამ ყვირილზე მიმავალი პოეზი გააჩერეს და ხალხი მოგროვდა, შემდეგი სურათი დაინახესო: პირველი კლასის ვაგონში სკამის ქვეშ ვილაცა ახალგაზრდა ყმანვილი კაცი იპოვეს, რომელმაც თავისი თავი პეტერბურგის სტუდენტად დაასახელაო. საქმე თურმე ასე ყოფილა: სტუდენტს საშინლად ყვარებია მოგზაურობა და რადგან ფული არ ჰქონია, ამიტომ შეპარულა პირველი კლასის ვაგონში (ეს თურმე პირველი მაგალითი არ არის) და ამგვარად სდომია თავისი სურვილის დაკმაყოფილება, მაგრამ მგზავრ ქალს დაუნახავს თუ არა ვილაცა კაცი სკამეიკის ქვეშ, ყვირილი შეუქმნია. საბრალო სტუდენტი დაუტუსაღებიათ... სამწუხაროა ეს ამბავი: სჩანს, რომ სტუდენტებს ძალიან უჭირთ, თუ ამნაირს მოგზაურობას არ თავილოებენ“.

1884 წელს მთავრობამ გააიფა სტუდენტთათვის სამგზავრო ბილეთები. სტუდენტებს რკინიგზაზე მგზავრობისას ბილეთების ფასის მხოლოდ მეოთხედი უნდა გადაეხადათ, მაგრამ ისიც ძნელად გადასახადი თანხა იყო ღარიბ სტუდენტთათვის. შემდეგში, უნივერსიტეტის მოთხოვნით, რკინიგზა პერიოდულად შეღავათიან ბილეთებს აძლევდა ღარიბ სტუდენტებს. გამონაკლის შემთხვევაში უღარიბეს სტუდენტს უფასოდაც ეძლეოდა სამგზავრო ბილეთი.

ღარიბ სტუდენტთა მფლობელობა 80-იან წლებშიც არ გამოხდებოდა. 1881 წელს პეტერბურგში მოსწავლე ქართველი სტუდენტი შეახსენა თავისი ამხანაგების მფლობელობით წარს: „ვინც კი უნივერსიტეტში შესულა, ის უხედავად შეამჩნევდა სტუდენტების ერთ ნაწილს, რომელთა შიშველობა ჩამოხსნარა და ღარიბად ჩაიხსენა“.

ქართველი სტუდენტების ეკონომიური პირობები არც შემდეგ წლებში გაუმჯობესებულა, 90-იან წლებში რუსეთის ქალაქებში მოსწავლე ქართველი სტუდენტი-ახალგაზრდობა გულდანყვითი-ალი აღნიშნავდა, რომ მათ გარდა, თითქმის ყველა ეროვნების სტუდენტებზე ზრუნავს დიდი თუ პატარა დამხმარე ორგანიზაცია. მაგალითად, რუს სტუდენტებს დახმარებას უწევს ერობა. ამას გარდა, ხშირად რუსი სტუდენტები დახმარებას იღებენ იმ ქალაქიდან, რომელშიც დამთავრებული აქვთ გიმნაზია. უნივერსიტეტში ხშირად გამოაკრავდნენ ხოლმე განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამა და ამ ქალაქიდან მიღებულია თანხა და სტუდენტებს, რომელთაც იმ ქალაქში აქვთ დამთავრებული გიმნაზია, შეუძლიათ ეს თანხა მიიღონ და გაინაწილონ. პოლონელი სტუდენტებისათვისაც არსებობდა პოლონელთა დამხმარე საზოგადოებანი. არც ებრაელები იყვნენ მოკლებულნი ამგვარ საზოგადოებას. სომეხ სტუდენტებს ეხმარებოდა იმ ქალაქის სომხის ეკლესია, სადაც უნივერსიტეტი იყო და სხვ. **ქართველ სტუდენტთა დამხმარე სპეციალური ორგანიზაცია კი ამ პერიოდში არ არსებობდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ქალაქებში 90-იან წლებში ქართველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა სწავლობდა და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი — 2/3 ლარიზნი და ულარიზსნი იყვნენ.**

„1894 წელს, — წერს „კვალში“ ი. ჩარეიშვილი, — სულ ქართველი სტუდენტები რუსეთის უნივერსიტეტებში და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ვიქნებით ას ოცდაათ კაცამდე. ამ 130 კაციდან ერთი მესამედი არის მხოლოდ შეძლებული, მეორე მესამედი ცხოვრობს ვაივაგლახით, ე.ი. შიმშილით არ კვდება, მესამე მესამედი კი ნამდვილ ლატაკად უნდა ჩაითვალოს. ამ ჯგუფს შეადგენენ ის პირები, რომელთაც უნივერსიტეტში სწავლის დროს უქონლობის გამო სრულებით არავითარი დახმარების მიღება არ შეუძლიათ სახლიდან.

რუსეთში ჩამოსვლისთანავე უკანასკნელი ჯგუფის სტუდენტი ცდილობს, გაკვეთილი ან სხვა რამე საქმე იშოვოს თავის გამოსაკვებად. ბედნიერია სტუდენტი, თუ კი იშოვა ისეთი გაკვეთილი, სადაც მისი შრომა რიგზე დაფასებული და დაჯილდოებული იქნება. სამწუხაროდ, ამნაირი მაგალითი ან იშვიათია, ან დროებითია. უფრო ბევრი მათგანი იძულებულია, სხვა საქმეს მოჰყიდოს ხელი და მთელი დღე მას მოანდომოს, რომ შიმშილით არ მოკვდეს.

აი მაგალითები: ერთი ოცდახუთ მანეთად მსახურობს სასტატისტიკო ბიუროში, დილის 9 საათიდან დაწყებული ღამის 9 საათამდე. სადილის ჭამას ძლივს ასწრებს. საღამოზე ბრუნდება სახლში დაქანცული და, მიუხედავად ამისა, იწყებს სწავლას. ხოლო ბოლოს მისი ძალ-ღონე ვეღარ შესძლებს და რამდენიმე საათის შემდეგ ზედ წიგნზე დაეძინება. ღამით თუ ისწავლის, თორემ დღისით სად აქვს დრო; ასე, რომ დღე-ღამე თითქმის სულ მუშაობს. სადილობის დროს შეირბენს უნივერსიტეტში (თუ ახლოს არის) მოისმენს ამხანაგებისაგან, რას კითხულობენ პროფესორები და მაშინვე გამობრუნდება, რადგანაც მას დრო არ აქვს, თვითონ დაუგდოს ყური ლექციებს. მეორე სტუდენტი ოცდახუთ მანეთად თვეში კორექტორად მუშაობს სტამბაში, დილის 8 საათიდან საღამოს 9 საათამდე. ესეც ამნაირად მეცადინეობს, როგორც პირველი; დილით სტამბაში მსახურობს და ღამით ლექციებს ამზადებს. აქ უნდა დაუმატოთ, რომ ამ ოცდახუთმანეთიან ადგილს სტუდენტი ასე ადვილად ვერ შოულობს. მან ჯერ პროტექცია უნდა მოძებნოს, მერე, შეიძლება დიდი ხვეწნისა და ლოდინის შემდეგ, მიიღოს ადგილი. მერე იცით, მკითხველო, **ოცდახუთი მანეთი რა ფასია რუსეთში? ამით სტუდენტს შეუძლია მხოლოდ თავის პირველი და მოუცილებელი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს და შიმშილით არ მოკვდეს;** ასე გასინჯეთ, ამ ფულიდან ლექციების

ყიდვაც კი არ შეუძლია. აი კიდევ მაგალითი:

ამ რამდენსამე დღის წინათ მივიღე წერილი ერთს ჩემ ამხანაგისაგან, დაუგდეთ ყური მას, აი რას წერს: „ძმაო! ბევრი გაჭირვება გამომივლია ამ ოთხის წლის განმავლობაში, მაგრამ ამისთანა უბედურება, რომელშიაც ახლა ვარ ჩავარდნილი, კი ჯერ არ მახსოვს. პირველი ნახევარი წლის უნივერსიტეტში შესატანი ფულისაგან გამათავისუფლეს, ხოლო ამ მეორე წლის ნახევარში კი არა. ახლა მე საიდან, სად ჯანაბიდან უნდა ვიშოვო ორმოცდაათი მანეთი უნივერსიტეტში შესატანად. როდესაც მე საჭმლის ფულიც არა მაქვს?! შენ კარგად იცი ჩემი მდგომარეობა სახლიდან არაფერი მომდის. ხანდისხან, ორ-სამ თვეში ერთხელ, თუ გამიხსენებენ ერთი თუმნით, თორემ მეტი სახსარი არა მაქვს რა. მოდი და ახლა შენ იმეცადინე, როდესაც წლები შიმშილით ეწვის კაცს. შეიძლება კიდევ დამითხოვონ უნივერსიტეტიდან ფულის შეუტანლობის გამო. მერე ისიც იმ დროს, როდესაც ოთხი თვე დამრჩენია გათავებამდე. ასე, ჩემო ძმაო, როგორც ხედავ, ვიღუპები.

გაჭირვებული მდგომარეობა ხელს უშლის სტუდენტს სრულად და მრავალმხრივად შეისწავლოს თავისი საგანი. ძალაუწებურად მარტო ლექციებით უნდა დაკმაყოფილდეს ან კი როგორ მოეთხოვება ეს სტუდენტს, რომელიც დღეგამოშვებით სადილობს (ერთ დღეს ჩაიზე და პურზე გადადის). მოსწავლენი იძულებულნი არიან, იცხოვრონ იმისთანა იაფ და ნესტიან ოთახში, სადაც ქვეშიდან (იატაკიდან) სიცივე უბერავს და კედლებიდან წყალი ჩამოდის. ამის გამო ზოგიერთი მათგანი ვერ იტანს ამ მდგომარეობას. მით უმეტეს, რომ ცივი ჰავა რუსეთისა სწყენს მათ სხეულს და იძულებული არიან, დასტოვონ უნივერსიტეტი და ავადმყოფები დაბრუნდნენ სამშობლოში“.

დასასრული

შემდეგ ნომერში

მიხეილ თაქთაქიშვილი — სკოლის ჩაფორმატორი

ცნობილი პედაგოგი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ ივანეს ძე თაქთაქიშვილი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურებოდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. ის გახლდათ საშუალო სკოლის რეფორმატორი, განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიისა და სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს წევრი. განათლების სფეროში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისთვის მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

მიხეილ თაქთაქიშვილი დაიბა-
და 1872 წლის 10 თებერვალს სოფ.
ქვემო ხვითში (გორის რაიონი).

ყმაწვილმა კარგი სწავლა-გა-
ნათლება მიიღო ჯერ ოჯახში,
შემდეგ — თბილისის ვაჟთა პირ-
ველ გიმნაზიაში, რომელშიც 1883
წელს ჩაირიცხა. იგი ყოველთვის
ბეჯითად და წარჩინებულად
სწავლობდა და კლასიდან კლასში
მუდამ ქების სიგელითა და ფასი-
ანი საჩუქრებით (ნოტები, წიგნე-
დი) გადადიოდა.

თბილისის გიმნაზიის დასრუ-
ლების შემდეგ მ. თაქთაქიშვილი
შევიდა ოდესის უნივერსიტეტის
ფიზიკა-მათემატიკის ფაკულ-
ტეტზე, რომლის კურსი მან წარ-
მატებით დაამთავრა 1895 წელს.
იმავე წელს დაბრუნდა საქარ-
თველოში და დაიწყო პედაგოგიუ-
რი მოღვაწეობა მოზრდილთა
საკვირაო სკოლაში (1895-1896),
რომელშიც ძირითადად მუშები
და ხელოსნები სწავლობდნენ.
შემდეგ დაინიშნა ელიზავეტაპო-
ლის (ამჟამად კიროვბადი, აზერ-
ბაიჯანი) ვაჟთა და ქალთა გიმნა-
ზიაში, სადაც იგი შვიდი წლის გან-
მავლობაში ასწავლიდა მათემა-
ტიკასა და ფიზიკას. ამავე დროს
მიხეილი იყო განჯის მეტეორო-
ლოგიური სადგურის გამგე და
თბილისის ფიზიკური ობსერვა-
ტორიის კორესპონდენტი.

1903 წელს მ. თაქთაქიშვილი მი-
ინიჭეს თბილისის კომერციულ
სასწავლებელში მათემატიკის

მასწავლებლად, მაგრამ აქ მან
მცირე ხანს დაჰყო.

1905 წელს ბაქოს კომერციული
სასწავლებლის სამზრუნველო
საბჭომ იგი აირჩია ამ სასწავლებ-
ლის ინსპექტორად, ხოლო ერთი
წლის შემდეგ — ამავე სასწავლებ-
ლის დირექტორად. **მ. თაქთაქიშ-
ვილი 11 წლის განმავლობაში ემ-
სახურებოდა ბაქოს ახალგაზრ-
დობის აღზრდის საქმეს. მისი უშ-
უალო მონაწილეობით ბაქოში
აშენდა სპეციალური შენობა კო-
მერციული სასწავლებლისთვის
(შემდგომში ბაქოს პედაგოგიური
ინსტიტუტი).**

ქართველთა რიცხვი ბაქოში
დღითიდღე იზრდებოდა, ხოლო
განათლების საქმე მათთვის მოუ-
წყობელი იყო, არ იყო კულტურ-
ულ-საგანმანათლებლო მუშაო-
ბისათვის სათანადო კერა, რომე-
ლიც იქაურ ქართველობას გააერ-
თიანებდა.

პირველი ნაბიჯი ამ მხრივ იმით
გამოიხატა, რომ იქ დაარსდა
„ქართველთა შორის წერა-კითხ-
ვის გამავრცელებელი საზოგა-
დოების“ ფილიალი. ამ საქმის მო-
წყობას, რასაკვირველია, სათანა-
დო ავტორიტეტის მქონე პირი თუ
შეძლებდა, ასეთი კი მ. თაქთაქიშ-
ვილი იყო.

მ. თაქთაქიშვილი სათავეში ჩა-
უდგა და ხალისიანად თავმჯდო-
მარეობდა ადგილობრივი (ბაქოს)
დრამატული წრის გამგეობასაც.

ბაქოს „სომეხ-კაცთმოყვარე სა-



ზოგადოების სათეატრო შენობა-
ში“ დრამატული წრე ხშირად მარ-
თავდა ქართულ ეროვნულ წარ-
მოდგენებს, რაშიც უდიდესი შრო-
მა მიუძღვის მიხეილ თაქთაქიშ-
ვილს.

**საკმაო ღვაწლი მიუძღვის მას
ბაქოს ქართული თეატრის განვი-
თარების საქმეშიც, მან აყვავე-
ბის გზაზე დააყენა ქართული თე-
ატრი.** „ბაქოს წერა-კითხვის გა-
მავრცელებელი საზოგადოების“
გამგეობამ იგი აირჩია საზოგა-
დოების საპატიო წევრად.

მისი უანგარო შრომა, როგორც
პედაგოგისა, სასწავლებლის დი-
რექტორისა და კულტურის მოლ-
ვანისა, ბაქოელმა საზოგადოებამ
ღირსეულად დააფასა (სასწავ-
ლებლის კოლექტივმა და მშობ-
ელთა კომიტეტმა 1916 წლის 13
სექტემბერს მას გამოსამშვიდო-
ბებელ საღამო გაუმართა). პატი-
ვისცემისა და დიდი სიყვარულის
გამოსახატავად მ. თაქთაქიშვი-
ლის სურათი დაკიდეს სკოლის შე-

ნობაში და დააწესეს მისი სახე-
ლობის სტიპენდია.

1916 წელს მიხეილ თაქთაქიშვი-
ლი ქუთაისის კომერციული სას-
ნავლების დირექტორად მიიწ-
ვიეს.

1921 წელს, საქართველოში სა-
ბჭოთა ხელისუფლების დამყარე-
ბის შემდეგ, მიხეილ თაქთაქიშვი-
ლი დაინიშნა საქართველოს სსრ
განათლების სახალხო კომისა-
რიატის უმაღლესი და საშუალო
სასწავლებლის მთავარ მმართველად და განაგებდა პროფესიუ-
ლი განათლების საქმეს. იგი აქტი-
ურად მონაწილეობდა საშუალო
სკოლის რეფორმის ჩატარებაში.
იგი განათლების სახალხო კომისა-
რიატის კოლეგიისა და სახელმწი-
ფო სამეცნიერო საბჭოს წევრი
იყო; ამავე დროს მუშაობდა ელე-
მენტარული მათემატიკის მასწავ-
ლებლად თბილისის პოლიტექნი-
კური ინსტიტუტის საინჟინრო-
სამშენებლო ფაკულტეტზე.

1925 წლიდან მ. თაქთაქიშვილი
განაგებს თბილისის პირველ სა-
ხელმწიფო საბუღალტრო კურ-
სებს და მუშაობს მიწათმოქმედე-
ბის სახალხო კომისარიატის სა-
სოფლო-სამეურნეო სასწავლე-
ბელში სასწავლო ნაწილის გამ-
გედ.

**მისი უზუალო მონაწილეო-
ბით დაარსდა სასოფლო-სა-
მეურნეო და ინდუსტრიული
ტექნიკუმი.**

1928-1929 წლებში მიხეილ თაქ-

მისი უზუალო მონაწილეობით დაარსდა სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული ტექნიკუმი.

თაქიშვილი გაიგზავნა ყვარელსა
და ბორჯომში, სადაც **დაარსდა
სატყეო ტექნიკუმი.** ერთი
წელი ბორჯომის სატყეო ტექნი-
კუმის დირექტორიც იყო.

1930 წლიდან 1953 წლამდე მუ-
შაობდა მთელ რიგ უმაღლეს სას-
წავლებლებში, როგორც დოცენ-
ტი, და კითხულობდა ლექციებს
მათემატიკაში: ზოოვეტერინა-
რულ ინსტიტუტში — დღიდან მი-
სი დაარსებისა, ასევე — სასოფ-
ლო-სამეურნეო და მცენარეთა
დაცვის ინსტიტუტებში.

**1944 წელს მიხეილ თაქთაქიშ-
ვილს ნაყოფიერი და ხანგრძლი-
ვი მუშაობისთვის საქართველოს
სსრ სკოლის დამსახურებული
მასწავლებლის წოდება მიენიჭა.**

ბატონი მიხეილი აქტიურად
მოღვაწეობდა ასევე ლიტერატუ-
რულ სარბიელზე — წერდა და
თარგმნიდა მოთხრობებს; ხში-
რად ბეჭდავდა წერილებს ჟურ-
ნალ-გაზეთებში („საქართველო“,
„ცნობის ფურცელი“, „სახალხო
გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“
და სხვ.).

სხვა ცნობილ ქართველ პედა-
გოგებთან ერთად ის იყო სრუ-
ლიად რუსეთის რუსული ენი-

სა და ლიტერატურის მასწავ-
ლებელთა პირველი ყრილო-
ბის დელეგატი საქართვე-
ლოდან (1916 წ.). ყრილობაზე მან
წარმოთქვა სიტყვა რუსული ენის
სწავლების შესახებ საქართვე-
ლოს სკოლებში. იგი მოითხოვდა,
რომ მასწავლებელი, რომელიც
ასწავლის რუსულ ენას არარუ-
სულ სკოლებში, უპირველეს ყოვ-
ლისა, უნდა ფლობდეს ბავშვის
მშობლიურ ენას; რომ განსაკუთ-
რებული სიფრთხილით უნდა შე-
ირჩეს და შედგეს რუსული ენის
სახელმძღვანელოები არარუსი
ბავშვებისთვის.

**მ. თაქთაქიშვილი ავტორია
ორი სახელმძღვანელო-
სთვის: „უმაღლესი მათე-
მატიკის შესავალი“ (1934) და
„უმაღლესი მათემატიკის სა-
ფუძვლების დანაწილება და
მათოდური მითითებანი“,
რომელიც მან ზოოვეტერინა-
რული ინსტიტუტის დაუს-
წრებელი სექტორის სტუ-
დენტებისთვის შეადგინა.**

მიხეილ თაქთაქიშვილი 1954
წლის 28 სექტემბერს 82 წლისა
გარდაიცვალა.

**სხვა ცნობილ ქართველ პედაგოგებთან ერთად
ის იყო სრულიად რუსეთის რუსული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებელთა პირველი ყრილობის
დელეგატი საქართველოდან (1916 წ.). იგი მოითხოვდა,
რომ მასწავლებელი, რომელიც ასწავლის რუსულ ენას
არარუსულ სკოლებში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ფლობდეს
ბავშვის მშობლიურ ენას; რომ განსაკუთრებული
სიფრთხილით უნდა შეირჩეს და შედგეს რუსული ენის
სახელმძღვანელოები არარუსი ბავშვებისთვის.**

ერეკლე ტატიშვილი — ქართული უნივერსიტეტის უცხო ენათა კათედრის დამაარსებელი

დღევანდელ სტუდენტთაგან, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ქართული უნივერსიტეტის უცხო ენათა კათედრის დამაარსებელი და მისი პირველი გამგე, აგრეთვე, ქართული ანგლისტიკის, გერმანისტიკისა და რომანისტიკის ერთ-ერთი საფუძველჩამყრელი პროფესორი ერეკლე ტატიშვილი იყო. ეს მცირე წერილი მისი გახსენებისა და მისი სილუეტის მოხაზვის ცდაა, რისთვისაც მის თანამედროვეთა მოგონებები გამოვიყენეთ.

ქართული კულტურის მოღვაწე, ერუდიტი და პოლიტოლოგი ერეკლე ტატიშვილი 1884 წლის 28 აგვისტოს გორში დაიბადა. დაწყებითი განათლებაც გორში მიიღო, შემდეგ კი სწავლობდა ელიზავეტპოლის გიმნაზიაში. 1904—1906 წლებში სწავლა განაგრძო ლაიფციგის უნივერსიტეტში, მაგრამ კურსის დაუმთავრებლად დაბრუნდა სამშობლოში.

ორმოციან წლებში, ომი ახალი დამთავრებული იყო, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სწორად ხედავდნენ პირქუშ, გაუღიმარ კაცს, რომელსაც სიარული ცოტა უჭირდა. მას ბევრი გადაეტანა, მაგრამ სულიერად მაინც არ გატეხილიყო...

მთანმინდისა და სოლოლაკის უბნების მიჯნაზე ერთ-ერთ ქუჩაზე მდგარ ძველი სახლის პირველ სართულზე გასული საუკუნის 40-იან წლებში ბნელ, პატარა ოთახში მუდამ მაგიდის ნათურა ენთო. ძველებური, დიდი სანერი მაგიდა სავსე იყო წიგნებით, წიგნების მთები თითქმის ჭერამდე აღწევდა. წიგნები ყველაფერზე ნაყო — იატაკზე, სკამებზე... იმის მიუხედავად, რომ ბატონი ერეკლეს პატიმრობისას მისი უმდიდრესი ბიბლიოთეკა გაძარცვეს, მაგიდას ჩვეულებრივ ერთი ასკეტური შესახედაობის, რომაული პროფილის მქონე, გარინდებული, სიღრმეებში წასული კაცი ეჯდა, რომელიც ერთ წერტილში კონცენტრირებული მზერით ფიქრად და აზ-

რად იყო ხოლმე ქცეული.

ერეკლე ტატიშვილი ანარქისტული მოღვაწეობის გამო ორჯერ დააპატიმრეს (გორსა და პეტერბურგში), თანამშრომლობდა ანარქისტულ გაზეთებში „მუშა“ და „ხმა“. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ იძულებული გახდა, ემიგრაციაში წასულიყო, ჯერ თურქეთში, მერე კი — ევროპაში. 1909—1911 წლებში მონაწილე უნივერსიტეტში ეუფლებოდა იურისპრუდენციას, 1913 წელს დაამთავრა პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა საერთაშორისო სამართლის სპეციალობით და ლონდონში გაემგზავრა ჟურნალისტიკის შესასწავლად.

პირველმა მსოფლიო ომმა ბრიუსელში მოუსწრო, სადაც თედო სახოკიასთან ცხოვრობდა. ქართულ კოლონიასთან ერთად კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, სადაც წმინდა იოსების კოლეჯში ფრანგულ ენასა და ბუნებისმეტყველებას ასწავლიდა, ექიმადაც კი მუშაობდა. ბოლოს და ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში, რომელმაც სწორედ იმხანად ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა. 1918 წლიდან ჯერ გორის ვაჟთა გიმნაზიაში, შემდეგ კი თბილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში გერმანულ ენას ასწავლიდა.

მცირე ხნით კვლავ დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას: 1920—21 წლებში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური გან-



ყოფილების გამგე, მერე — ამავე სამინისტროს დირექტორი, მაგრამ ვერ მოურიგდა მენშევიკურ მთავრობას. მისი მძაფრი ეროვნული ინტერესები ვერ გუობდა ვერაფერს, რაც საქართველოს საკეთილდღეოდ არ ხდებოდა და ამიტომაც მიატოვა მალე სამინისტროს დირექტორის პოსტი. 1921—23 წლებში ასწავლიდა ვაჟთა მესამე ტექნიკუმში (ყოფილი ქართული გიმნაზია). საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ ერეკლე ტატიშვილი 1922 წელს სხვა ღირსეულ მამულიშვილებთან ერთად გახდა წევრი ქართველ მწერალთა ახალდაარსებული აკადემიური ასოციაციისა, რომლის შექმნაც მიზნად ისახავდა, უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში, კულტურული ავტონომიის შენარჩუნების გზით გადაერჩინა ჩვენი ეროვნული სული.

აქტიურად თანამშრომლობდა ამ ასოციაციის ჟურნალ-გაზეთებში, როგორც იყო „ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“ (რედაქტორი: კონსტანტინე გამსახურდია), „პოეზიის დღე“ (რედაქტორი: ვახტანგ კოტეტიშვილი), „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ (რედაქტორი: პავლე ინგოროყვა), გამოაქვეყნა ლიტერატურულ-ფილოსოფიური ესეები და ერთი მათგანი, ედგარ პოს ლექსი პროზად „სიჩუმე“ (მეორე თარგმანი პოს ნოველისა „შავი კატა“ „კავკასიონის“ გამოცემის შეწყვეტის გამო აღარ დაბეჭდილა და დიდი ხანი არ არის, რაც პავლე ინგოროყვას არქივში აღმოჩნდა). „საქართველოს სამრეკლოს“ რედაქციაში საერთაშორისო მიმოხილვის განყოფილება ებარა, მაგრამ გაზეთის გამოცემა პირველი ნომრის გამოსვლისთანავე შეწყდა.

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის ლექტორად მიიწვია, 1927 წლიდან კი ასწავლიდა უცხო ენებსა და ლიტერატურასაც.

1931 წელს ხელისუფლებამ დაარბია და საბოლოოდ დაშალა ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია და სხვებთან ერთად ერეკლე ტატიშვილიც გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან (17 მაისის სხდომაზე).

1935 წელს უნივერსიტეტი დააარსა უცხო ენათა კათედრა და იგი იყო მისი პირველი გამგე. სამეცნიერო ხარისხი ოფიციალურად არ დაუცავს, მაგრამ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გამორჩეული პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მიანიჭა მიახლოებული დოქტორის, შემდგომ კი პროფესორის წოდება.

რეპრესიებს ვერც სიცოცხლის ბოლოს გადაურჩა, თითქოს დევნის, დაპატიმრებისა და სამშობლოდან გაძევების აუტანელი ყოფა მანამ ცოტა ეგემნოს. ჯერ თანდათანობით შეავიწროვეს, ჩა-

მართვეს საერთაშორისო სამართლისა და საზღვარგარეთის ისტორიის კურსი. 1941 წლის 23 ივნისს კი დააპატიმრეს, როგორც ხელისუფლების თვალში არაკეთილსაიმედო, და ორ წელიწადზე მეტხანს დაჰყო თბილისის საპატიმროში.

პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა და, უცხო ენების სწავლების გარდა, ხელი მოჰკიდა აღმოსავლეთის დიპლომატიის ისტორიის კურსს ახალდაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე (1945 წ.).

მას მერე დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1946 წლის 1 თებერვალს. ერეკლე ტატიშვილის ცხედარი მისმა ერთგულმა უმცროსმა მეგობრებმა და მონაფეეებმა ხელით წაასვენეს მთაწმინდის უბნიდან, თავის პანია ოთახიდან და ვაკის სასაფლაოზე დაკრძალეს.

ეს პატარა ოთახი ბატონ ერეკლეს მეგობრებისა და შეგირდებისთვის ერთგვარ წმიდა ადგილს, თავისებურ „სალოცავს“, ყარბობისა და პილიგრიმობის სადგურს წარმოადგენდა, ამავე დროს, ამ სენაკის ბინადრის კარჩაკეტილობის მიუხედავად, „კამერული“ დიონისური სერობის ალაგიც იყო. ოფიციალური და არაოფიციალური საზოგადოებისაგან განზედგომის, აგრეთვე, ხმაურიანი, ზიზზიმა, ბრჭყვიალა, სნობისტური „დარბაზობებისა“ და თავყრილობების მიმართ ალერგიის მიუხედავად, ბატონი ერეკლე სრულებითაც არ ყოფილა დიონისური თრობის წინააღმდეგი (წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი მოძღვრის ცუდი შეგირდი იქნებოდა). მას არ უყვარდა ღრეობა და ღრიანცელი, მაგრამ ძალიან ვიწრო წრეში ინტიმური, უხმაურო ძველბერძნული სიმპოზიონის მომხრეც იყო, ფიგურალურად რომ ვთქვათ, გვერდით ისვამდა, „ამობილებდა“ ბახუსსა და პლატონს... ცხოვრებაში მისი მთავარი დასაყრდენი იყო მეგობართა და შეგირდ-მეგობართა ვიწრო წრესთან შემოქმედებითი ურთი-

ერთობა და კონტაქტი. ბატონი ერეკლე ცნობდა მხოლოდ, გოეთეს ენით რომ ვთქვათ, სულთა შერჩევით დანათესავებას.

ბატონი ერეკლეს სენაკში შესული კაცი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ამ ოთახის პატრონს მაინცდამაინც არ უზრუნია მატერიალურ-ნივთიერი კეთილდღეობის მოხვეჭისთვის. ერეკლე ტატიშვილის მთელი ავლა-დიდება, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ამ ერთ ციკქნა ოთახში იყო თავმოყრილი: სანერი მაგიდა, რომელიც სასადილო მაგიდის მოვალეობასაც ასრულებდა, სამიოდე სკამი, ერთი ძველისძველი, საკმაოდ დაზიანებული ტახტი და ნიგნები. კედელზე, მაგიდის თავზე ნიგნების თახჩა იყო მიმაგრებული, რომელშიაც ინახავდა მცირერიცხოვან ჭურჭელსაც. მის სენაკში ნივთიერი სილატაკე სუფევდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მასში ზეიმობდა, ყოველგვარი კონკურენციის გარეშე დაბუდებულიყო „სული“, „გონი“, „გაისტი“... ბატონ ერეკლეს სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კომფორტის მინიმუმიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ამ პატარა ოთახში დაგუბებული აზრები, კონტემპლაციები, მედიტაციები, ალბათ, ერთი ქალაქის მოსახლეობას ეყოფოდა.

...არსებობენ ადამიანები, რომელთაც მუდამ საკუთარ თავზე, საკუთარ გეგმებსა და მიზნებზე უყვართ ლაპარაკი, სხვას არ აცლიან სიტყვის თქმას, უყვართ საკუთარი ცხოვრებიდან ამბების, ეპიზოდების, შემთხვევების მოყოლა. მათ სხვისი აზრი, სხვისი ნათქვამი არ აინტერესებთ. ბატონი ერეკლე ასეთი ადამიანების სრული ანტიპოდი იყო. უახლოეს მეგობართა წრეშიც კი უჭირდა საკუთარ თავსა და საკუთარ გეგმებზე ლაპარაკი.

ჩვენ, ადამიანები, ხშირად უღირსს ვაქებთ, რათა მასზე უკეთესი გავაღიზიანოთ და დავჩრდილოთ. ნამდვილად ქების ღირსის ქება გაცილებით ძნელია, ვიდრე უღირსისა. ბატონი ერეკლე სავსებით უშურველი კაცი იყო, რო-

მელსაც სხვისი წარმადობა არ აღიზიანებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ერეკლე ტატიშვილს ეჯავრებოდა პირადი ანტიპათიის პირმოთენე და ფარისევლური დაფარვა. ვინც არ უყვარდა, იმას ამკარად, საკმაოდ „აგრესიულად“ აგრძნობინებდა თავის დამოკიდებულებას და ახალი მტრის შეძენა არ აშინებდა.

მაგრამ არც საგანგებო სიგოროზე და გულზვიადობა ახასიათებდა, არც თავისი ევროპაშემოვლილობა აკვირვებდა და არც თითქმის ყველა ევროპული ენის ზედმინევენითი ცოდნა ახვევდა თავბრუს.

XX საუკუნეში — მასობრივი წერისა და მასობრივი ბეჭდვის საუკუნეში, ბატონი ერეკლე ირონიულად დაჰყურებდა გრაფომანიით შეპყრობილ ადამიანებს, რომელთაც ისეთი პოზა ჰქონდათ მიღებული, თითქოს მათი წიგნები რომ არა, ქვეყანა ჩამოიქცევოდა. ერეკლე ტატიშვილის ნაწერები ერთ თხელ რვეულად აიკინძება, რადგან მას არ შეეძლო ის დაენერა, რასაც არ ფიქრობდა. ხოლო იმის დაწერა, რასაც მაშინ ადამიანები ფიქრობდნენ, ერთობ სახიფათო იყო. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მაშინ წერდნენ იმას, რასაც არ ფიქრობდნენ.

...ბატონი ერეკლე ადამიანი იყო და არაფერი ადამიანური მისთვის უცხო არ ყოფილა. უაღრესად სუბიექტური იყო სიყვარულსა და სიძულვილში, სიმპათიებსა და ანტიპათიებში. მას ჰქონდა „დისტანციის პათოსი“, მისივე მოძღვრის ენით რომ ვთქვათ; ყველას არ მიუშვებდა თავის სიახლოეს, სიყვარულისა და სიმპათიის განაწილებაში ძალიან ხელმომჭირნე იყო და აქტიური სიძულვილიც იცოდა.

მისთვის სრულიად უცხო იყო აკლოზი და მენტორული ტონი, არ უყვარდა ჭკუის-დამრიგებლური ჩიჩინი, საკათედრო რიტორიკა და მძაღვაბლის პათოსი. გაცილებით უმცროს მავობრებსაც ყურადღებით უსმენდა და ჰქონდა საკუთარი აზრის პა-

ტივისცემის უნარი. ჭირის დღესავით სძაბდა ყოველგვარი ფანატიზმი.

განუზომელია ერეკლე ტატიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე, ჯერ მხოლოდ, როგორც პედაგოგისა: საერთაშორისო სამართლის, საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტთა და მთარგმნელთა აღმზრდელის. შეიძლება ითქვას, რომ მისმა პიროვნულმა და მოძღვრულმა ღირსებებმა, მათ შორის, უკომპრომისო, თავგანწირულმა ხასიათმა და უაღრესად ფართო ლიტერატურულ-რელიგიურმა, ფილოსოფიურ-იურიდიულმა განათლებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა, რათა ჩვენი უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტობის საკმაოდ მოზრდილსა და საუკეთესო ნაწილს შინაგანი მზერით გაერღვია თავსმობეული უკიდურესად დახშული სივრცე და ზიარებოდა საკუთარი მეობის გადარჩენისთვის აუცილებელ ნამდვილ, წარუვალ სულიერ ღირებულებებს: ერთი მხრივ, ქართული კულტურის წილიდან და მეორე მხრივ, ადრეული თუ თანადროული ევროპული კულტურისა.

რაც შეეხება ერეკლე ტატიშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მისი მხატვრული და მთარგმნელობითი მემკვიდრეობა არ არის დიდი და ბოლო ხანებამდე მთლიანად ესეც არ იყო ცნობილი.

მისი თანამშრომლობა ქართულ სალიტერატურო პრესაში შეწყდა: აკადემიური ასოციაციის უკანასკნელი ჟურნალის „ახალი კავკასიონის“ გამოცემის შეწყვეტასთან (1925 წ.) ერთად.

ერეკლე ტატიშვილს თარგმნილი ჰქონია ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობა“, მაგრამ გამოსაცემად გამზადებული წიგნი სამწუხარო და აუხსნელი შემთხვევის გამო, სტამბაში დაკარგულა... მისი სახელი გაივლინა გრიგოლ წერეთლის „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომის შესავალში, სადაც ჩვენი სახელოვანი ელინისტი გულითად მადლობას უძღვნის სამ

მთარგმნელს, მათ შორის ერეკლე ტატიშვილს, რომელთაც მის მიერ რუსულად დაწერილი წიგნი ქართულად გადმოიღეს.

მან თარგმნა რამდენიმე პიესაც, თავისი დისწულის, რეჟისორ გიორგი ჟურულის თხოვნით: ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (პირველად დაიდგა 1935 წელს), ბერნად შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, რომლის დადგმაც ველარ მოხერხდა, დაბეჭდვით კი საკმაოდ მოგვიანებით დაიბეჭდა, ოღონდ სრულად, განსხვავებით შილერის პიესისგან, რომლისაც მხოლოდ სამონტაჟო ტექსტი აღმოჩნდა და გამოქვეყნებისას მისმა მოწაფეებმა შეავსეს... რაც შეეხება მაქსიმ გორკის „ეგორ ბულიჩოვს“, მისი თარგმნის დედანი ჯერჯერობით მიუკვლეველია.

ერეკლე ტატიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის გვირგვინი ფრიდრიხ ნიცშეს ფილოზოფიური რომანის „ესე იტყოდა ზარატუსტრას“ თარგმანია. ერეკლე ტატიშვილი არამხოლოდ „ზარატუსტრას“ არსს, მის ფარულ ხვეულებს აღმოაჩენს, არამედ თვალნათლივ გადაგვიშლის თვითონ ფილოსოფოსის, ამ უკიდურესობათა ჯადოქრისა და ახალი სიტყვის მაუწყებლის სულიერ ტრაგედიას, სადაც ნიცშე ერთდროულად გვევლინება გმირად, ჯალათად და მსხვერპლად.

ბატონ ერეკლესთან კალაშნიკოვთან, „შემთხვევით“ საუბარში გაცილებით მეტსა და უკეთესი გაიგებდი და გაიტავისებდი, ვიდრე ათასი წიგნის წაკითხვითა და ოფიციალური ლექციის მოსმენით. მისი მოწაფეები მასთან ეზიარნენ ჭეშმარიტებას, რომ ხეცნობადისა არ არის ხეცხოვრებისა, რომ ადამიანის ბედნიერება მხოლოდ მეცნიერებისა და ცოდნის მეშვეობით ვერ მიიღწევა.

...და ბოლოს, ბატონ ერეკლეს ეთიკური ჰეროიზმი ახასიათებდა. იგი უკომპრომისო და ქედმოუხრელი წავიდა ამ ქვეყნიდან და ასეთი დარჩა მის გარშემო მყოფთა მეხსიერებაში.

სერგი დურმიშიძე

მარშალი წინანდალი

1948 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირის მარშალი თედორე ტოლბუხინი* წინანდალს ესტუმრა. მას, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს, თან ახლდა მრავალრიცხოვანი სამხედრო ამალა. სტუმრებს თელავში ჩამოსვლამდე გომბორის მხარე დაეთვალიერებინათ. ყველანი წინანდლის სასტუმროში დაბინავდნენ. რაიონის ხელმძღვანელობა მათ ჩამოსვლას არ ელოდა, ისიც კი არ იცოდნენ, თუ რამდენ ხანს დარჩებოდნენ და თელავიდან საით მიემგზავრებოდნენ. ერთი რამ კი ცხადი იყო: წინანდალში უნდა ესადილათ და აქვე უნდა დაესვენათ.

მარშალთან შესახვედრად რაიონიდან ხუთი კაცი მოიწვიეს. მათ შორის მეც გახლდით. როდესაც წინანდლის ცნობილ ღვინის სარდაფში მივედი, ყველანი სადეგუსტაციო მაგიდას შემოსხდომოდნენ და ღვინის ნიმუშებს აჭაშნიკებდნენ. ახსნა-განმარტებას მთავარი მეღვინე გური კანდელაკი აძლევდა. მან ჩემი შესვლისთანავე საუბარი შეწყვიტა და მარშალთან წარმადგინა: — მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის დირექტორია, სპეციალობით ბიოქიმიკოსი, თქვენ რა საკითხებიც გაინტერესებთ, შეუძლია პასუხი გაგცეთ. საუბარში მარშლის პირადი ადიუტანტი ჩაება და რამდენიმე შეკითხვა მომცა.

მას სურდა, გაეგო, რა როდენობითაა ნახშირწყლები წინანდლის ღვინოებში, სად მიდის, რაზე იხარჯება ყურძნის არსებული შაქრები, ავნებს თუ არა წინანდლის ღვინო შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ადამიანს.

მარშალს სურდა, რაც შეიძლება დანვრილებით მეამბო ამ საკითხებზე. საჭირო შეიქნა რამდენიმე სქემის დახაზვა და ზოგიერთი ნაერთის ფორმულების მოშველიებაც კი. საუბრის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ ღვინის სპირტული დუღილის

დროს ყურძნის შაქარი ეთილის სპირტად და ნახშირორჟანგად იშლება და, თუ ყურძნის წვენი სრულად დადუღდება, მასში შაქარი მხოლოდ კვალის სახით რჩება; ასეთ ღვინოს მშრალ ღვინოს უწოდებენ და იგი დიაბეტით დაავადებულთათვის საშიში არ არის. მარშალი ჩემი განმარტებებით კმაყოფილი დარჩა და გური კანდელაკს მიმართა: — ამხანაგო, მთავარო მეღვინე, ახლა თქვენი მშრალი ღვინის ნიმუშებს უფრო გაბედულად გავესინჯავო.

მე ჩემი მოვალეობა შესრულებულად ჩავთვალე და, რაიკომის მდივან სიმონ სილაგაძესთან შეთანხმებით, სტუმრები დავტოვე. ეზოში ადიუტანტი დამეწია და მთხოვა, დავრჩენილიყავი — მარშალს კიდევ აქვს თქვენთან რამდენიმე შეკითხვაო. თედორე ტოლბუხინს აინტერესებდა მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების ისტორია, შეიძლებოდა თუ არა ქართული ვაზის ჯიშების გავრცელება რუსეთში და, კერძოდ, სად. იმჟამად მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტს ცდები მხოლოდ უკრაინაში ჰქონდა, ძირითადად, რქანითელის ჯიშში იცდებოდა და მეც ამის შესახებ ვუამბე. საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მარშალს ყველაფერი აინტე-

რესებდა, რასაც ქვეყნის ეკონომიკასთან ჰქონდა კავშირი. პასუხს წინანდლის მეურნეობის სპეციალისტები აძლევდნენ. წინანდლის საბჭოთა მეურნეობას მაშინ შესანიშნავი სამეული განაგებდა: დირექტორი — ვანო ჩარკვიანი, მთავარი მევენახე — იოსებ ბოლქვაძე და მთავარი მეღვინე, როგორც უკვე აღვნიშნე, გური კანდელაკი. მათი ყოველი პასუხი მაღალკვალიფიციური და ამომწურავი იყო. მარშალი მათ დიდი ყურადღებით უსმენდა.

სადილი სასტუმრო დარბაზში მოეწყო. სუფრასთან ოცამდე კაცი ვისხედით. პურობის საერთო ხელმძღვანელობა რაიადმასკომის თავმჯდომარეს არჩილ უთიშვილს მიანდევს. მე საპატიო სტუმრის გვერდით დამსვეს და დამავალეს, მისთვის ყურადღება არ მომეკლო. მარშალი კერძებსაც ისე აჭაშნიკებდა, როგორც ღვინოს, მეტად მოზომილად იკვებებოდა. განსაკუთრებით ალაზნის ლოქო და მშრალი სოკოსაგან დამზადებული შეჭამადი მოეწონა. ღვინოებში „წინანდალი“ აირჩია, „მუკუზანი“ უფრო მომწონს, მაგრამ წინანდალში ვიმყოფებით და ამაღამ „წინანდალს“ ვცეთ პატივიო.

სადილობის დროს ადიუტანტმა სამხედრო პირებს გამოუცხადა: მარშალი ამაღამ აქ რჩება და შეგიძლიათ, პურმარილს თავისუფლად შეექცეთო. მართლაც, რამდენიმე საათში ჩვენი თავშეყრა დღესასწაულს დაემსგავსა. მასპინძლებმა სუფრასთან მოიწვიეს სახალხო მომღერალი გიორგი პაპალაშვილი და ხანდაზმულ მომღერალთა გუნდი. ჩვენს შეკრებას

* თედორე ტოლბუხინი (1894—1949) — საბჭოთა მხედართმთავარი, საბჭოთა კავშირის გმირი, ბულგარეთის გმირი, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, შტაბს-კაპიტანი; მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იყო სხვადასხვა არმიის მეთაური, ხელმძღვანელობდა ჯარებს სტალინგრადის, დონის, დონბასის ბრძოლებში; მონაწილეობდა იუგოსლავიის, რუმინეთის, უნგრეთის გათავისუფლებაში; იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 1947 წლიდან გარდაცვალებამდე გახლდათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეთაური.

ამშვენებდა, აგრეთვე, იმ დროს წინანდლის მეურნეობაში შემთხვევით მყოფი **თამარ ჩიქოვანი**, ცნობილი მევენახის — ირაკლი რცხილაძის მეუღლე, როგორც ერთ-ერთი დიასახლისი, პირადად მარშალს მასპინძლობდა. შუა პურობისას წინანდელმა პიონერებმაც მოგვინახულეს და ახლა უკვე ყველა თაობის წარმომადგენლები ესიყვარულებოდნენ ომგადახდილ სახელოვან სარდალს.

თედორე ტოლბუხინი არაჩვეულებრივად გამხიარულდა. ქალბატონ თამარს სთხოვა, გადაეთარგმნა, თუ რას მღეროდა გიორგი პაპალაშვილი ომში მიმავალ გლეხკაცსა და მის სათაყვანებელ მეფე ერეკლეზე. მარშალს განსაკუთრებით ხალხური ლექსის შემდეგი ორი ტაეპი მოეწონა:

„ომში მივდივარ ლამაზო, თან გამაყოლე მე გული, უნდა სამშობლო დავიცვა, შენი ცრემლებით ნამული“.
„ერეკლემ ხმალსა დაჰკივლა, გასჭერ გამიძებ ტიალო, შემოსეული დუშმანი, მოვსპო და გავატილო“.

ტკბილად კვნესოდა ფანდური და გიორგი, მოხუცთა გუნდი და პიონერები სიმღერებში ერთმანეთს ეცილებოდნენ.

თედორე ტოლბუხინმა სიტყვა მოითხოვა და ქართველი ხალხის სადღეგრძელო შესვა:

— ბევრ ქართველს ვიცნობ, მათთანაც გაგივლია ბრძოლის დღეები, დიდ პატივს ვცემ თქვენს პაქაყურ სულს, მეგობრული ბრძნობით სავსე გულს, დიდად ვაფასებ თქვენს ეროვნულ გონიერებას. იყავით მუდამ ასეთი, მრავალშაჰიური იყოს თქვენი მეგობრული ყველგან.

ყველანი ფეხზე ავდექით და ისე შევსვით ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის სადღეგრძელო. ყველა მიხვდა, რომ სწორედ ახლა იყო შესაფერისი მომენტი, რომ მარშალს ეგრძნო, თუ როგორ უყვართ რუსი ხალხის შვილები ქართველებს. პირველი სიტყვა დიასახლისმა წარმოთქვა. თამარ ჩიქოვანის ბრძნულმა სიტყვამ სტუმ-



თედორე ტოლბუხინი:

«ბევრ ქართველს ვიცნობ, მათთანაც გაგივლია ბრძოლის დღეები, დიდ პატივს ვცემ თქვენს პაქაყურ სულს, მეგობრული ბრძნობით სავსე გულს, დიდად ვაფასებ თქვენს ეროვნულ გონიერებას. იყავით მუდამ ასეთი, მრავალშაჰიური იყოს თქვენი მეგობრული ყველგან»

რებიც გააკვირვა და მასპინძლებიც. რუსი ხალხი ადღეგრძელა, დაღუპულები მოიგონა, თედორე ტოლბუხინს განეული გამირობისათვის მადლობა გადაუხადა და ქართველი დედების სახელით შუბლზე ეამბორა. თედორე ივანეს ძე აღელდა...

მოხუცებმა მრავალშაჰიური დააგუგუნეს. გენერალი კალცნელსონი ამბობდა: თედორე ასეთი არასოდეს არ მინახავსო.

სუფრას ახალი სტუმრები შემოემატა; სარდაფის ძველმა მუშებმა მარშალს ხილის თარფი მოართვეს. ახალშემოსწრებულთა სახელით ჩვენი დიდი სტუმრის სადღეგრძელო კისისხეველმა ქურციკაშვილმა დალია. ტოლბუხინის გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ იგი პირველი მსოფლიო ომის მონაწილე იყო.

— მეც ვმონაწილეობდი 1914-1917 წლების ომში, როგორც ასეულის კომანდირი, — მიმართა

მარშალმა ქურციკიშვილს.

შუალამემ ისე მოაწია, ვერ შევიტყვეთ. არავის უნდოდა დასაძინებლად წასვლა. მგონი, არც თედორე ტოლბუხინს სურდა... მაგრამ ადიუტანტმა გამოაცხადა: დილით აზერბაიჯანში მივდივართ და ახლა უკვე დასვენების დროაო.

სუფრიდან აშლის წინ ვანო ჩარკვიანმა იოსებ სტალინის სადღეგრძელო შესვა. ყველანი ფეხზე ავდექით. მარშალმა შემოგვთავაზა, რომ სტალინისათვის ახლა ჯანმრთელობა გვესურვებინა, მის დამსახურებებზე კი აქ, ამ სუფრასთან, არ გველაპარაკა, სიტყვაძუნწი ვყოფილიყავით. თედორე ივანეს ძის რჩევა უსიტყვოდ შევასრულეთ. ხანდაზმულთა გუნდმა „გაფრინდი, შავო მერცხალო“ იმღერა...

მეორე დღეს დილით მარშალს კვლავ შევხვდით. წინა დღის შეხვედრებით იგი უაღრესად კმაყოფილი იყო. საუბრებზე გური კან-

დელაკს სხვათა შორის ეთქვა: — იალტაში, სამი სახელმწიფოს მეტაურთა თათბირზე მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტიდან სუფრის ღვინის ნიმუშები გაგზავნესო.

ამ ამბით დაინტერესებულა და ამჯერად მასთან შეხვედრისას მთხოვა, ყველაფერი დაწვრილებით მეამბნა:

1945 წლის იანვრის ერთ დღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისიდან ტელეფონზე სასაუბროდ გამომიძახა და დამავალა: ინსტიტუტის ღვინის კოლექციიდან 1937 წლის მოსავლის 40 ბოთლი „ენისელი“ ამომერჩია, თითოეული ნიმუში კარგად შემემონებინა, ხელახლა დამელუქა, ახალი ეტიკეტები დამეკრა და სამინისტროს წარმომადგენლის — ალიოშა ლატარიასათვის გადამეცა. ღვინო იალტაში კონფერენციაზე უნდა გაეგზავნათ. ეტიკეტები ქართულ და რუსულ ენებზე თელავის სტამბაში დავბეჭდეთ: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია“.

მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტი

რქანითელი, ენისელის ნაკვეთი 1937 წლის მოსავალი“.

ენისელის მიკრორაიონიდან მიღებული სუფრის ღვინო უჩვეულო არომატითა და შესანიშნავი გემოთი გამოირჩეოდა. ღვინის ამ ნიმუშებს მსოფლიოს გამოჩენილი მელვინეები ყველა დეგუსტაციაზე ყოველთვის უმაღლეს შეფასებას აძლევდნენ. მინისტრის დავალებები ზუსტად შევასრულეთ. ა. ლატარიამ ღვინის ნიმუშები ტყავგამოკრულ ლამაზ ყუთებში ჩააწყო და ისე წაიღო.



**სარგი ღურმიშიძე —
მევენახეობა-მელვინეობის
ინსტიტუტის დირექტორი**

მარშალი ინტერესით მისმენდა. საუბარში წინანდლის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ჩაერია: პატივცემულო თედორე ივანეს ძევ, ინსტიტუტი აქვეა, ენისელის ღვინის ნიმუშები მათ საკმაო რაოდენობით აქვთ და იქნებ გასინჯოთ. მარშალმა დინჯად გვიპასუხა:

— ღვინის ის ნიმუშები ხომ ამხანაგ სტალინს ეკუთვნის. მაგის დაღვრის უფლება არავის აქვს. შეინახეთ, როგორც ძვირფასი რელიქვია. ჩემთვის, რაც გავიგე, ესეც მნიშვნელოვანიაო.

სტუმრების გამგზავრების წინ მასპინძლებმა მათთან ერთად სურათი გადავიღეთ. მარშალი ზაქათალამდე გავაცილეთ. დაშორე-

ბისას თედორე ივანეს ძემ ყველა გამცილებელი გადაკოცნა. გამომშვიდობებისას მომმართა: — სერგეი ვასილის ძევ, თუ თბილისში ჩემთან ჩამოხვალთ, თურქული ჩაით გაგიმასპინძლებითო.

ერთი კვირის შემდეგ, რაიონის ხელმძღვანელობის დავალებით, თედორე ივანეს ძეს თბილისში, გურამიშვილის №16-ში ბინაზე ვესტუმრე. ხელცარიელი მისვლა უხერხულად ჩავთვალე და თელაველების სახელით ჩურჩხელები, რამდენიმე ღვინის ნიმუში და ნანადირევი მივართვი. ნობათი ლამაზ თუშურ ხურჯინში იყო ჩალაგებული. მარშალი შეუძლოთ დამხვდა, მაგრამ მაინც თბილად მიმილო, ბოდიში მოიხადა, ავად ვარ და დაპირებას ვერ შევასრულე, თქვენთან ერთად ვერ ვისაუბმეო. როდესაც გაიგო, რომ მცირეოდენი ძღვენი მივართვი, მისაყვედურა — საჩუქრების მოტანა ზედმეტია, უხერხულ მდგომარეობაში რატომ მაყენებთო. დიდხანს არ დავრჩენილვარ. გამომკითხა, ამჟამად რაიონს ყველაზე მეტად რა გაჭირვება აქვსო და გადმომცა განკარგულება სამხედრო ფონდიდან ორი ტრაქტორის თელავის რაიონის საბჭოთა მეურნეობისათვის გადაცემის შესახებ. საბუთების გასაფორმებლად თან ადიუტანტი გამომაცილა. როდესაც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში მივედი, ადიუტანტმა კიდეც ერთი განკარგულება წარადგინა: „მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტის დირექტორს პირადი სარგებლობისათვის ნახმარი მსუბუქი ავტომანქანა „მ-1“ გამოეყოს“. ასეთი სახის ჯილდო ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო! ჩემდა სამწუხაროდ, მე უკვე აღარ შემეძლო მადლობა პირადად მარშლისათვის გადამეხადა.

გავიდა ათეული წლები და ახლა ვფიქრობ: ყველაზე ძვირფასი, რითაც მაშინ, იმ მცირე დროით შეხვედრისას თედორე ტოლბუხინმა დაგვასაჩუქრა, ეს იყო ის დიდი ადამიანური, სულიერი სითბო, რაც აქამდე მოგვცვა.

**ენისელის მიკრორაიონიდან მიღებული
სუფრის ღვინო უჩვეულო არომატითა
და შესანიშნავი გემოთი გამოირჩეოდა.
ღვინის ამ ნიმუშებს მსოფლიოს
გამოჩენილი მელვინეები ყველა
დეგუსტაციაზე ყოველთვის უმაღლეს
შეფასებას აძლევდნენ.**

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა

ქართული თეატრის დღეს საფუძველი ჩაეყარა 1850 წლის 14 იანვარს, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი — გიორგი ერისთავის „გაყრა“ დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში. 1850 წლის 14 იანვარს გიორგი ერისთავმა ქართველი არისტოკრატიის მხარდაჭერით, მეფისნაცვალ ვორონცოვის ხელშეწყობით, გიმნაზიის (ამჟამად თბილისის №1 სკოლის) შენობაში დადგა პირველი სპექტაკლი „გაყრა“. იგი თვითონ იყო პიესის ავტორიც, რეჟისორიც და სომეხი ვაჭრის როლის შემსრულებელიც.

ქართული თეატრის ისტორია კი შორეულ წარსულში იღებს სათავეს. თრიალეთში აღმოჩენილ ვერცხლის თასზე (ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანა) გამოსახულია მისტერია — ნილბოსანთა ფერხული; სახიობებსა და მისტერიებში, საგუნდო სიმღერებში შემორჩენილია ნაწყვეტები საფერხულო დრამებიდან („ამირანი“, „აბესალომ და ეთერი“, „ავთანდილი“ და „თავფარავნელი ქაბუკი“). კოლხეთის სამეფოში კი ძვ.წ. VIII საუკუნეში კუტიას (ახლანდელი ქუთაისი) მახლობლად არსებობდა არენა, სადაც იმართებოდა თეატრალიზებული სანახაობები.

ბიზანტიელი ისტორიკოსის — პროკოფი კესარიელის ცნობით, კოლხურ ქალაქ აფსარუნტში იყო თეატრის შენობა და იზოდრომი, ხოლო კლდეში ნაკვეთ ქალაქ უფლისციხეში (ძვ.წ. III-II სს.) შემორჩენილი სათეატრო ნაგებობა. ასე რომ, ძველ საქართველოში კარგად იცნობდნენ ანტიკურ თეატრალურ-სანახაობით კულტურას.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიული და მხატვრული ლიტერატურის ძეგლებში აღმოჩენილია ძველი ქართული დრამატული პოეზიის ფრაგმენტები და ელინისტური პერიოდის პანტომიმურ წარმოდგენათა ვრცელი აღწერა, ასევე მრავალი ქართული ძირეული თეატრალური ტერმინი.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. 30-იანი


წლები) შეიქმნა საეკლესიო თეატრი და დრამა. პარალელურად ვითარდებოდა ხალხური თეატრალური სანახაობა „ბერიკაობა“, მოგვიანებით — „ყეენობა“.

შუა საუკუნეებში განვითარდა სასახლის კარის თეატრი — სახიობა (ნილბოსანთა წარმოდგენები მუსიკის თანხლებით). თეიმურაზ I-მა და არჩილ II-მ სახიობისთვის შექმნეს დიალოგები და პოლემიკური დრამატურგიის ნიმუშები, ე.წ. გაბასებანი.

XVIII საუკუნის 90-იან წლებში ერეკლე II-ს სასახლესთან, გიორგი ავალიშვილის ხელმძღვანელობით, შეიქმნა საერო თეატრი. აქ ორიგინალურთან ერთად რუსულიდან ნათარგმნი და გადმოკეთებული პიესებიც იდგმებოდა. ამავდროულად პერიოდში მუშაობას განაგრძობდა სასახლის კარის თეატრი — სახიობა, რომელსაც სათავეში დავით მაჩაბელი ედგა. მაჩაბლის დასის მრავალი მსახიობი გმირულად დაეცა 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრეები. 1845 წელს თბილისში დაარსდა რუსული დრამატული თეატრი, ხოლო 1850 წელს, მოწინავე ქართველ საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით და გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით, აღორძინდა ქართული პროფესიული თეატრი (1850—1856).

გიორგი ერისთავმა თეატრსა და დრამატურგიაში განავითარა რე-



კოტე მარჯანიშვილი

ალისტური მიმდინარეობა. 1851 წელს თბილისის ქარვასლის თეატრში გაიმართა პირველი საოპერო წარმოდგენა. ეროვნული თეატრის აღორძინება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ თეატრალურ დასს ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, რის გამოც 1856 წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმები მხოლოდ მოყვარული თეატრალების მიერ ხორციელდებოდა.

ქართული სასცენო ხელოვნების ახალი ნაყოფიერი პერიოდი 1879 წელს დაიწყო, როდესაც თბილისში მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით, ქართული პროფესიული დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. ამ პერიოდში ქართულ თეატრსა და დრამატურგიაში განვითარდა გმირულ-რომანტიკული და რეალისტურ-კომედიური მიმართულებები. პარალელურად ქართული თეატრის რეპერტუარში დამკვიდრდა უცხოური კლასიკური დრამატურგიის ნიმუშები.

ხოლო 1880-86 წლებში გოლოვინის პროსპექტზე (ახლანდელი რუსთაველის გამზ.) აიგო სახაზინო თეატრი, რომელშიც 1896 წლიდან „თბილისის სახაზინო ოპერის თეატრი“, დღეს კი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ფუნქციონირებს.

1881 წლის 18 იანვარს დაფუძნდა დრამატული საზოგადოება (შემდგომში — თეატრალური საზოგადოება). საზოგადოების წევრთა პირველ ყრილობაზე თავმჯდომარედ აირჩიეს ილია ჭავჭავაძე, თავმჯდომარის მოადგილედ — აკაკი წერეთელი. 1945 წლის 9 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, შეიქმნა „საქართველოს თეატრალური საზოგადოება“. იმავე წლის 17 დეკემბერს რუსთაველის თეატრში მოინიჭეს საზოგადოების დამფუძნებელი ყრილობა, თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ხორავა, ხოლო მოადგილედ — შალვა დადიანი.

XIX საუკუნის ბოლოს ქართულ სცენაზე მოღვაწეობდა რეალისტური სამსახიობო სკოლის წარმომადგენელთა თვალსაჩინო პლეადა. XX საუკუნის დასაწყისში კი ასპარეზზე გამოვიდნენ პროფესიონალი რეჟისორები. 1921 წლის 25 ნოემბერს თბილისის ქართულ თეატრს შოთა რუსთაველის სახელი მიენიჭა.


ქართული თეატრის აღმავლობა, ახალი სათეატრო ფორმებისა და პროფესიული რეჟისურის პრინციპების დამკვიდრება დაკავშირებულია ორი დიდი რეჟისორის — კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის სახელებთან. მათ ქართულ თეატრში განსაკუთრებული ეპოქა შექმნეს, რომელიც სასცენო ხელოვნების განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს დღესაც განაპირობებს.

რუსთაველის თეატრში რეჟორმატორული ძიებების შემდეგ კოტე მარჯანიშვილმა საფუძველი ჩაუყარა ახალ თეატრს, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. სანდრო ახმეტელის სცენური შედეგები კი მსოფლიო თეატრალური ელიტის ყურადღების ცენ-

ტრში მოექცა და ქართულ თეატრს პირველი საერთაშორისო აღიარება მოუტანა. თეატრალური რეჟორმის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქართული თეატრალური მხატვრობის განვითარებას (ი. გამრეკელი, პ. ოცხელი, ე. ახვლედიანი, ლ. გუდიაშვილი, დ. კაკაბაძე, ს. ვირსალაძე).

გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა ქალაქში დაარსდა პროფესიული თეატრები და XX საუკუნეში მსახიობთა სახელგანთქმულ თაობებთან ერთად ქართული თეატრის ისტორიას ქმნიდნენ რეჟისორები: დ. ალექსიძე, ვ. ტაბლიაშვილი, ა. ჩხარტიშვილი, ვ. ყუშიტაშვილი, გ. ლორთქიფანიძე, ლ. იოსელიანი, შ. განერელია, რ. გაბრიაძე, მ. კუჭუხიძე, გ. ჟორდანია, ა. შალიკაშვილი, ლ. მირცხულავა, გ. ქავთარაძე...

XX საუკუნის 60-70-იანი წლებიდან ნოვატორული ძიებებისა და სხვადასხვა თეატრალურ-ესთეტიკური მიმართულების დამკვიდრება გამოჩენილ რეჟისორებს — მიხეილ თუმანიშვილს, რობერტ სტურუასა და თემურ ჩხეიძეს უკავშირდება. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრმა რ. სტურუას ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე ტრიუმფალური საგას-



აკაკი ხორავა

ტროლო ტურნეები გამართა. XX საუკუნის მიწურულს, საქართველოში სახელმწიფო თეატრების გვერდით გაჩნდა კერძო პროფესიული თეატრები, კამერული სცენები და ექსპერიმენტული სივრცეები, რომლებმაც ქართულ სათეატრო პროცესში მალევე დაიმკვიდრა ადგილი.

დღეს ბევრს მიაჩნია, რომ ქართულ თეატრს, უპირველესად, ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაზე აღზრდილი მაყურებელი აკლია...მერე კი — ქართული სული...თუმცა დროის ფაქტორი ულმობელია — კომუნიკაციების მრავალფეროვნება, მედიასივრცის დიქტატი, ნეიროტექნოლოგიების ბუმი...და მსოფლიოში უთავბოლოდ გაფანტული ქართველობა.

დრო ცვლის ყველაფერს და მასთან ერთად იცვლება თეატრიც, იცვლებიან მსახიობები, მაყურებლები და ა.შ. თუმცა თეატრი ხელოვნების ისეთი რელიქტია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც მამისგან შვილს გვარი და ამ საგვარეულო ჯაჭვის განწყვეტა შეუძლებელია!

თეატრი ის ადგილია, სადაც სცენაზე, შენს ცხოვრებას გვერდიდან უყურებ, შეიძლება მოულოდნელად რომელიმე მსახიობში საკუთარი თავიც დაინახო. კინოსგან განსხვავებით, თეატრში ყველა სიტყვა, გრძნობა და მოქმედება უფრო მძაფრ და რეალისტურ შეგრძნებებს ტოვებს მაყურებელში.




შალვა დადიანი

თანამედროვე ქართული თეატრის შემოქმედებით პრობლემებზე დღეს ბევრი საუბრობს, მაგრამ ცალსახად იმის მტკიცება, რომ თანამედროვე ქართული თეატრი მწვავე კრიზისის განიცდის ან პირიქით — უწყვეტი ევოლუციის, თუნდაც სწრაფი განვითარების გზას ადგას, არასერიოზულიც კია.

თეატრის თითოეულ მკვლევარს, ექსპერტს, ისტორიკოსსა თუ თეორეტიკოსს თავისი მკაცრად განსაზღვრულ-ჩამოყალიბებული პოზიცია გააჩნია ამის თაობაზე. მაგალითად, ზოგს მიაჩნია, რომ

— შემოქმედებითი პრობლემების წარმოშობას, უპირველეს ყოვლისა, თვით პროცესი ავლენს, მათ კი ხელს უწყობს სახელმწიფო, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სტრუქტურული ფაქტორები და ის სოციუმი, რომელშიც ცხოვრობს და მოღვაწეობს ხელოვანი.

— შემოქმედებითი პროცესი თანამედროვე ქართულ თეატრში ძირითადად არათანმიმდევრულია, პრობლემების სპექტრი და სტრუქტურა — ჭრელი. სიჭრელის ფონზე რთულია, გამოარჩიო ყველა კომპონენტით წარმატებული პროექტი, ისე, როგორც სხვადასხვა, აქამდე ქართული თეატრისთვის უცხო მიმართულებისკენ სწრაფვა.



გიორგი ლორთქიფანიძე

— ქართული თეატრი ძირითადად მაინც ტრადიციული გზით ვითარდება. იშვიათი შემთხვევების გარდა, ჩვენში არც ისე პოპულარულია, ვერ დამკვიდრდა არავერბალური თეატრი, ისე როგორც დოკუმენტური თეატრი. ქართული თეატრი მხოლოდ ფორმით ცდილობს ექსპერიმენტების განხორციელებას, აზროვნებითა და მსოფლმხედველობით კი ისევ ტრადიციების ერთგული რჩება.

— თანამედროვე ქართული თეატრისთვის უცხო გახდა რადიკალიზმი, ის უფრო მოკრძალებულ ტონს ირჩევს, ანგარიშს უწევს მაყურებელს.

— ბოლო წლებში სპექტაკლებიდან უფრო იმედგაცრუებული ვებრუნდებით შინ, ვიდრე გახარებული, აჟიტირებული და ესთეტიკური ტკბობით დატვირთულნი. ერთადერთი, რაც არ ბადებს კამათის საფუძველს ის არის, რომ ქართული თეატრის მხატვრული დონე საგრძნობლად დაეცა. ეს ეხება თეატრის შემადგენელი „ატრიბუტიკის“ ყველა სფეროს. შემცირდა აზროვნების მასშტაბები და თეატრში მოვიდა დიპლომით პროფესიონალი თაობა, რომელიც პროფესიის ე.წ. „ანა-ბანა-საც“ კი ვერ ფლობს. ეს „სუსტი ნერტილი“ კი თავის გავლენას ახდენს მათ სპექტაკლებზე...

ქართული თეატრის შემოქმედებითი პრობლემებიდან ყველაზე მწვავედ სწორედ უმაღლესი სახელოვნებო განათლების პრობლემა დგას.

თანამედროვე ქართული თეატრი გარდამავალ ფაზაშია. ის ერთდროულად ცდილობს, შეინარჩუნოს ტრადიცია (რადგან ეამაყება წარსულის) და მორიდებით ილტვის თანამედროვე ფორმებისა და ექსპერიმენტებისაკენ. ამ ფონზე ძალზედ მნიშვნელოვანი ლაბორატორია ჩამოყალიბდა სამეფო უბნის თეატრში, სადაც ახალგაზრდების ჯგუფს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული სათქმელი, რომლის გამოხატვის ფორმის ძიების პროცესში არიან მუდამ. სწორედ ამ თეატრში ხორციელდება პიესების პირველი სცენური ინტერპრეტაციები თანამედროვე ევროპული და ეროვნული, ასევე კლასიკური დრამატურგიიდან.

დღეს საქართველოს დრამატულ, მუსიკალურ, პანტომიმურ, თოჯინურ და მარიონეტულ თეატრებში, სცენის აღიარებულ ოსტატებთან ერთად, მოღვაწეობს მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგებისა და სცენოგრაფების ახალგაზრდა თაობა. კიდევ უფრო გააქტიურდა საერთაშორისო კონტაქტები. ქართველი რეჟისორები და სცენოგრაფები ინტენსიურად თანამშრომლობენ მსოფლიოს სახელგანთქმულ თეატრებთან.



ახმატაღის თეატრი გოლო პერიოდში ექსპერიმენტებისა და შემოქმედებითი ძიებების ერთგვარ სივრცედ იქცა. ირაკლი გოგიაშვილი „სტუმარ-მასპინძელი“ მისტიკურ სანახაობად წარმოგვიდგინა.

თეატრალური მხატვარი დიმიტრი თავაძე

საქართველოს სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის — დიმიტრი თავაძის შემოქმედება საქართველოში თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარებასა და მის მიღწევებთანაა დაკავშირებული. თეატრში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში დ. თავაძეს მრავალი სპექტაკლი აქვს გაფორმებული არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქის თეატრებში, მაგრამ მისი მოღვაწეობა, ძირითადად, შოთა რუსთაველის სახელობის დრამატულ თეატრთანაა დაკავშირებული. ამ თეატრში მოვიდა იგი 1926 წელს სრულიად ახალგაზრდა და აქ ჩამოყალიბდა, როგორც პროფესიული თეატრალური მხატვარი. მას წილად ხვდა ბედნიერება, ემუშავა გამოჩენილი რეჟისორის, ქართული საბჭოთა თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის — სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, რამაც დიდი გავლენა იქონია მისი შემოქმედების ფორმირებაზე.

დიმიტრი თავაძე 1911 წელს სოფელ ზემო ხეთში (ჩოხატაურის რაიონი) დაიბადა. საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო, სადაც სკოლა 1926 წელს დაამთავრა. მხატვარი იგონებს, რომ მას ბავშვობიდანვე იტაცებდა როგორც მხატვრობა, ისე თეატრი. ქუთაისში, სკოლაში გამართულ წარმოდგენებში იგი მონაწილეობდა, როგორც მსახიობი. ცდილობდა, ქუთაისის დრამატული თეატრის არც ერთი სპექტაკლი არ გაეცდინა. 1923-24 წლის სეზონში ქუთაისის თეატრში გაიმართა მთავარი რეჟისორის — იუზა ზარდალიშვილის ბენეფისი. ამ თარიღისათვის დიმიტრიმ საკუთარი ინიციატივით დახატა სურათი ფოტოს მიხედვით, რომელზეც აღბეჭდილი იყვნენ ახალგაზრდა იუზა ზარდალიშვილი და სახელგანთქმული ლადო მესხიშვილი. ეს სურათი საჩუქრად მიართვა ზარდალიშვილს, სამაგიეროდ კი უფასო საშვი მიიღო მთელი სეზონის სპექტაკლებზე დასასწრებად.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებმა ქუთაისში 1925 წელს. ამ თეატრს კოტე მარჯანიშვილი ხელმძღვანელობდა. ახალგაზრდას სპექტაკლებში ყველაფერი უჩვე-

ულოდ ეჩვენებოდა — დადგმა, მსახიობების თამაში, დეკორაციები.

1926 წელს დ. თავაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. ამ დროს სამხატვრო აკადემიაში უკვე სწავლობდა მისი ორი ძმა: რუბენი (შემდგომში მოქანდაკე) და შალვა (შემდგომში არქიტექტორი).

სამხატვრო აკადემია დ. თავაძემ დაამთავრა 1930 წელს — იგი სამხატვრო განათლების ამ ეროვნული კერის (დაარსდა 1922 წელს) კურსდამთავრებულ მხატვართა ერთ-ერთი პირველი თაობის წარმომადგენელია. აქ მან საფუძვლიანი პროფესიული განათლება მიიღო გამოჩენილი ფერმწერებისა და გრაფიკოსების ხელმძღვანელობით. ესენი იყვნენ გ. გაბაშვილი, ჰ. გრინევსკი, ი. შარლემანი, ე. ლანსერე, ე. თათევეოსიანი.

1926 წელს სამხატვრო აკადემიაში რუსთაველის სახელობის თეატრიდან მოვიდა მოთხოვნა, გაეგზავნათ ორი სტუდენტი სამხატვრო და განათების საამქროებში სამუშაოდ. დ. თავაძემ სურვილი გამოთქვა და მალე მან სამხატვრო-დეკორაციულ საამქროში დაიწყო მუშაობა. 1927 წლიდან სანდრო ახმეტელმა იგი რეჟისორის თანაშემწედ გადაიყვანა, მაგ-



რამ მას დეკორაციული საამქრო არ მიუტოვებია. რეჟისორის თანაშემწის მოვალეობას იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ასრულებდა. **1930 წელს დ. თავაძე თეატრის მხატვრად დანიშნეს.** ამრიგად, პირველივე ნაბიჯებიდან მომავალი თეატრალური მხატვარი, ერთი მხრივ, კარგად დაეუფლა დეკორაციების სცენაზე განხორციელების ტექნიკურ ხერხებს, სცენის ტექნოლოგიას, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებლობა მიეცა, ყოფილიყო სპექტაკლის შექმნის უშუალო მონაწილე.

რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ახალი ტენდენციები განხორციელდა გამოჩენილი ქართველი რეჟისორის — ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით დადგმულ საეტაპო მნიშვნელობის სპექტაკლებში, რომელთა საერთო მხატვრული კონცეფციის ორგანულ ნაწილს თეატრის მთავარი მხატვრის — ირ. გამრეკელის მიერ შექმნილი მოცულობით-სივრცობრივი დეკორაციები შეადგენდა. ამ ორ დიდ ხელოვანთან კონტაქტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ახალგაზრდა მხატვრის

პროფესიულ ჩამოყალიბებაში.

სპექტაკლის პირველი დამოუკიდებელი გაფორმება დ. თავაძეს 1929-30 წლის სეზონში დავალა. ეს იყო პ. სამსონიძის პიესა „დირექტორი“. თუმცა სპექტაკლის დადგმა არ განხორციელდა, მაგრამ დეკორაციებზე წარმოდგენას გვიქმნის მცირე ზომის ესკიზები.

ასევე განუხორციელებელი დარჩა პიესა „ბერიკაობა“ (ავტორი ი. ქანთარია, კომპოზიტორი ი. ტუსკია), რომელიც დ. თავაძეს უნდა გაეფორმებინა.

დ. თავაძისთვის რუსთაველის სახელობის თეატრში მუშაობის პირველი ათეული წელი მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის ჩამოყალიბების ხანაა. ეს იყო ქართული თეატრის აღორძინების პერიოდი, დაკავშირებული გამოჩენილი ქართველი რეჟისორების — კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის მოღვაწეობასთან.

საქართველოში ამ დროს ჩაეყარა საფუძველი თეატრალურ-დეკორაციულ ხელოვნებას, როგორც სახვითი ხელოვნების დამოუკიდებელ დარგს. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბევრმა ნიჭიერმა ფერმწერმა და გრაფიკოსმა, განსხვავებული ინდივიდუალური ხელნერის მხატვრებმა: ი. შარლემანმა, ე. ახ-

ვლედიანმა, ლ. გუდიაშვილმა, დ. კაკაბაძემ, ს. ქობულაძემ და სხვებმა, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ თეატრალურ მუშაობაში, ხოლო მხატვრებმა: ირ. გამრეკელმა, პ. ოცხელმა და ს. ვირსალაძემ თავიანთი შემოქმედება მთლიანად თეატრს დაუკავშირეს. მალე თეატრის მხატვართა რიგებს შეემატა დ. თავაძე.


საქართველოში 20-30-იანი წლების სპექტაკლების გაფორმება ხასიათდება გადაწყვეტათა მრავალფეროვნებით. სცენაზე სივრცობრივ-მოცულობითი კონსტრუქციების ან სათამაშო მოედნების მთელი სისტემის გვერდით ვხვდებით ფერწერულ დეკორაციებს, პანოს სახით გადაწყვეტილ უკანა ფარდას, ყოფით დეტალებს და ა.შ. ამა თუ იმ მხატვრული საშუალების არჩევას განაპირობებდა როგორც მხატვრის ინდივიდუალობა, ასევე ნაწარმოების ჟანრი, სპექტაკლის ხასიათი და რეჟისორული გადაწყვეტა. მაგრამ აღნიშნული პერიოდის სცენოგრაფიისათვის საერთოდ დამახასიათებელია პირობითი ხასიათის შესატყვისი სპეციფიკური გამომსახველობითი საშუალებების ძიება. ამ ზოგადმა ტენდენციამ განსაზღვრა დ. თავაძის შემოქმედება მის ადრეულ ეტაპზე.

შემდგომში მხატვრის ნამუშევ-

რებში გარკვეულად ჩანს ცხოველხატული ტენდენციების გაძლიერება და სცენაზე სივრცის ილუზორული წარმოსახვა. ამგვარი მიდგომა დაკავშირებული იყო 30-იანი წლების საბჭოთა თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების განვითარების საერთო მიმართულებასთან. როდესაც სპექტაკლის მხატვრულ გაფორმებაში უპირატესობა მიენიჭა სცენაზე გარე სამყაროს რეალურ ფორმებში ასახვას. განზოგადებულ, პირობით კონსტრუქციებს პეიზაჟისა და არქიტექტურის რეალისტური ხედები ცვლის, ხშირად, ნატურალისტური სიზუსტით გადმოცემული აქსესუარებით. ამის შედეგი იყო, რომ დეკორაციებში გაძლიერდა ფერწერული ტენდენციები. დამახასიათებელია დაზგური ფერწერის ხერხების გამოყენება, რის შედეგადაც ესკიზი და თვით სცენის გაფორმება სადაზგო სურათს უახლოვდება. ამგვარმა მხატვრულმა მიდგომამ 40-იან წლებში მტკიცედ მოიკიდა ფეხი თეატრში და იგი 50-იან წლებშიც გაგრძელდა. ძირითადად ამან განსაზღვრა 30-იანი წლების შუა პერიოდიდან დ. თავაძის ნამუშევრების ხასიათი.

ცხოველხატური ეფექტებით სივრცის პრობლემის გადაწყვეტა, რაც მიღწეულია უკანა ფარდაზე ფერწერული ხერხებით გადმოცემული ილუზორული ხედით, შეერთებული მოქმედების ატრიბუტების რეალურ ფორმებთან, საფუძვლად უდევს სპექტაკლების „გმირთა თაობის“ (ს. კლდიაშვილის პიესა, რეჟისორი კ. პატარიძე, 1936-37 წლის სეზონი), „სამშობლოსა“ (გ. მდივნის პიესა, რეჟისორი დ. ალექსიძე, 1936-37 წლის სეზონი) და სხვა სპექტაკლების მხატვრულ გაფორმებას. დეკორაციებით შექმნილი საერთო მხატვრული შთაბეჭდილება ფერწერული ნაწარმოების ასოციაციას ქმნიდა.

1937 წელსაა შესრულებული გ. მდივნის პიესა „ალკაზარის“ მხატვრული გაფორმება. სპექტაკლი, რომელიც მიეძღვნა აქტუალურ თემას, სახელდობრ, ესპანელი



1932 წელი; რუსთაველის თეატრი; სამსონიძე — „სალტა“

რესპუბლიკელების ბრძოლას, რუსთაველის თეატრის დადგმებისათვის დამახასიათებელ გმირულ-რომანტიკულ პლანში იყო გადანწყვეტილი.

ამაღლებულ-რომანტიკული განწყობილება დეკორაციებშიაც პოულობს გამოხატულებას, რასაც განსაზღვრავს, უპირველესად, დეკორაციების დიდი მასშტაბის შეგრძნება. ამას მხატვარი აღწევს იმით, რომ ხიდის ფრაგმენტით დიაგონალურად კვეთს მთელ სასცენო მოედანს და თითქოს სცენას აახლოებს მაყურებელთან. მოქმედება წარმოებდა როგორც სასცენო მოედანზე, ხიდის თაღებქვეშ, ასევე ხიდზე, ზემოთ. თეატრალური პირობითობის შთაბეჭდილებას ხელს უწყობდა დეკორაციების ჩვენება უჩვეულო რაკურსში, მაღალი ხედვის წერტილიდან. შენობათა ნანგრევებს, გადატეხილ და დახრილ ელექტრონის ბოძებს დინამიკა შეჰქონდათ კომპოზიციაში. ცხოველხატულად დამუშავებული უკანა ფარდა ხან ხანძრის ბოლისა და ალის ანარეკლით გაცოცხლებულ ავდრიან ცას აღნიშნავდა, ხან კი ციცაბო კლდეზე ამაყად აღმართულ ალკაზარის ციხესიმაგრეს, რომელიც, შიგნიდან განათებული, ძლიერ ეფექტურად გამოიყურებოდა. „ალკაზარის“ გაფორმებაში ყურადღებას იქცევს აშენებული და ფერწერული დეკორაციების მხატვრული ერთიანობა.

1941-45 წლებში დ. თავაძე დიდი სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდა, ომის დამთავრების შემდეგ კი რუსთაველის თეატრს დაუბრუნდა.

რეჟისორ მ. თუმანიშვილის და მხატვარ დ. თავაძის მიერ განხორციელებული დადგმები, რომლებშიც კინოს ხერხები გამოყენებულია, როგორც მხატვრული საშუალება თანამედროვეობის დინამიკური რიტმის გადმოსაცემად, განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორც თეატრისა და კინოხელოვნების დაახლოების, მათი სინთეზის საინტერესო ცდა, რაც იმ ეპოქის თეატრისათვის



დიმიტრი თავაძე და გიორგი თუმანიშვილი

დამახასიათებელ ერთ-ერთ ტენდენციას გამოხატავს.

მნიშვნელოვანი ადგილი დ. თავაძის შემოქმედებაში უჭირავს უ. შექსპირის დრამატურგიას. შექსპირის ნაწარმოებებში ხორცშესხმული დრამატული კოლიზიები, ტრაგიკული კონფლიქტები, გმირთა ძლიერი ვნებები შთაგონების წყაროს წარმოადგენს მხატვრისათვის. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ კონკრეტული დადგმებისათვის შესრულებულ ნამუშევართა გვერდით, იგი დამოუკიდებლადაც ქმნის ესკიზებს გამოჩენილი ინგლისელი დრამატურგის პიესებისათვის. დ. თავაძე ჭეშმარიტად თეატრის მხატვარია და ამ ესკიზების ჩანაფიქრშიაც იგი ყოველთვის სცენაზე მათი განხორციელების შესაძლებლობებს ითვალისწინებს.

დ. თავაძის „შექსპირიანას“ მიეძღვნა სპეციალური თემატური გამოფენა, რომელიც 1975 წელს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სახლის საგამოფენო დარბაზში მოეწყო.

შექსპირი მის შემოქმედებაში შემოვიდა ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე, როდესაც დ. თავაძემ 1933 წელს მხატვრულად გააფორმა „ოტელო“ კიროვბადაის დრამის თეატრში (რეჟისორი შ. ალსაბაძე). აქ მან თამამად გამოიყენა სათამაშო მოედნების სის-

ტემა, რომელთა ვარიაციებითა და უკანა ფარდის შეცვლით ლაკონიურად აღნიშნავდა მოქმედების სხვადასხვა ადგილს.

მაგრამ შექსპირის ნაწარმოებებმა მხატვრის ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო 60-70-იან წლებში. რუსთაველის სახელობის თეატრში დადგმული შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ (1964, რეჟისორი მ. თუმანიშვილი). ზღაპრული ფეერის შთაბეჭდილებას ქმნიდა იასამნისფერ-მონაცრისფრო ტონებში გადანყვეტილი ტყის დეკორაცია — საიდუმლოებითა და მოულოდნელობით აღსავსე. ტყე გადმოცემული იყო ხის რამდენიმე მოქნილი, სიმაღლეში ატყორცნილი ღეროს სახით, რომლებსაც საქუსარები კვეთდნენ. ღეროების გადაადგილება და მათი სხვადასხვა კომბინაცია ფართო შესაძლებლობას ქმნიდა მოქმედების სწრაფი მონაცვლეობისათვის.

შექსპირის ტრაგედიების გაფორმება გამოირჩევა მონუმენტური ხასიათით, რაც ლაკონიური მხატვრული ენითაა მიღწეული. მათ შორისაა: „მაკბეტი“ (1963 წელი, რუსთაველის სახელობის თეატრი, რეჟისორი დ. ალექსიძე. განუხორციელებელი დადგმა), „ოტელო“ (კიროვბადაის სახელმწიფო თეატრი, რეჟისორი ი. ბაგიროვი), „ჰამლეტი“, „რომეო და

ჯულიეტა“, „მეფე ლირი“ (70-იანი წლები. დეკორაციისა და კოსტიუმების ესკიზები), „რიჩარდ III“ (1979-80 წლის სეზონი. კიროვბადის სახელმწიფო თეატრი, რეჟისორი ი. ბაგროვი). გაფორმების საერთო ლაკონიურობას ხაზს უსვამს ფერადოვანი გადანწყვეტაც, რომელიც ორი-სამი ძირითადი ფერის დაპირისპირებაზეა აგებული. დიდ როლს ასრულებს შავი ფერი, რომელიც ტრაგედიის განწყობილებას შესატყვის ფონს უქმნის („მაკბეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ჰამლეტი“).

პერსონაჟთა კოსტიუმების გადანწყვეტა — მათი საერთო იერი, ფორმა და მორთულობა — ითვალისწინებს ეპოქისა და ქვეყნის სტილს, მაგრამ ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე. განზოგადებულ ფორმებში, დიდ სიბრტყეებად მოცემულნი, ისინი მონუმენტურობას ანიჭებენ ტრაგედიის გმირებს და ორგანულად ერწყმიან გაფორმების საერთო მონუმენტურ ხასიათს.

ამასთანავე, კოსტიუმებში გამოყენებული ჟღერადი ფერები მხატვრული აქცენტების როლს ასრულებენ დეკორაციების საერთო თავდაჭერილ, „მონოქრო-

მულ“ კოლორიტში („მაკბეტი“, „რომეო და ჯულიეტა“, „ოტელო“, „ჰამლეტი“).

„მაკბეტის“ გაფორმების საფუძველია ფერთა დიდი სიბრტყეების კონტრასტები — შავი და თბილი მოყვითალო ოქრა, ან შავი და მუქი წითელი. დეკორაციები ძირითადად განსაზღვრულია უკანა ფარდის წინ მოთავსებული ტრაპეციის ფორმის სათამაშო მოედნითა და მის გვერდით სიმეტრიულად განლაგებული კიბით, ხოლო ცალკეულ აქტში მოქმედების ადგილის გადმოსაცემად ზემოდან ხან უზარმაზარი მძიმე ჭალი ეშვება (სატახტო დარბაზი), ხანაც — ჯაჭვებზე ჩამოკიდებული გისოსი (საპყრობილე) და ა.შ. დეკორაციების განზოგადებული, მონუმენტური ფორმები, დიდი გეომეტრიული სიბრტყეების დაპირისპირება სიმკაცრისა და სიდიადის შთაბეჭდილებას ქმნის.

საინტერესოაა ჩაფიქრებული „რომეო და ჯულიეტას“ მხატვრული გაფორმება. დეკორაციების ესკიზებში მხატვარმა ასახა ორი მოქიშვე საგვარეულოს — მონტეგისა და კაპულეტის — დაპირისპირება. მოშავო-მონაცრისფრო ფონზე წარმოადგინა, ძლი-

ერ ზოგადად, ორი ქონგურებიანი ციხე-სიმაგრის სილუეტი (იგულისხმება აგებული დეკორაცია), ერთმანეთისაგან გამოყოფილი კიბით, და მათ ფასადებზე ჩამოკიდა ორი დიდი ზომის ფარი: ოქროსა და ვერცხლისფერი — ფეოდალური ოჯახების სიმბოლო.


მოქმედებისათვის ძირითადად განსაზღვრულია კიბე და გეომეტრიული მოხაზულობის სათამაშო მოედანი ჭადრაკული ნახატი, ხოლო მოქმედების ადგილის შეცვლა მიღწეულია ფარების მოძრაობის (ფარები ხან ეშვება, ხან ზემოთ ადის) და, ძუნწად შეყვანილი აქსესუარებისა და დეტალების საშუალებით. სასახლის დარბაზი მინიშნებულია სასცენო მოედნის თავზე გადაკიდული ოქროსა და ვერცხლისფერი დრაპირებით და კანდელაბრებით, რომლებიც იდგმება სცენაზე. ჯულიეტას ოთახში დრაპირება ეშვება, როგორც საწოლის ფარდა.

ფარების შემობრუნება გამოაჩენს მათ უკანა მხარეს ქვის წყობის იმიტაციით, რაც, ჯვრის დიდ გამოსახულებასთან ერთად, წარმოგვიდგენს სამლოცველოს, სადაც შეყვარებულები ჯვარს ინერენ.

ამგვარი ლაკონიური მხატვრული გადანწყვეტა გაფორმებისა, რომლის გამაერთიანებელი მუდმივი ელემენტები — ციხე-სიმაგრეთა კედლები და ფარები — ეპოქისა და გარემოს განზოგადებულ მხატვრულ სახედ შეიგრძნობიან, ამავე დროს, მოქმედების ადგილის სწრაფად შეცვლას ითვალისწინებს.

მონაცრისფრო-შავი ფერების თავდაჭერილ შეხამებაზე აგებულ კოლორიტში საზეიმო ელფერი შეაქვს ოქროსა და ვერცხლის ფერების ბზინვარებას ლითონზე, მათ თამაშს ქსოვილის დრაპირებაზე.

სპექტაკლის „რიჩარდ III“ მოქმედება გამოტანილია ავანსცენაზე საორკესტრო ნაწილის გაუქმების ხარჯზე. მონუმენტური, სადა პორტალით მოჩარჩოებულ სცენას მისგან გამოყოფს სპეციალური ფარდა, რომელზეც მოცე-



1936 წელი; რუსთაველის თეატრი;
კლდიაშვილი — „შამოდგომის აზნაურები“


მულია უზარმაზარი მუზარადის მსგავსი ლითონის ნილაბი — ტრადეგიაში გადმოცემული მოვლენებისა და შუა საუკუნეების მკაცრი ეპოქის თავისებური და მეტად მეტყველი სიმბოლო.

მოქმედების ადგილის დახასიათებას მხატვარი ამ შემთხვევაშიაც ლაკონიური საშუალებებით აღწევს. ამ მიზნით იყენებს უკანა ფარდას, რომელზეც გამოხატავს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეს, საგვარეულო გერბებს და სხვ. ლაკონიურად მოცემულ სხვადასხვა ატრიბუტს (სამეფო ტახტი, ჩირაღდნები) განალაგებს გეომეტრიული ფორმის სათამაშო მოედანზე.

მაყურებელზე მხატვრული გაფორმების ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისით დიდი როლი ენიჭება ფერადოვან გადაწყვეტას. მუქი წითელი ფერი, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს გაფორმებას, დაღვრილ სისხლთან ქმნის ასოციაციას, ხოლო მონითალო-შავი ფერის საერთო გამაპიესის ტრაგიკულ განწყობას ეხმარება.

უაღრესი ლაკონიურობით ხასიათდება ესკიზებში მოცემული „ჰამლეტის“ სცენური გაფორმება. სცენა თავისუფალია დეკორაციებისაგან: შავი პანორამის ფონზე მოცემულია მხოლოდ ერთი მრგვალი დანადგარი, ოდნავ დაქანებული ზედაპირით. სათამაშო მოედანზე მოქმედების მიხედვით იცვლება საგნები — სავარძელი, სკამები და ა.შ. ამ ასკეტურ სიმკაცრეს აცოცხლებს ზოგჯერ — როდესაც მოქმედება ინტერიერს გულისხმობს — ჭედური ფირფიტებით შემკული ზემოდან ჩამოშვებული დიდი ჯვრები და მათზე დაკიდული ლამპრები, ეს დეტალები, ამასთანავე, შუა საუკუნეების ეპოქაზე მიანიშნებენ.

გამომსახველობის ძირითად საშუალებად გათვალისწინებულია განათება. სხივების კონები, საჭიროების მიხედვით სვეტებად დაცემული, სასცენო მოედანზე (ერთ, ორ ან სამ ადგილზე) გამოკვეთენ პერსონაჟთა მოქმედებას, მიზანსცენების ნახატს. ჰამლე-



1954 წელი; სავსტაქლი „ესპანელი მღვდელი“ (მეგობრული შარში; ინახება რუსთაველის თეატრის მუზეუმში)

ტის მამის აჩრდილის გამოჩენა პროექციის საშუალებით უნდა ყოფილიყო მიღწეული — შავ ფონზე გამოჩნდებოდა ფიგურის გრანდიოზული სილუეტი.

ამრიგად, დეკორაციებისაგან განტვირთულ სცენაზე მაყურებლის ყურადღება მთლიანად მსახიობთა თამაშზე იქნებოდა კონცენტრირებული.

უკანასკნელი ათეული წლის ნამუშევრები აგრძელებენ განვითარების ხაზს, რომელიც მკაფიოდ გამოიკვეთა 50-60-იანი წლების მიჯნაზე. შექსპირის პიესებისათვის შესრულებული ესკიზების გვერდით შეიძლება გავიხსენოთ დეკორაციები განსხვავებული ხასიათის სპექტაკლებისათვის, მათ შორის — ო. იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“ (1971 წე-

ლი, რუსთაველის სახელობის თეატრი. რეჟისორი მ. თუმანიშვილი), ნ. დუმბაძის „ნუ გეშინია, დედა“ (1972 წელი, ბაქოს სახელმწიფო დრამატული თეატრი. რეჟისორი ა. კაზიმოვი), გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“ (1974 წელი, ჭიათურის სახელმწიფო თეატრი, რეჟისორი ს. ყიფშიძე), სოფოკლეს „ანტიგონე“ (1976 წელი, კიროვბადის სახელმწიფო თეატრი, რეჟისორი ი. ბაგიროვი), ნ. ჰიქმეთის „ლეგენდა სიყვარულზე“ (1977 წელი, ბაქოს სახელმწიფო დრამატული თეატრი, რეჟისორი ა. შარიფოვი) და სხვ.

სპექტაკლების სცენური გაფორმება მოქმედების ადგილის პირობით აგებას ემყარება, მაგრამ, ამასთანავე, დეკორაციების ფორმებში იგრძნობა მათი რეა-

ლური საფუძველი. ძუნწად გამოყენებული აქსესუარები და მოქმედების ატრიბუტები სპექტაკლის იდეის, მისი ხასიათის ხაზგასმას ემსახურება. დ. თავაძე პროფესიულად ფლობს თეატრალურ-დეკორაციული ხელოვნების მხატვრულ ხერხებს, უნარი შესწევს ღრმად ჩასწვდეს და გაიაზროს სცენის სპეციფიკა. მისი მხატვრული გაფორმება ყოველთვის შეესატყვისება ნაწარმოების ჟანრს — იქნება ეს ტრაგედია, ფსიქოლოგიური დრამა, ზღაპარი, კომედია თუ სხვ. ეს თვისებები საერთოდ დამახასიათებელია მისთვის, როგორც თეატრის მხატვრისათვის.

მისი საუკეთესო ნამუშევრები ორგანულად ერწყმის სპექტაკლის საერთო გადანწყვტას. აძლიერებს მის ჟღერადობას.

დ. თავაძის მიერ შესრულებული დეკორაციების ესკიზები გამოირჩევიან მკაფიო კომპოზიციით და ნახატივით. ესკიზი ადვილად იკითხება და ნათელ წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, თუ როგორ სახეს მიიღებს მხატვრული გაფორმება სცენაზე. ესკიზებში ჩვეულებრივ შეყვანილი არიან მოქმედებაში წარმოდგენილი ფიგურები, რითაც შეიგრძნობა დეკორაციების მასშტაბი. პერსონაჟთა ტიპაჟში, მათ პოზებსა და ჟესტიკულაციაში, ტანსაცმელში აღბეჭდილია სპექტაკლის ხასიათი (გროტესკული ტიპაჟი, შექსპირის ტრაგედიების ესკიზებში წარმოდგენილი დიდებული, მონუმენტური ფიგურები).



1954 წელი; რუსთაველის თეატრი; ფლტჩარი, მესინჯარი — „ესპანელი მღვდელი“

დ. თავაძეს მინიჭებული ჰქონდა ნოდებები: „ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“ (1950), „სახელმწიფო პრემიის ლაურეატი“ (1951), „საქართველოს სახალხო

მხატვარი“ (1967).

1933 წლიდან მონაწილეობდა მრავალ გამოფენაში. გამოფენილი იყო: მრავალგზის თბილისში, ასევე — მოსკოვში (1937, 1956, 1957, 1958, 1967, 1971, 1979); სანკტ-პეტერბურგში (1937); სან-პაულუში (1967); გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1968); პერსონალური გამოფენები ჰქონდა თბილისში: 1964, 1975 („შექსპირიანა“), 1982; მოსკოვში — 1971.

გარდაიცვალა 1990 წლის 6 მარტს ქალაქ თბილისში.



1959 წელი; რუსთაველის თეატრი; კოპოუტი — „როცა ასათი სიყვარულია“



1959 წელი; რუსთაველის თეატრი; ვ. კაკაბაძე — „ყვარყვარა თუთაგარი“

ივანე ჯავახიშვილი

დემეტრე II თავდადებული

გიორგი-ლამას ძის — დავით V-ის სიკვდილის შემდგომ, სამეფო ტახტზე აღმოსავლეთ საქართველოში დემეტრე უფლისწული უნდა ასულიყო. ამ დროს ის 11-12 წლის ყმაწვილი იყო. ჩვეულებრივ არსებული წესის თანახმად, ნორჩი უფლისწული ერანის ყაენის ურდოში წაიყვანეს. ყაენმა დემეტრე საქართველოს მეფეთ-მეფედ დაამტკიცა და მისი საბრძანებელი დაუმკვიდრა.

თუმცა იმდროინდელს წყაროებში ისეა აღნიშნული, რომ მას მიეცა სრულიად საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, ე.ი. ზღვიდან ზღვამდე, მაგრამ ეს რეალურ სინამდვილეს უკვე აღარ შეეფერებოდა; აღმოსავლეთით საქართველოს საზღვარი არამც თუ უკვე დარუბანდამდის აღარ აღწევდა, არამედ საქართველოს მოსაზღვრე ხაზი თეთრი წყალის, ანუ მონღოლურად ჩალან-უსუნის, თურქულად აღსუს გასწვრივ იყო. ანისი და კარი მათი სანახებებითურთ კვლავინდებურად საქართველოს ეკუთვნოდა, მაგრამ ხლატი, ვალაშკერტი და ალატალი უკვე საქართველოს ყმადნაფიცი აღარ იყო. ნიკოფსიის დასავლეთის საზღვრად მიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო შესაძლებელი, თუ დასავლეთ საქართველოში დავით IV ნარინის მეფობას არ გავითვალისწინებდით. ნამდვილად კი ლითხ-იმერეთი, რასაკვირველია, დემეტრე II-ს აღარ ემორჩილებოდა: თუმცა სამეფო იურიდიულად გაყოფილი არ იყო, მაგრამ პოლიტიკური პირობების გამო მისი მთლიანობა უკვე დარღვეული იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხლატის, ვალაშკერტისა და ალატალის თემები ამ დროს მაჰმადიან მმართველთა ხელში იყო, თუმცა-კი მას სომხეთის ვილაიეთი ეწოდებოდა. როგორც პოლიტიკური ერთეული, ის მაჰმადიან-

თა სამფლობელოს წარმოადგენდა, სომხეთის ვილაიეთი ამ შემთხვევაში მხოლოდ ისტორიული ტერმინოლოგიის ნაშთად იყო დარჩენილი.

სრულებით ცხადია, რომ დემეტრე II-ს, მცირეწლოვანობის გამო, საქართველოს სამეფოს მესაჭეობა არ შეეძლო და მას უნდა მზრუნველი და მეურვე ჰყოლოდა დანიშნული. მონღოლთა ყაენმა აბალამ, რომელმაც დემეტრე II-ს მეფობა დაუმტკიცა, ასეთ მეურვედ და მზრუნველად სადუნ მანკაბერდელი დაუნიშნა, მონღოლთა ბატონობის ხანისათვის ეს ფრიად დამახასიათებელი პიროვნება.

ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც დემეტრე მონღოლთა ყაენის კარზე იმყოფებოდა, 1272 წელსვე, დემეტრემ სადუნ მანკაბერდელს ათაბაგობა მისცა. ცხადია, რომ ეს ნაბიჯი 11 წლის მეფისათვის თვით მონღოლთა ყაენ აბალასაგან უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

დემეტრე II ლამაზი, ტარმალა-ლი და კარგი აღნაგობის, კანთეთრი, ქერა ჭაბუკი იყო. კარგი ცხენოსნის, შვილდოსნისა და გულკეთილი ადამიანის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი. დემეტრეს, 14-15 წლისას, ტრაპიზონის კეისრის ასული შერთეს ცოლად, რომლისაგანაც მას ოთხი ვაჟი, მათ შორის უფროსი დავითი, და ერთი ქალიშვილი შეეძინა.



მეღრობეობის ხანა აღმოსავლეთ საქართველოში და სადუნ მანკაბერდელი

მონღოლთა მმართველი წრეების მოუმზადებლობისა და გაუნათლებლობის გამო, როგორც ვიცით, მათ ხელქვეშეთ მყოფ სამეფოებისა და სამფლობელოების მართვა-გამგეობისათვის სხვა ეროვნების სათანადოდ განსწავლული მოხელეები სჭირდებოდათ. ორი პირობა იყო ასეთ შემთხვევაში საჭირო, რომ ადამიანს მაღალი თანამდებობა მიეღო და მონღოლთა ნებასურვილის აღმასრულებელი გამხდარიყო: მას, უპირველესად, უნდა მონღოლური სცოდნოდა, მეორე მხრით ის უნდა უაღრესი ნდობით ყოფილიყო აღჭურვილი. ამრიგად, მოენებობას ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა.

მონღოლთა ხელისუფლებს არც ერთი საქმის გარჩევა და გადაწყვეტა არ შეეძლოთ, თუ რომ მოე-

ნეს არ მოიშველებდნენ. მათ სვინდისიერებაზე იყო დამყარებული, თუ სხვა ენაზე მოთხრობილს მოხსენებასა თუ თხოვნას როგორ გადასცემდნენ, როგორ წარმოუდგენდნენ მოდავეთა შორის ინტერესების შეხლა-შემოხლას. ამრიგად, მონღოლთა ხელქვეშეთ მყოფი ხალხის ბედ-იღბალიცა და სასამართლოში შესული საქმეების მთელი მიმდინარეობაც ამ თარჯიმანი მოხელეების ხელში იყო. მომჩივან-მოდავეთა მოგება-წაგების შესაძლებლობა მათ ენაწლიანობასა, სვინდისიერებასა თუ ანგარებაზე იყო დამოკიდებული. ამ გზით მოენენი მედროვეებად იქცნენ და მათი აღზევება ზღაპრული სისწრაფით წარმოებდა, თუ რომ თითოეულს მათგანს შესაფერისი შეგუების ნიჭი აღმოაჩნდებოდა და ჭკუას გამოიჩენდა. ასეთ პირს მონღოლებისათვისაც უნდა ეამებინა და იმავე დროს ისე წაეყვანა საქმე, რომ სრული უკმაყოფილება არც მოსახლეობაში დაემყარებინა.

სადუნ მანკაბერდელი ერთი ასეთი პირთაგანი იყო. ჯერ კიდევ თამარის ხანაში ასპარეზზე გამოსული გასომხებული ქურთის შთამომავალი, სომხურის, ქართულისა და სპარსული და მონღოლური ენების კარგი მცოდნე, სწორედ ასეთი ხანისა და ასეთი პირობებისათვის დაბადებული ადამიანი იყო. ის ჯერ კიდევ ავაგათაბაგისა და გვანცას ასულის **ხვაშაქის** ეჯიბი იყო. ხვაშაქის ყაენის პირველ ვაზირ საჰიბ დივანზე, ხოჯა შემსედინ ჯუჟეინზე, გათხოვების შემდგომ ის უფრო აღზევდა, რადგან ამიერიდან ყოვლად-ძლიერ ვაზირთან დაახლოების საშუალება ჰქონდა. მის სწრაფ დანიანურებას სწორედ ამან შეუწყო ხელი. აღმოსავლეთ საქართველოს საკითხების განხილვის დროს სადუნ მანკაბერდელი მონღოლთა ყაენის ურდოში პირველ მრჩეველად იქცა, მაგრამ მისი ძლიერება დამყარებული იყო იმ უნარზე, რომელიც მან ერთი მხრით მონღოლთა ყაენების შექებაში გამოიჩინა, მეორე მხრით მონღოლთა ყაენის ყუ-

რადღება, როგორც კარგმა ფალავანმაც, დაიმსახურა.

ბუნებრივია, რომ აბალა ყაენს სწორედ ასეთი ნდობით აღჭურვილი ადამიანისათვის ჩაებარებინა დემეტრე II-ცა და საქართველოც. აბალა ყაენმა სადუნ მანკაბერდელს საქართველოს ლაშქართა მთელი საქმე გადასცა, ხოლო მცირეწლოვანი მეფის მეურვეობა-მზრუნველობამ მას აღმოსავლეთ საქართველოს მართვა-გამგებლობაც ჩაუგდო ხელში. ამგვარად, სადუნ მანკაბერდელი საქართველოს სათავეში მოექცა.

სადუნი მარტო პოლიტიკურ აღზევებაზე აღარ ზრუნავდა, არამედ ყოველნაირი საშუალებით ცდილობდა, რომ თავისი ქონებრივი შეძლება გაედიდებინა და გაეფართოვებინა: 1278 წელს დემეტრე II-სგან მან თელავი, ბელაქანი და ბევრი სხვა ადგილებიც ჩაიგდო ხელში. როდესაც შემდეგ დემეტრე II ურდოში იმყოფებოდა და მონღოლებმა მას იმდენად დიდი თანხის გადახდა მოსთხოვეს, რომლის გამოღება მეფეს იმ დროს არ შეეძლო, ამ თანხის გადახდა სადუნ მანკაბერდელმა იკისრა, მაგრამ სამაგიეროდ, რასაკვირველია, თავისთვის სასურველი სასყიდელი მოითხოვა: ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც ქალაქი დმანისი და მისი სანახები იყო. დემეტრე II-ს სავაჭრო გზაზე მდებარე ასეთი ცენტრისა და ძლიერი ციხის დათმობა არ უნდოდა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, რომ სხვა საშუალება არ ჰქონდა: უნდა უნებლიედ გაუმაძლარი მადის პატრონის, სადუნ მანკაბერდელისათვის დაეთმო. შემდეგში იგი აღარც ამით დაკმაყოფილდა. მან დემეტრე II-ს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის ისეთი მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქის გადაცემა სთხოვა, როგორც კარი იყო, ეხლანდელი ყარსი. მიიღო თუ არა კარი, სადუნ მანკაბერდელმა მაშინვე თავის საჯდომად აქცია.

დიდი სიმდიდრის დაგროვებამა და უძრავი ქონების აზვინებამ სადუნს ზღაპრული მოძრავი ქონე-

ბაც შესძინა: ოქრო-ვერცხლის, ძვირფასი ქვების, საქონლის ჯოგების სიმრავლე მის ხელში განმაცვიფრებელი სისრაფით იზრდებოდა. ამ სიმდიდრის წყალობითა და ფულის საშუალებით, მას თავისუფლად შეეძლო თავისი დასახული მიზანი განეხორციელებინა იქაც-კი, სადაც სხვა ყოველგვარი ღონისძიება პირადი მიზნის მიღწევას ვერას შეულოდა ხოლმე. მაგალითად, სადუნ მანკაბერდელმა მრავალი ქვეყანანი იყიდაო, მოგვითხრობს ისტორიკოსი, ხოლო იქ, სადაც საქმის მოგვარება ვერც ამ საშუალებით ხერხდებოდა, სადუნ მანკაბერდელმა მისთვის სასურველი ადგილის და ქვეყნის ხელში ჩაგდება-დამოყვრებითაც იცოდა ხოლმე. ამგვარად, მან მაგალითად კარის მიმდგომი სანახები ჩაიგდო ხელში: ახალციხელის ასული ითხოვა ცოლად და მისგან კარის მახლობლად მდებარე ქვეყანა მიიღო.

სადუნ მანკაბერდელი თავისებური პიროვნება იყო: ის მონღოლს მონღოლად ეჩვენებოდა, ქართველთან ქართველი, სომეხთან სომეხი იყო, მაგრამ ყველაზე მეტად ის მონღოლთა ზნე-ჩვეულებას შეეგუა. მათი აზროვნება და საოჯახო წესები მისი უაღრესად მოჭარბებული მადიანობის დაკმაყოფილებას კარგად უწყობდნენ ხელს. მონღოლთა ნაბაძვით მან სამი ცოლი შეირთო.

საგულისხმოა, რომ საცოლეს მოსაპოვებლადაც სადუნ მანკაბერდელი ისევე საშუალების განუზრჩევლად მოქმედებდა, როგორც მოძრავ-უძრავი ქონების ხელში ჩასაგდებად. დემეტრე II-ის დაი თამარი იძულებული იყო, არლუნის შვილს მისთხოვებოდა და თავის ქმარს ერანში გაჰყოლოდა. როდესაც არლუნი მოკვდა, მისმა შვილმა თავისი მეუღლე თამარი დროებით თბილისში მოიყვანა, მაგრამ ძალით გათხოვილი თამარი თავის ქმარს გაექცა და მთიულეთში შეაფარა თავი. სადუნ მანკაბერდელმა გადასწავიჭა, თამარ ბატონიშვილი თავის ცოლად გაეხადა. ამ მიზნით მის ქმარყოფილს შეევაჭრა და მონ-

ლოლური წესის თანახმად მისგან იყიდა. როდესაც თამარ ბატონიშვილი ქმრისაგან ფულად შეიძინა, ამის შემდგომ მის ძმას დემეტრეს და თითონ თამარსაც მიჰმართა. შესაძლებელია, მონღოლთა ხელში ყოფნას თამარისათვის მაინც უკეთესი იყო, ისევე საქართველოში დარჩენილიყო, მაგრამ რამდენად ნებაყოფლობითი იყო ეს თანხმობა დემეტრე II-ის მხრით და რამდენად სასურველი იყო მისთვის ასეთი სიძოვა, ძნელი სათქმელია, ყოველ შემთხვევაში ამით ყველაზე მეტად სადუნ მანკაბერდელი უნდა ყოფილიყო კმაყოფილი: იმ სამოხელეო და ქონებრივ აღზევებას, რომელიც მას ასეთი სისწრაფით ჰქონდა მოპოვებული, ეხლა საქართველოს მეფის სიძობის ბრწყინვალეობაც ემატებოდა.

ქართველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ სადუნ მანკაბერდელის ყოფა-ქცევა, მისი მრავალცოლიანობა, რომელიც საქართველოში მანამდე გაუგონარს ამბავს წარმოადგენდა, ბუნებრივად იწვევდა აღშფოთებას, მეტადრე საეკლესიო წრეებში. საქართველოს ეკლესიის მოხუცი საჭეთმპყრობელი ნიკოლოზ კათალიკოსი ბევრს ეცადა, ბევრჯერ ამხილა და შეაჩვენა კიდეც, რომ როგორმე მრავალცოლიანობა დაემლევინებინა და ერთი ცოლით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ ვერაფერს გახდა. ყოვლადიერი სადუნ მანკაბერდელთან შედარებით მას არაფერი შეეძლო.

ვერაფერი დააკლო კათალიკოსის წყევლა-კრულვამაც. ეს იმიტაც აიხსნება, რომ სადუნ მანკაბერდელი მოხერხებული ადამიანი იყო, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ მარტო მმართველთა წრეების ნდობისა და ყურადღების დამსახურება არ კმაროდა, რომ წონასწორობის დასაცავად, ამასთანავე, მოსახლეობის გულის მოგებაც იყო საჭირო. სწორედ ამიტომ იყო, რომ ის, თავის ქცევისა და მიუხედავად, ყოველნაირად ცდილობდა, რომ ეკლესიის ყურადღებაც და კეთილი განწყობილებაც დაემსახურებინა. ამას

კარგად ახერხებდა კიდეც; თუმცა მას ყველა საეკლესიო წესები, მათ შორის მრავალცოლიანობაც, ჰქონდა დარღვეული, მაგრამ სამაგიეროდ მას ეკლესიისათვის შეწირულებაც მიჰქონდა და ცდილობდა, კიდეც მაშინდელი გავლენიანი სამონასტრო დაწესებულებებიც განეთავსებინა მონღოლთა გადასახადებისაგან. ხალხის ყურადღებაც ჰქონდა მას იმდენად დამსახურებული, რამდენადაც, ვითარცა მონღოლთა დაახლოვებულ პირს, მონღოლების დიდ ნოინთა და მათი ელჩების თავაშეშვლილი თვითნებობის აღგმვა სხვებზე მეტად შეეძლო. რაკი ეკლესიისათვის მისი უხვი შეწირულება და გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის მზრუნველობა მისდამი კეთილგანწყობილებას ჰქმნიდა, ცხადი იყო, რომ ასეთ პირობებში სადუნ მანკაბერდელს თავისი თავის ეკლესიის საჭეთმპყრობელის წყევლა-კრულვისაგან უზრუნველყოფა ადვილად შეეძლო: მისთვის ეს არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა.

სამაგიეროდ, სადუნ მანკაბერდელს ერისკაცთა, მეტადრე ქართველ და სომეხ დიდებულთა შორის ბევრი მოწინააღმდეგე და მტერი ჰყავდა, რომელთაც მისი ასეთი სწრაფი აღზევებაცა და გამდიდრებაც, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკებოდათ, მაგრამ სადუნ მანკაბერდელის წინააღმდეგ ბრძოლა ადვილი საქმე არ იყო: მონღოლებთან უაღრესი დაახლოვებულობა და მისი გავლენიანობა სადუნ მანკაბერდელს საშიშარ მტრად ხდიდა, რომელთანაც ბრძოლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ რომ ადამიანი გადასწყვეტდა, ან თავი შეეკლა, ან გაემარჯვა, ან, თუ ამას ვერ მოახერხებდა, უნდა მას სამუდამოდ გასცლოდა ასპარეზიდან.

ამრიგად, დემეტრე II-ს არავითარი საბუთი არ ჰქონდა სადუნ მანკაბერდელის კმაყოფილი ყოფილიყო. მისი გაუმადლარი მადიანობა, გაბატონებულ მონღოლთა ხელისუფლების დაუფარავი

მომხრეობა, მისი პარპაში, სადუნ მანკაბერდელს მეფისათვის უსიამოვნო პიროვნებად ხდიდა. ქართველი და სომეხი დარბაზის-ერნიც უმეტეს შემთხვევაში მისი მომხრენი არ იყვნენ. საქართველოს მმართველი წრეები ორ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი: ერთ მხარეზე ქართველი და სომეხი დარბაზის-ერნი იყვნენ, რომელნიც მეფეს მხარს უჭერდნენ, მეორე მხრით სადუნ მანკაბერდელი თავისი ფეხის-ხმის-ამყოლ მცირერიცხოვან პირებითურთ.

სადუნ მანკაბერდელი რომ 1281 წელს გარდაიცვალა, დემეტრე II-მ ათაბაგობა მის შვილს ხუტლუბულას-კი არ მისცა, არამედ ტარსაიჭ ორბელს უწყალობა, ხუტლუბულას კი ამირსპასალარობა აკმარა და შვილს მხოლოდ მამის მამული შეუნარჩუნა. ტარსაიჭ ორბელმა, იმ საგვარეულოს წარმომადგენელმა, რომელიც გიორგი III-ის დროს დემნა-იოანე ორბელის აჯანყების გამო განადგურებული იყო და რომლის რამდენიმე შთამომავალი მხოლოდ ერანში გაქცევით გადურჩა, არამც თუ დაკარგული გავლენის აღდგენა მოახერხა, არამედ საქართველოს სახელმწიფოს ისეთი დიდი ხელისუფლებაც ჩაიგდო კვლავ ხელში, როგორიც მაშინდელ საქართველოში ათაბაგობა იყო.

რასაკვირველია, სადუნ მანკაბერდელის აღზევება მხარგრძელთა საგვარეულოსათვის, რომელთა ეჯიბიც სადუნ მანკაბერდელი იყო თავდაპირველად და რომელიც ათაბაგად ქცეული თავზეც-კი დაუსკუბდათ, უსიამოვნო გარემოებას წარმოადგენდა. მაგრამ მხარგრძელებისათვის ამაზე არანაკლებ უსიამოვნო გარემოება ორბელის აღზევება იყო, რადგან მხარგრძელების დანიინაურება გიორგი მესამის დროს სწორედ ორბელთა საგვარეულოს განადგურებასთან იყო დაკავშირებული. მას შემდგომ, რაც გიორგი III-მ საქართველოში ამ საგვარეულოს არსებობას ბოლო მოუღო, მხარგრძელთა საგვარეულომ დანიინაურება შესძლო. ამგვარად, ტარსაიჭ ორბელის გაა-

**თაბაგება მხარგრძელთ შეედ-
ლოთ თავიანთი უფლებების შე-
ლაზვად მიეჩნიათ.**

ამნაირად, იმ ბრძოლას, რომელიც მაშინდელ საქართველოში წარმოებდა, დაერთო დიდ საგვარეულოთა შორის დიდი ხელისუფლების გამო ატეხილი ბრძოლა. ეხლა, როდესაც სადღუნ მანკაბერდელის შვილს, ხუტლუ-ბულას, მოულოდნელად ათაბაგობა ხელიდან გაუსხლტა, ტარსაიჭორბელი, რასაკვირველია, მასზედაც უფრო დანიშნურდა და მხარგრძელების უფროსადაც იქცა. სხვა დანარჩენ დიდგვაროვან აზრაურებზე მეტად, რა თქმა უნდა, მხარგრძელნი უნდა ყოფილიყვნენ უკმაყოფილონი. ჯერ ერთი სადღუნ მანკაბერდელი და მისი შვილი ახლად, ამასთანავე უცხო ძალის მომხრეობით აღზევებული და დანიშნურებული პირი იყო. რაც უნდა იყოს, მხარგრძელთა გვარი საქართველოს სახელმწიფოს ერთგული სამსახურით იყო წამოწეული და ორბელთა საისტორიო ასპარეზზე კვლავ ამოტივტივებაც, იმ ორბელთა, რომელნიც გიორგი III-ის ღალატის გამო იყვნენ დასჯილნი, როგორც მხარგრძელებისათვის, ისე სხვა დიდებულთათვის, რომელთაც მხარგრძელებთან ერთად იმავე ხანში დაიწყეს აღზევება, რასაკვირველია, საწყენი უნდა ყოფილიყო.

ხუტლუ-ბულას თავის მამისგან კარგად ჰქონდა უარყოფითი თვისებები დამკვიდრებული, მისი ნიჭისა და სხვა თვისებების შესახებ, რომლითაც მისი მამა სადღუნ მანკაბერდელი იყო დაჯილდოვებული, ცნობები არ მოგვეპოვება. შურის მაძიებლობით ის თავის ყოვლად ძლიერ მშობელს არ ჩამოუვარდებოდა, მაგალითად, ორნი ძმანი აბულეთის ძენი, რომელნიც ხუტლუ-ბულას მამას, სადღუნს, რუმში გაექცნენ და, იქ შეხიზნულნი, იძულებული იყვნენ, დარჩენილიყვნენ სადღუნ მანკაბერდელის შიშით, მისი ვაჟიშვილის, ხუტლუ-ბულასაგან შურისძიების შესაძლებლობა მათ საშუალებას არ აძლევდა, რომ სადღუნ

მანკაბერდელის გარდაცვალების მერმეც თავიანთ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. შემდეგში მათი ეჭვის საფუძვლიანობა სრულებით დადასტურდა კიდევ.

აღმოსავლეთ საქართველოს მღვთმართობა დეპუტატი II-ის მეფობაში

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს მეფე მცირეწლოვანი იყო, დემეტრე II-საც მონღოლთა იმ ხანის ყოველ ლაშქრობაში წინანდებურად უხდებოდა მონაწილეობის მიღება. თითოეული ასეთი ბრძოლისათვის საქართველოდან მას უნდა გარკვეული რაოდენობის სამხედრო ძალა გამოეყვანა. 1278 წლისათვის რომ სრულწლოვანი შეიქნა დემეტრე II, უკვე სახელმწიფოს მართვა-გამგეობას შეუდგა. მაგრამ მონღოლთა მძლავრობისა და ხშირი მოლაშქრობის წყალობით, მასაც საშუალება არ ჰქონდა, რომ საქართველოს სახელმწიფო საქმეებისათვის მოეცალა და საქართველოში ყოფილიყო. ყოველ მათ ლაშქრობაში შორეულ ქვეყნებში მიჰყვებოდა ხოლმე და ამ დროისათვის საქართველოს მესაჭეობაც, რასაკვირველია, სხვას ვისმე უნდა ჰქონოდა ჩაბარებული.

ამ ხანაში მონღოლები უმთავრესად ეგვიპტის სულტანს ებრძოდნენ. რამდენადაც ეგვიპტის სულტნები მონღოლთა ბატონობის მტრები იყვნენ, საქართველო მათი ბუნებრივი მოკავშირე უნდა ყოფილიყო. ჩვენს ქვეყანას მათთან საბრძოლველი მაინც რა უნდა ჰქონოდა. აკი დასავლეთი საქართველო სწორედ ასეც იქცეოდა: დავით IV, როგორც ვიცით, ამ პოლიტიკურ გეზს ადგა კიდევ, მაგრამ, დემეტრე II-ს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა მონღოლებთან ერთად მონაწილეობა მიეღო და ლაშქრობაში გასულიყო.

თუ წინათ მონღოლთა ლაშქრობა ძლევამოსილი იყო ხოლმე და, ვინც ამ სამხედრო მოქმედე-

ბას გადურჩებოდა და შინ დაბრუნდებოდა, საშუალება ჰქონდა, თან ნადავლი მაინც მოეტანა და ამით სამშობლოში თავისი შეთხელებული ქონებრივი მდგომარეობა ცოტათი მაინც გამოესწორებინა, ამ ხანაში მონღოლთა სამხედრო ძლევამოსილება უკვე ძალზე შემცირებული იყო და გამარჯვება მათი მოჭარბებული ლაშქრობის არც თუ ისე ხშირი ხვედრი გახდა. მაგალითად, 1277 წელს, რუმის სულტნის ფარავანის (ფარვანას) გამცემლობის გამო, ერანის ილხანის შეერთებული ლაშქრობა საშინლად დამარცხდა და უკუქცეულ იქნა. ამ ომში ქართველთაგან ბევრმა შესწირა თავისი სიცოცხლე. 3.000 მეგრძოლისაგან ცოტალა დაბრუნდა საქართველოში.

საგრძნობი დამარცხებით დამთავრდა 1280 წელსაც მონღოლთა მბრძანებლის მანგუ-დემურის ლაშქრობაც, რომელიც ასურეთში ეგვიპტის სულტნების საბრძანებელ მინა-წყალზე წარმოებდა. ამ ლაშქრობაში 50 ათასი მონღოლი და 30 ათასი ქართველი, სომეხი და ბერძენი მეომარი იყო ჩაბმული. ქალაქ ჰემესთან (ჰამასთან) მომხდარ ბრძოლაში ერანის ილხანის შეერთებული ჯარი დამარცხებულ იქმნა და იძულებული იყო, ლტოლვით ეშველა თავის თავისთვის. ამ ომშიც ქართველთა უმრავლესი ნაწილი დაიღუპა.

წინა წლის მარცხის მიუხედავად, 1281 წელს ერანის მბრძანებელმა ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლა კვლავ განაახლა და დემეტრე II-ს აქაც მონაწილეობის მიღება მოუხდა. ქართველ მეზროლთა რიცხვი 5 ათას ცხენოსან ჯარისკაცს უდრიდა.

1281 წელს ქალაქ ამასიის მახლობლად, მონღოლთა სარდლის მანგუდემურის დაჭრის გამო, ერანის მონღოლები დამარცხდნენ და ამ ბრძოლაშიც დიდძალი ხალხი დაიღუპა. მათ შორის ქართველთა ლაშქრის უმრავლესობაც, თვით დემეტრე II ძლივს გადაურჩა სიკვდილს.

ცხადია, რომ, ხშირ მოლაშქრობასთან დაკავშირებით, სამხედ-

რო ექსპედიციების ასეთ მარცხს საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენა დიდ ქონებრივ გაჭირვებაშიც უნდა ჩაეგდო. ის სილატაკე, რომელიც საქართველოში წინათაც იყო საგრძნობი, ამის გამო არამც თუ შეუძლებელი იყო შენელებულიყო, არამედ, რასაკვირველია, უფრო მეტად უნდა გაძლიერებულიყო. მართლაც, **დემეტრე II-ის დროს აღმოსავლეთ საქართველოში ეკონომიურად გამწვავებული მდგომარეობა და სიღარიბე წინანდელზე მეტად ჩანდა.** ეს უპირველესად ქალაქებში იყო საგრძნობი, მაგალითად თბილისში. იმდროინდელი ისტორიკოსის ცნობით, ადამიანი მათხოვარ-დავრდომილებსა და ობლებს, რომელთაც დახმარების სათხოვნელად ქუჩაში უხდებოდათ გამოსვლა, ბლომად შეხვდებოდა. **დემეტრე II თურმე შუალამისას გამოდიოდა და ეხმარებოდა ხოლმე ამ ცხოვრებითა და ქონებრივი გაჭირვებით გაუბედურებულებს.**

ქონებრივი გაჭირვების დამატკიცებელი მრავალი მაშინდელი საბუთი მოგვეპოვება. სილატაკე იმდენად მძლავრად იყო მოდებული, რომ თვით მაღალი წრეების წარმომადგენელიც აღარ თავილობდნენ და თავიანთ უმწეო მდგომარეობას საჯაროდ აღიარებდნენ. ჩვენამდე მოაღწია წარწერებმა, რომლებშიც ეს გარემოება შეუფერადებლივ არის აღნიშნული. **დიდი „ინროება ჟამთა“ და „ნაკულულოვანება სახმართა“ ჩვეულებრივი ჩივილია მაშინდელ წარწერებში. დანყებული შენობების დამთავრება აღარ შეეძლოთ, დაძველებულ და დანგრეულ ნაგებობათა შეკეთების საშუალება აღარ ჰქონდათ, ახლის აგებისათვის, რასაკვირველია, მით უმეტეს, სახსარი ძნელად თუ მოიძებნებოდა, პატარა ნაგებობის აგებისათვისაც-კი საკმაო ქონებრივი სახსარი არ ჰქონიათ.**

ამ ეკონომიურ გაჭირვებას ზედ დიდი კატასტროფიული მიწისძვრაც დაერთო, რომელიც დიდ ხუთშაბათს დაიწყო და აღდგომა დღემდე გაგრძელდა, როდესაც



დემეტრე თავდადებულის ბარელიეფი

მიწა ისე საშინლად შეინძრა, რომ, ისტორიკოსის თხრობით, მრავალი საყდარი, მონასტერი, ეკლესია, ციხეები, სახლები და ყოველგვარი ნაგებობა დაიქცა, თვით მთანი და ბორცვნიც-კი ჩამოიშალნენ, კლდეებიც-კი მტვრის მგავსად ჩამოიფხვნა, მიწა განიპო და ნაპრალებიდან კუპრისებრი შავი სითხე გამოვიდა.

ეს საშინელი მიწისძვრა ამის შემდგომაც მთელი ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა. მან მრავალი შენობა და სხვა ნაგებობა იმსხვერპლა, დიდძალი ხალხიც დაიღუპა და უსახლკაროდ, უსახსროდაც დარჩა. ამ მიწისძვრის მთავარი ცენტრი სამცხეში იყო, მაგრამ მისი ანარეკლი ქართლშიც საკმაოდ ძლიერად ჩანდა, იმდენად ძლიერად, რომ მცხეთის საყდარიც კი დაიქცა.

საქართველოს სავალალო ეკონომიური მდგომარეობის გარემოება იმდენად ცხადი იყო, რომ მონღოლთა ყაენისათვისაც ეს საიდუმლოებას აღარ შეადგენდა: მას შეეძლო ეს თუნდაც იქიდანაც

დაენახა, რომ სახელმწიფო გადასახადები მონღოლთა ყაენის სალაროს წინანდელზე სულ უფროდა-უფრო ნაკლები მისდიოდა. აბალა ყაენს უნდოდა გამოერკვია, ეს მართლაც გაღარიბების და აოხრების შედეგი იყო თუ არა, და, სახელდობრ, რომელი ქვეყანა უფრო აოხრდა და რომელი ვითომც უნდა ამენებულიყო. XIII საუკუნის 80-იანი წლების დამლევს მან ამ მიზნით ხალხის აღწერა და აღრიცხვა მოახდენინა და ამ აღწერამ გამოარკვია, რომ მისი სამფლობელოების უმეტესი ნაწილი აოხრებული ყოფილა, მათ შორის საქართველო. ხოლო საქართველოში ყველაზე მეტად კახეთი, ჭყეტი და კამბეჩიანის ვაკენი იყო გაპარტახებული, ბერქა ყაენსა და ერანის ილხანებს შორის ბრძოლის შედეგად.

სრულებით ცხადი არის, რომ ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობას მშვიდობიანად ყოფნა აღარ შეეძლო და, თუ სოციალური ბრძოლა და აგრარული მოძრაობა წინათაც იყო საგრძნობი, მით უმეტეს უნდა ამ ხანში გაძლიერებულიყო. **დემეტრე II-ის მეფობის აღწერილობაში ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს კიდეც ამ ბრძოლის გამწვავების გარემოება.** ბრძოლა წარმოებდა, როგორც ერთი-ერთმანეთში, მიმძლავრებისა და მოხვეჭის გზით, თვითნებობასა და ძალმომრეობაზე დამყარებით, ისევე, აგრეთვე, საყდრებისა და მონასტრებისათვის შეწირული უძრავი ქონების მიტაცებითაც: სოფლებს და აგარაკებს იბრუნებდნენ ეკლესიისაგან. თუ რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო გაჭირვება, იქიდანაც ჩანს, რომ ეს მოძრაობა, რომელიც თავდაპირველად ქართლ-კახეთში დაიწყო, მესხეთს-კი, რომელიც მაშინ აღმოსავლეთ საქართველოსაგან ადმინისტრაციულად გამოყოფილი იყო, არ შეჰხებია, ამ ხანში მესხეთსაც მოსდებია. მესხთა ეკლესიის ყველაზე უფროსი საეპისკოპოსოს, აწყურის, ქონებრივი მდგომარეობა სწორედ ამ ხანში ძალიან

საგრძნობლად შერყეულა.

საერთო ეკონომიურ გაჭირვებას თავისი ძლიერი დალი ყველა წოდებაზე, მათ შორის სასულიერო წოდებაზედაც ჰქონდა დასმული. თუმცა ისტორიკოსი, რომლის ამდროინდელი ცნობებიც ჩვენ შენახული გვაქვს, თითონაც საეკლესიო წრის წევრი იყო, მაგრამ მასაც არ შეეძლო დაემაღლა, რომ მაშინ „მღვდელმთავარი და მღვდელი“ ამპარტავანი, ანგარი და ბოროტისმყოფელი იყო. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, რომ ეკლესიის გავლენა ხალხზე ძალიან შემცირებული იყო.

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, თვითონ იმდროინდელ ქართველ ისტორიკოსის ცნობების მიხედვითაც, ეკლესიის გავლენა მართლაც ძალზე შერყეული ყოფილა: მეფეები და დიდებულები არც კათალიკოსის, არც სხვა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ქადაგებას ყურადღებას აღარ აქცევდნენ. ისევე როგორც სადღუნ მანკაბერდელს სამი ცოლი ჰყავდა, დემეტრე II-მაც სამი ცოლი შეირთო. კათალიკოსი მრავალჯერ ამხელდა, მაგრამ ვერას გზით მეფე ვერ დაარწმუნა, ერთი ცოლით დაკმაყოფილებულიყო და თავის ქვეშევრდომთათვის უნესობის მაგალითი არ მიეცა. რაკი თავისი რჩევადარიგებითა და ვედრებით ვერაფერს გახდა, მოხუცებულმა ნიკოლოზ კათალიკოსმა თანამდებობას თავი დაანება და გადადგა. თუ მას ეგონა, რომ ამ ნაბიჯით რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენდა, ეს იმედი მას უნდა ადვილად გასცრუებოდა. თვითონ ნიკოლოზ კათალიკოსმა თავის მოადგილედ დემეტრე II-ის ჯვარისმტვირთელი აბრაამი აკურთხა. ცხადია, რომ ჯვარისმტვირთველი დემეტრე II-ის უფრო დაახლოვებული პირი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თვით ნიკოლოზ კათალიკოსი, და, თუ მას რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლო, ამას ხომ მანამდისაც მოახერხებდა. ამიტომაც საფიქრებელია, ნიკოლოზ კათალიკოსი დარწმუნდა, რომ იმდრო-

ინდელ პირობებში მდგომარეობის გამოსწორების ყოველგვარი იმედი ამაო იყო. უიმედო უთანხმოების მაგიერ, ეტყობა, მან გადასწყვიტა, რომ თვითონ ჩამოშორებოდა და ეკლესიის მესაჭედ ისეთი პირი დაენიშნა, რომელსაც მეფესთან იმდენად გამწვავებული ურთიერთობა არ ჰქონდა, როგორც მას ამ მხილებისა და საყვედურების გამო.

პრანის მონღოლთა მმართველი ზრეაბის შინაური ბრძოლა, მისი ანარქიული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და დემეტრე II-ის ტრაგიკული დასასრული

მონღოლთა ულუსებს შორის ნათესავური გრძნობის შესუსტებასთან ერთად, ინტერესთა წინააღმდეგობის გამო, მეტოქეობა და მტრობა აღმოცენდა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ულუსებს შორის ბრძოლა-კი ატყდა. როგორც ვიცით, უთანხმოება და შუღლი თვით ერანშიც ჩამოვარდა და საყაენოში შეთქმულება შეთქმულებას მოსდევდა. იშვიათი შემთხვევა იყო, რომ მონღოლთა ამ ხნის მბრძანებლებს თავისი სიცოცხლე ბუნებრივი სიკვდილით დაემთავრებინოთ, მონღოლთა მმართველი წრეების პოლიტიკური დაჯგუფება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

1282 წელს აბაღა ყაენი რომ გარდაიცვალა, მონღოლთა ნოინებმა მისი ძმა აჰმადი დასვეს ყაენად, მაგრამ ის უნიჭოც აღმოჩნდა და მაჰმადიანობაც ჰქონდა მიღებული, რაც მონღოლთა შორის უკმაყოფილებას იწვევდა. ამ ნიადაგზე ბრძოლის დაწყება ადვილი იყო და მართლაც მისმა ძმამ, რუმის მმართველმა ყონღურადაიმ, შეთქმულება განიზრახა და განახორციელა კიდეც. ეს შემ-

თქმულება ჩაქრობილ იქნა 1284 წელს, მაგრამ სწორედ ამ დროს ყონღურადაისთან ერთად, ვითარცა თანამონაწილენი, რუმის სულტანი ლიასედინი და ორი ძმა ძაგან აბულეთის ძენიც იყვნენ დახოცილნი. ამ ორი უკანასკნელი მოღვაწის სისხლში სადღუნ მანკაბერდელის შვილი ხუტლუ-ბულა ყოფილა გარეული. როგორც უკვე აღნიშნული იყო, აბულეთისძენი სწორედ სადღუნ მანკაბერდელს გაექცნენ, მის შურისძიებას-კი გადაურჩნენ, მაგრამ ბოლოს მაინც მისი შვილის შურისძიების მსხვერპლნი შეიქმნენ.

ისეთი ვითარება დამყარდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მეფე მებრძოლთა ან ერთ მხარეზე უნდა ყოფილიყო, ან მეორე მხარეზე. ეს გარემოება იმ შინაურ ბრძოლასა და ერანის ილხანების საბრძანებელში გაჩაღებულ შუღლში საქართველოსაც რევდა უნებლიეთ. აჰმად ყაენმა თავის თანამემამულეთა ისეთი უკმაყოფილება და სიძულვილი დაიმსახურა, რომ ბოლოს ის აჯანყების მსხვერპლი შეიქმნა: მას ნოინები აუჯანყდნენ და მის მაგიერ აბაღას შვილი არღუნი გააყაენეს.

აჰმადი მაინც ნებაყოფლობით ყაენობისათვის თავის დანებებას სრულებითაც არ აპირებდა. მან ჯარი შეაგროვა და საქართველოდანაც დემეტრე II დაიბარა სამხედრო ძალითურთ. იმისდა მიუხედავად, რომ 1284 წელს აჰმადმა გაყაენებული არღუნი თავისი და საქართველოს შეერთებული ლაშქრითურთ დაამარცხა, იგი უვნებლობის ფიცის ჩამორთმევის შემდეგ მაინც კვლავ განათავისუფლა, მხოლოდ არღუნი აჰმადმა თავის სარდალს ალინაყს ჩააბარა იმ მიზნით, რომ შემდეგში მას არღუნი მოეკლა.

დემეტრე II საქართველოს ჯარითურთ სამშობლოში გაემგზავრა, მაგრამ აჰმადის ძლევამოსილება მალევე გაქარწყლდა: ნოინები თავისას არ იშლიდნენ და ჯერ აჰმადის სარდალს თავს დაესხნენ კარაჯში და მოკლეს, ხოლო შემდეგ მეორე დილითვე არღუნი გააყაენეს. ამავე დროს დე-

მეტრე II-ს რომ დახმარება აღარ გაეწია აჰმადისათვის, საქართველოში შეუთვალეს, აჰმადის მონოდებისათვის არავითარი ყურადღება არ მიექცია და საქართველოდან არ დაძრულიყო. ეს თხოვნა, მეფემ, რასაკვირველია, შეასრულა. აჰმადი უმწიფო მდგომარეობაში ჩავარდა და 1284 წელს ნოინების მიერ შეპყრობილი მონღოლური წესის თანახმად დახრჩობილ იქნა.

არლუნი ამის შემდგომ მთელი ერანის ყაენად იქცა. მას, რასაკვირველია, უმაღლესი ყველა მახლობელი პირები უნდა თავიდან მოეშორებინა და ყმადნაფიც ქვეყნებში აჰმადის მიერ დანიშნული წარმომადგენლების მაგიერ ახალი წარმომადგენლები გაეგზავნა. არლუნი რომ გაყაენდა, დემეტრე უკეთეს პირობებში ჩავარდა, პირველ ხანებში მაინც. მისი მდგომარეობა განმტკიცდა: ერანის ილხანის უმთავრესი მრჩეველი ბულა საქართველოს მეფესთან დაახლოებული პირი იყო და ის მას მხარს უჭერდა ხოლმე.

იმისდა მიუხედავად, რომ არლუნი სახელმწიფო ტახტზე თვით ნოინების მიერ იყო აყვანილი, მაინც ხანგრძლივად თავისი ხელისუფლების შენარჩუნება ვერც მან შესძლო. უკვე 1288 წელს არლუნ ყაენს ხვარასნიდან მოსულმა შიკრიკებმა შეატყობინეს, რომ კაიდუ ყაენის ნოინები ცხენოსანი ლაშქრითურთ ერანზე მოემგზავრებოდნენ და უკვე სინჯარამდისაც-კი მოაღწიეს. 1288 წელსვე მაისში მას ცნობა მოუვიდა, რომ ოქროს ურდოს ყაენის უძლიერესი ნოინი და სარდალი ნოყაიც მრავალრიცხოვანი ლაშქრითურთ მისი საბრძანებლის წინააღმდეგ მოემგზავრებოდა, დარუბანდი უკვე აღებული იყო და იქიდან ერანში შესაჭრელად მიდიოდა. არლუნ ყაენმაც თავისი ლაშქარი დარუბანდისაკენ გაგზავნა და საქართველოდანაც დემეტრე II დაიბარა საქართველოს ჯარითურთ. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, არლუნ ყაენს აცნობეს, რომ მტერი უკვე უკან დახეული იყო და ერანის მბრძანებელს საშუა-

ლება ჰქონდა, დამშვიდებით თავის ქვეყანაში წასულიყო.

შემდეგში უკმაყოფილება უკვე არლუნ ყაენსა და მის პირველ ვაზირს ბულას შორის ჩამოვარდა, რომელიც, როგორც ვიცით, დემეტრე II-ის მფარველი და მოკავშირე იყო. არლუნ ყაენის წინააღმდეგ ისევე, როგორც წინანდელ ყაენების წინააღმდეგაც არა ერთხელ მომხდარა, შეთქმულების მზადებას შეუდგნენ. მისი თაოსნობა არლუნის პირველ ვაზირს ბულას დაჰბრალდა, რომელიც ყაენის განუსაზღვრელი ნდობით იყო მოსილი. მას 1286 წელს მონღოლური უმაღლესი მოხელეობა ჩინგ-სანგობაც კი ჰქონდა ნაწყალობევი. მაგრამ საკმარისი იყო შეთქმულების ამბავი გამომჟღავნებულიყო, რომ 1289 წელს ბულა შეპყრობილი და სიკვდილად დასჯილი ყოფილიყო. მისი შვილი და ყველა ნათესავები ამგვარადვე სასტიკად დაისაჯნენ. ყველა მის მომხრეებსაც იგივე ბედი ეწიათ.

დემეტრე მეორის მდგომარეობა ამის შემდგომ მეტად სახიფათო შეიქმნა. მონღოლური წესით, უკვე ის გარემოებაც, რომ საქართველოს მეფე შეთქმულების მეთაურთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ბედის უკუღმა დატრიალებისათვის სრულებით საკმარისი იყო. ამიტომ არლუნ ყაენმა თავისი საგანგებო რწმუნებული გამოგზავნა საქართველოში და დემეტრე ერანში დაიბარა. ცხადი იყო, რომ დემეტრეს იგივე მოელოდა, რაც შეთქმულების მეთაურად მიჩნეულს მის ყველა ნათესავებსა და მომხრეებს გადაჰხდათ. დემეტრე II-ის წინაშე წამოიჭრა საკითხი, როგორ მოქცეულიყო: წასულიყო, თუ მთებში გახიზნით თავისი თავისთვის ეშველა. მას რომ ისეთივე განსაცდელი მოელოდა, როგორც ბულასა და ყველა მის მოხრეებს თავს დაატყდა, არავითარი ეჭვი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ამიტომაც ამ განსაცდელის ჟამს მან სახელმწიფო დარბაზი მოიწვია და შეეკითხა, თუ რას ურჩევდნენ.

პირადად მან ის მოსაზრება გამოსთქვა, რომ მონღოლთა ყაენ-

თან წასვლა აუცილებლად საჭირო იყო. ამ თავის მოვალეობას იმ მოსაზრებით ასაბუთებდა, რომ დანამდვილებით იცოდა, თუ ის არ გამოცხადდებოდა, ერანის ილხანი შურის საძიებლად უეჭველად საქართველოს დააწიოკებდა: ქვეყანასაც ააოხრებდა და ხალხსაც გასწყვეტდა. მას ეს არ ჰსურდა, თავის გულისათვის უდანაშაულო ხალხის დაზარალება და ასეთი მძიმე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება მას არ უნდოდა. მეორე მხრით, ცხადი იყო, და მან თვითონაც კარგად იცოდა, რომ საკმარისი იყო არლუნ ყაენთან გამოცხადებულიყო, რომ მას იგივე დაჰმართნოდა, რაც სხვებს დაემართა.

დარბაზის წევრები ურჩევდნენ, საქართველოში დარჩენილიყო, მის დაცვასაც კისრულობდნენ, ფიქრობდნენ, რომ მასაც შეეძლო თავისი თავი ისევე გადაერჩინა, როგორც სხვებმაც გარეშე მტრის მრისხანებისაგან არაერთხელ, თვით მისმა მამამაც, გადაირჩინეს. მაგრამ დემეტრე II-მ ეს წინადადება უარჰყო და გადაჭრით განაცხადა, რომ ურდოში წასვლა მას საქართველოსი და უდანაშაულო ხალხის განადგურებისა და აოხრებისაგან გადასარჩენად გადწყვეტილი აქვს. მართლაც მან წინასწარ მთელი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახი, ცოლები და შვილები, სხვადასხვა ალაგას დამალა და შემდეგ გზას გაუდგა.

გზაშივე დემეტრე მეფეს ყაენის საგანგებო მოხელე დაჰხვდა, რომელმაც მეფეს მთელი ქონება, რომელიც თან ჰქონდა, ჩამოართვა, თვითონ ის შეიპყრო და ასე წარუდგინა ყაენს. უკვე ეს გარემოებაც ცხადჰყოფდა, რა ხიფათიც მოელოდა მას.

მონღოლთადროინდელს ქართველ ისტორიკოსს დაცული აქვს ცნობა, რომ თვით ყაენს ვერ გადაეწყვიტა, დემეტრე მეორე ისევე მკაცრად დაესაჯა, როგორც ბულა და მისი მომხრენი, თუ უფრო ლმობიერად მოჰპყრობოდა. მას ის გარემოება აფიქრებდაო, რომ დემეტრე II-ის სიკვდილის შემდგომ საქართველოს სამეფო

ტახტზე აღარავინ იქნებოდა. მაგრამ ამ დროს **ხუტლუ-ბულა, რომელიც დემეტრე II-ს იმის გამო ემდურებოდა, რომ მისი მამის სიკვდილის შემდეგ ათაბაგობა მას-კი არა, არამედ ტარსაიჭორბელს უნყალობა, არღუნს წარუდგა და მოახსენა: ფიქრი ნუ გაქვთ, მე აფხაზთა მეფის დავითის შვილს ვახტანგს გადმოვიყვან, მას მიეცი მეფობა და, ამრიგად, საქართველოს ორივე სამეფო შენს ხელში იქნებაო.**

არღუნ ყაენს ეს პოლიტიკური გეგმა მოსწონებია, რაც, რასაკვირველია, ადვილად დასაჯერებელიც არის. ამ გარემოებას დემეტრე II-ის ბედი გადაუწყვეტია საბოლოოდ. თუმცა გამოძიების დროს დემეტრე II-ის მონაწილეობა შეთქმულებაში არ დადასტურებულა, მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ შეთქმულების მეთაურთან ის ასე დაახლოვებული იყო, საკმარისი აღმოჩნდა, რომ მისი ბედი ტრაგიკულად დამთავრებულიყო.

სიკვდილად დასჯის წინ დემეტრე მეფეს წინადადება მისცეს, თვითონვე დაესახელებინა სად და რა სიმდიდრე ჰქონდა კიდეც. ამ ცნობის თანახმად, მას მთელი ქონება ჩამოართვეს, ხოლო ამის შემდეგ არღუნ ყაენის განკარგულებით **1289 წელს 12 მარტს დემეტრე II მოვაკანში, მდინარე მტკვრის პირას, სიკვდილად იქნა დასჯილი.** იგივე ბედი დემეტრეს უფროს ვაჟიშვილს — დავითსაც მოულოდა, მაგრამ ნოინებმა დაარწმუნეს ყაენი, რომ მცირეწლოვანი ბავშვის სიკვდილად დასჯა მას არავითარ სახელს არ მოუხვეჭდა და ამან დავით უფლისწული სიკვდილს გადაარჩინა.



დემეტრე II თავდადებულის ზოგადი დახასიათება

დემეტრე II რთული პიროვნება იყო. ერთი მხრით მას თავგანწირულების სულისკვეთება ეტყობა, რაც მან თავისი სიკვდილთაც დაამტკიცა: პირადი განსაცდელის ჟამსაც ის იმდენად თავის თავზე არ ფიქრობდა, რამდენადაც ხალხზე და საქართველოს აოხრებისაგან და განადგურებისაგან გადარჩენაზე. მისი ამ გმირობის გავლენით მისი პიროვნების მთლიანი დახასიათებაც მისდროინდელი ისტორიკოსის თხზულებაში შეფე-

რადებულია. ნამდვილად-კი დემეტრე II-ის დამოკიდებულება ცხოვრებისა და ეკლესიისადმი თავისებური და თავისუფალი იყო.

დემეტრე II-ის მთელი ცხოვრებითა და პოლიტიკით მტკიცდება, რომ მას არც ეკლესიის, არც მისი მწყემსმთავრების, არც საეკლესიო მოძღვრებისა და დოგმატიკის მაინც-და-მაინც დიდი პატივისცემა არ ჰქონია. ამ თავისი თვისებებით ის გიორგი-ლასას მოგვაგონებს, ვიდრე სხვა რომელსამე პირს. საყურადღებოა, აგრეთვე, რომ **თავის სახელმწიფო და აბრარულ პოლიტიკაშიც ის იმავე გზას და იმავე გზას მისდევდა, რა გზითაც მოქმედებდა და რა პოლიტიკითაც ხელმძღვანელობდა დავით V და ბასილი უჯარამელ-ჟყონდიდელი: საეკლესიო მიწების გაცემა მისი მეფობის დროსაც შეუჩერებლად წარმოებდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაში, მას არც იმ წყევლა-კრულვის, რომელიც საეკლესიო კრების მიერ იყო დადებული, არც იმ პასუხისმგებლობის, რომელიც მას ამ შემთხვევაში ვითომც თავს უნდა დასტყდომოდა, არ შეჰქონებია.**

დემეტრე II-ის სოციალური პოლიტიკის ასეთი გეზი საქართველოს იმ მდგომარეობით იყო ნაკარნახევი, რომელშიც ის იმყოფებოდა: გაჭირვება, წინანდელთან შედარებით, არამც თუ არ შემცირებულა, არამედ გაცილებით უფრო მეტადაც მძვინვარებდა. რაკი საქართველოს მთავრობას მას შემდგომ სხვა არავითარი ახალი წყარო არ გასჩენია, ცხადი იყო, რომ, თუ არ იმავ საშუალებით, რომელიც დავით V-ის დროს ეკონომიური კრიზისის შესანელებლად იყო გამოყენებული, დასახული სახელმწიფოებრივი მიზნის მიღწევა სხვით არავითარით შეიძლებოდა.

თუმცა დემეტრე II პირადად გულადი და თავდაუზოგავი მებრძოლი იყო, მაგრამ, მაშინდელი პირობების გამო, მას თავისი მამაცობა და სამხედრო ნიჭი მხოლოდ

დემეტრე II-ის მთელი ცხოვრებითა და პოლიტიკით მტკიცდება, რომ მას არც ეკლესიის, არც მისი მწყემსმთავრების, არც საეკლესიო მოძღვრებისა და დოგმატიკის მაინც-და-მაინც დიდი პატივისცემა არ ჰქონია. ამ თავისი თვისებებით ის გიორგი-ლასას მოგვაგონებს, ვიდრე სხვა რომელსამე პირს.

მონღოლთა ინტერესებისათვის ბრძოლის დროს შეეძლო გამოეჩინა: მას საშუალება არ ჰქონდა, თავისი ნიჭი და გამჭრიახობა საქართველოს საქმეებისათვის მონდომებინა. უმეტეს შემთხვევაში მასაც საქართველოს გარეშე უხდებოდა ყოფნა. ამ პირობებშიც მაინც ეტყობა, რომ დემეტრე II-ს თავისი გარკვეული სახელმწიფოებრივი გეგმა ჰქონდა, რომ ის შინაური პოლიტიკის გარკვეულ გეზს ადგა. მას დიდგვარიანი მოხელეების ალაგმაც უნდოდა, მაგრამ დასახული მიზნის განხორციელების საშუალება მას მოსპობილი ჰქონდა: ურჩი მოხელეების მონღოლთაგან მფარველობა გადაულახავ დაბრკოლებას ჰქმნიდა. მაშინდელი ეკონომიური კრიზისისა და მიუხედავად, დემეტრე ცდილობდა, აოხრებული ქვეყანა განეახლებინა, ამოწვეტილი მოსახლეობის მაგიერ სხვები მოეყვანა, მიწაზე დაესვა და ქვეყანა მოეშენებინა.

დემეტრე II-ს აღმშენებლობაზედაც უზრუნვია. მართალია, იმდროინდელი ეკონომიური გაჭირვების პირობებში, უცნაურიც-კია, მეფეს „პალატა შინა“ დიდი ტაძრის აგება, შემკობა და სოფლებითა და ზვრებით უზრუნველყოფა როგორ უნდა მოეხერხებინა. თითქოს მისი ასეთი მოღვაწეობა ძნელი შესაგუებელია იმ ცხად უარყოფით დამოკიდებულებასთან, რომელიც მას საეკლესიო წრეებთან ჰქონდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, დემეტრე II-ს სწორედ იმ წრეებისათვის უნდოდა ეჩვენებინა, რომ, თუ ისინი მის პირად საქმეებში არ ჩაერეოდნენ, მას მათთვისაც შეეძლო ზოგი რამ გაეკეთებინა.

უნდა ითქვას, რომ ისტორიკოსისაგან დასახელებული დემეტრე II-ის მიერ აშენებული ნაგებობა დღემდეა დაცული და ამჟამად „მეტეხის ხელოვნების მუზეუმს“ ეკუთვნის. ამ ძეგლს ეხლა ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს, როგორც XIII საუკუნის ქართული ხელოვნების უცნაურობად მაღალხარისხოვანი განვითარების დამამტკიცებელ ძეგლს. მდიდარი ჩუქურ-



ჰენრიხ ჰრინავსკი — „დემეტრე II ემშვიდოება ქართველებს“

თმით შემკული და მშვენიერი ხელოვნებით ასრულებული მისი კარიბჭე და სხვა გადარჩენილი ნაწილები ცხადად ამტკიცებდნენ, რომ, იმ დიდი ეკონომიური გაჭირვების და კულტურული დაქვეითების მიუხედავად, რომელიც მონღოლთა ბატონობის ხანაში საქართველოს თავს დაატყდა, ქართულ ხელოვნებას მაინც შემოქმედების ნიჭი დაშრეტილი არ ჰქონია და ხელოვნების მაღალი დონეც ჯერ კიდევ კარგად ყოფილა შერჩენილი.

იმდროინდელი ცნობებით, დემეტრე II დახასიათებულია, როგორც გულშემატკივარი ადამიანი: მას არც ღარიბ-ღატაკნი ავინწყდებოდნენ, რომელთა დახმარება მის ჩვეულებად იყო თურმე ქცეული, მაგრამ დემეტრე II არც თავის თავს ივინყებდა: მას საკმაო დიდი უნარი ჰქონია, რომ იმ გაჭირვებულ ხანაშიც, თავის პირად კეთილდღეობაზე ეზრუნა. ისევე, როგორც მისმა მამამ, დავით V-მ, ისტორიკოსის ცნობით, დიდი ქონების დაგროვება შესძლო, დემეტრე II-საც ასევე გამდიდრება მოუხერხებია: როდესაც დემეტრე II სიკვდილად იყო დასჯილი, ჩამორთმეული ქონების სიდიდემ ქართველ ისტორიკოსის ცნობით, ვითომც თვით მონღოლთა ყაენიც-კი გააოცა. ეს გარემოება ცოტა არ იყოს უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს და მაშინაც, როგორც ეტყობა,

ყველანი არ უნდა ყოფილიყვნენ მისი კმაყოფილნი.

იმ ორმაგი ბუნებისა და მიუხედავად, რომელიც მას ცხადად ემჩნევა, მაინც მისი ძირითადი ზნეობრივი თვისება უცილობლად უკანასკნელის განსაცდელის დროს გამოჟღავნდა. მას შეეძლო ისევე მოქცეულიყო, როგორც მისი მამა დავით V მოიქცა, რომელიც გაიხიზნა და ამგვარად თავისი თავი განსაცდელს გადაარჩინა. მას შეეძლო იგივე ჩაედინა, რაც, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, მისმა შვილმა იკადრა, რომელმაც თავისი სიცოცხლის გადასარჩენად მთიულეთში შეხიზვნა ირჩია და წლების განმავლობაში საქართველო მონღოლთა ყაენის მრისხანების ასპარეზად აქცია. **დემეტრე II-ის გმირულმა გამბედაობამ ცხადჰყო, რომ მას ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა კარგად ჰქონდა შეგნებული და ამიტომაც, რომ მისმა ამ ნაბიჯმა თანამედროვეთა შორისაც აღტაცება გამოიწვია და ყველა ის უარყოფითი მხარეებიც აპატიებინა, რომელიც მას ჰქონდა. შთამომავლობამაც და ისტორიამაც საქართველოს მეფეთაგან თავდადებულის ნოდებულებაც მხოლოდ მას მიაკუთვნა, რადგან საქართველო და ხალხი თავისი სიცოცხლის განწირვით მონღოლთა ყაენის არღუნის მრისხანებისა და აოხრებისაგან მართლაც იხსნა.**

ადამიანები უარყოფითი რეზუსფაქტორით განსაკუთრებული არიან

ეს მართალია — არამიწიერი დნმ...

პარანორმალური მოვლენების ცნობილმა ამერიკელმა მეკლევარმა ბრედ სტაიგერმა საინტერესო რამ შენიშნა: ადამიანები, რომლებსაც სისხლის უარყოფითი რეზუსფაქტორი აქვთ, ჩვეულებრივი ადამიანებისგან განსხვავდებიან. უფრო ზუსტად კი, მან ივარაუდა, რომ ეს ადამიანები ან ჰომო საპიენსის განსაკუთრებული გენეტიკური ხაზის გამგრძელებლები არიან, ან უცხო პლანეტელების შთამომავლები.



საქმე ის არის, რომ გენეტიკის კანონების მიხედვით, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ იმ თვისებების მიჩნევა მემკვიდრეობითად, რომლებიც ახასიათებდა ჩვენს წინაპრებს, თუკი, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის მუტაციებზე. ეს კი ნიშნავს, რომ, თუკი ადამიანი და მაიმუნი წარმოიშვნენ ერთი და იმავე წინაპრისგან, მაშინ მათი სისხლი უნდა იყოს შეთავსებადი. ოღონდ ყველა პრიმატს რეზუსფაქტორი დადებითი აქვს, აბსოლუტურად ყველას!

მაშინ საიდან არის, რომ ზოგიერთ ადამიანს უარყოფითი რეზუსფაქტორი აქვს? გამოდის, რომ ასეთი ადამიანები რომელიღაც სხვა წინაპრის შთამომავლები არიან. შესაძლოა, უცხო პლანეტელების?

რეზუს ფაქტორი არის ცილა, რომელიც სისხლის წითელი სხეულაკების, ერითროციტების, ზედაპირზეა მოთავსებული. ეს ანტიგენი 1939 წელს Macacys Rhesus სახეობის მაიმუნის სისხლში აღმოაჩინეს (ამიტომაც უწოდეს რეზუს ფაქტორი). ამ ცილას ადამიანის ერითროციტებიც შეიცავს, ოღონდ არა ყველას — დაახლოებით 15%-ს ეს ანტიგენი (თავისთავად უარყოფითი რეზუს-ფაქტორი ორგანიზმისათვის უცხო ნივთიერება, ჩვეულებრივ ცილა ან ცილის კომპლექსი პოლისაქარიდთან, რომელიც ორგანიზმში მოხვედრისას იწვევს სპე-

ციფიკური ანტისხეულების წარმოქმნას) არ გააჩნია, მაგრამ ადამიანს არავითარ უხერხულობას არ უქმნის. საგანგებო ყურადღება მხოლოდ ორსულებს სჭირდებათ. თუკი მომავალ დედას რეზუსი უარყოფითი აქვს, მამას კი დადებითი, შესაძლოა, ორსულსა და ნაყოფს შორის რეზუსკონფლიქტი წარმოიშვას: თუ ბავშვს მამის დადებითი რეზუსი დაჰყვა, მის სისხლს დედის სისხლთან შეთავსება გაუჭირდება.

ნაყოფის რეზუსფაქტორი პლაცენტის მეშვეობით დედის სისხლში გადადის. ქალის ორგანიზმი ნაყოფს უცხო სხეულად აღიქვამს და იწყებს ანტისხეულების გამომუშავებას, რომელთაც დედის უცხო ცილისგან დაცვა ევალებათ.

უარყოფითი რეზუსფაქტორი ყველაზე მეტად (30%) ბასკებში (რომელთა წარმომავლობა, სხვათა შორის, დღემდე გამოცანაა) შეინიშნება, ასევე — აღმოსავლური წარმოშობის ისრაელელ ებრაელებში, სამარიტელებსა და ეთიოპიელ შავ ებრაელებში. მაშინ, როცა სხვა ხალხებში მსგავსი ადამიანების რაოდენობა ძლივს აღწევს 1%-ს.

რაც შეეხება ბასკებს, ბასკები უნიკალური ხალხია. ბასკების წარმოშობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არაა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მხარს უჭერს ბასკების წინაპრების აღმოსავლეთიდან, კერძოდ, კავკასიიდან მიგრაციის

თეორიას, რომელსაც უკავშირდება ძველთაგანვე ცნობილი შეხედულება ბასკებისა და ქართველების გენეტიკურ კავშირზე.

ბასკური ენის წარმოშობაზე მრავალი თეორია იქნა შემუშავებული. მას უკავშირებდნენ ძველევგვიპტურ ენასთან, აგრეთვე, ბერბერულ (ჩრდ. აფრიკის ძირძველი მოსახლეობის ენა, ამ ტერიტორიაზე არაბების გამოჩენამდე), ეტრუსკულ, შუმერულ, გუანჩის (კანარის კუნძულების ძველი მოსახლეობა, რომელთა შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი), იაპონურ, კორეულ, კავკასიურ (კერძოდ, ქართველურ), ფინურ-უნგრულ, ურალურ-ალათაურ, სემიტურ (არაბული, ებრაული), მითიური ატლანტიდის ჰიპოთეტურ ენებთან და სხვ.

ზოგიერთი მეკლევარი მიიჩნევს, რომ ბასკური ენა „იზოლირებული ენაა“, რომელსაც არანაირი ნათესაური კავშირები არ აქვს არც მეზობელ, არც შორეულ ენებთან. მსოფლიოში სხვა „იზოლირებული ენებიც“ არსებობენ, მაგრამ ბასკური ენა ერთადერთია ევროპაში.

ბასკურ ენასთან მონათესავე ენებს შორის მეკლევართათვის ყველაზე უფრო მისაღებს წარმოდგენდა იბერიულ-კავკასიური ენები, რომელიც უხსოვარ დროში, ინდოევროპელების ევროპაში გამოჩენამდე (არაუადრეს ძვ. წ. 3000 წლისა) ევროპის მთელ ხმელთა-

შუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული. ამრიგად, **ბასკური ენა ძველი ევროპის ერთადერთი მემკვიდრე ენაა, ევროპის წინარეინდოევროპული ეპოქის ერთადერთი გადარჩენილი რელიქტია.**

ჰიპოთეზა ბასკებისა და ქართველების გენეტიკური კავშირის შესახებ ემყარება ამ ორი ხალხის ყოფაში დამოწმებულ ეთნოგრაფიულ პარალელებსა და ენათმეცნიერთა (ვ. ჰუმბოლდტი, შუხარდტი, ნ. მარი და სხვ.) გამოკვლევებს.

ბასკების შესახებ ქართულ წყაროებში პირველი ცნობა ჯერ კივე გიორგი მთაწმინდელის დროს, XI საუკუნეში ჩნდება. „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრების“ მიხედვით, იოანე მთაწმინდელს განუზრახავს ესპანეთში გამგზავრება ქართველთა ნათესავთა მოსანახულებლად, **მეშვიდით ათონელი ბასკებს მოიხსენიებდა, როგორც „სპანიის ქართველთა“.**

საინტერესოა XVIII საუკუნის უდიდესი გერმანელი ენათმეცნიერის — ვილჰელმ ჰუმბოლდტის კვლევები ბასკურ ენასა და ეთნოსზე. ჰუმბოლდტის აზრით, ბასკური ენა არ წარმოადგენდა ინდო-ევროპულს (როგორც მანამდე თვლიდნენ) და იყო სრულიად სხვა, რომელსაც ანალოგი არ გააჩნდა დასავლეთ ევროპაში.... ამ კვლევამ იგი მოიყვანა ბალკანეთთან და დაამტკიცა, რომ ბასკური ენა განიცდის ძალიან დიდ სიახლოვეს ეტრუსკულთან და პელაზგურ ენებთან, რომ ძველი ბასკები (ე. ი. პირინეის იბერები), ეტრუსკები და პელაზგები ერთი მოდგმის, ერთი გენის ხალხია, ხოლო პელაზგების (ბალკანეთის არაინდოევროპული ხალხები, რომელთა შექმნილია ის მითიური სამყარო, რომელსაც ძველბერძნულს ვუნოდებთ) კვლევამ იგი მოიყვანა კავკასიამდე და გაავლო ასეთი ინტერგალი — ბასკები-პელაზგები-ქართველები. ესენი არიან „მედიტერანული რასის“ ავტოქტონური მოდგმის ხალხები, რომელთაგან თავისი უძველესი კულტურა მხოლოდ ქართველებ-

მა და ბასკებმა შეინარჩუნეს.

თანამედროვე მეცნიერებაში ბასკებისა და ქართველების პრეისტორიული ნათესაობის თეორიას ნ. მარმა ჩაუყარა საფუძველი. ნ. მარის გამოკვლევების მიხედვით, იაფეტიდი იბერები გავრცელებული იყვნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში. პროტო-ქართული, ანუ იაფეტური ფუძე-ენა არის საერთო საფუძველი ყველა ენებისა, რომელნიც წარმოიშვნენ მისგან დიფერენციაციის პროცესში. ნ. მარი იმონებს ფრ. მიულერს, რომლის მიხედვითაც კავკასიური ენები წარმოადგენს ნაშთს ერთი, ოდესღაც ძლიერი და მნიშვნელოვანი ენათა ოჯახისა. ნ. მარი ჰ. ჯონსტონთან ერთად ვარაუდობდა, რომ პრეისტორიულ ხანაში არსებობდა პირველადი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდული ენაშუემერულისა და ელამურის პარალელურად და რომ შუმერული, შესაძლოა, ყოფილიყო შემაერთებული რგოლი პირველად ბასკურ-კავკასიურსა და პირველად მონღოლურ ჯგუფებს შორის, ვინაიდან არსებობდა პირველადი და უძველესი ბასკურ-კავკასიურ-დრავიდულ-შუმერულ-მონღოლური უადრესი წინაპარი ფუძე-ენა, ქამიტურ ძირეულზე ძველი, ანუ „ეოლითური კულტურის“ ენა.

ჰ. გ. უელსის აზრით, ძველი იბერები, რომელთა ჩამომავლებიც არიან ბასკები, ეკუთვნოდნენ ნეოლითურ ხმელთაშუა ზღვის მოდგმას.

ზვიად გამსახურდიას აზრით, მიცენიარებაში მიღებული თვალსაზრისია, რომ ბასკი ხალხი არის ნაშთი ევროპის უძველესი იბერიული რასისა და ცივილიზაციისა, რომელიც მოსკეს ინდო-ევროპელთაგან თავიანთი მესპანის პერიოდში, ისევე როგორც ხმელთაშუაზღვისა, ებოოსული და მცირეაზიური კულტურები. ასე რომ, ამ ერთიანი ცივილიზაციის ნაშთები შემორჩა მხოლოდ პირინეებსა და კავკასიაში (საქართველოს სახით). ბასკური პროტოიბერიული ენაა, როგორც ქართული,

მაგრამ იმდენად დიდი ეპოქები აშორებს მათ ურთიერთისაგან, იმდენად დიდი ხნის მანძილზე ვითარდებოდნენ ისინი ცალცალკე, რომ დღეს გენეტიკური ნათესაობის დადგენა ძნელდება, უფრო ტოპონიმებით, ცალკეული გამოთქმებით, ცალკეული ფორმებით ხდება ამ ნათესაობის დადგენა, აგრეთვე, კულტურულ-ისტორიული, შედარებითი მეთოდით. ეს იყო ერთი მოდგმა, ერთი რასა, ერთი ენა.

დღეს ბასკებისა და ქართველების კავშირზე როცა ვსაუბრობთ, ძირითადად, ენათმეცნიერთა და სკვენების საფუძველზე ვმსჯელობთ. უკანასკნელ წლებში მკვლევარებმა ამ ორ ენას შორის დაახლოებით სამასზე მეტი ლექსიკური პარალელები გამოავლინეს. მაგალითად, **გორა** ბასკურადაც **გორას** ნიშნავს, ასევე **ბური** ნიშნავს **დაბურულ ამინდს**, **ბასკია** **კუთხა** ნიშნავს ბასკეთის კუთხეს, ბასკურად **ასული** ნიშნავს ქართულ **ასულს**, ბასკურში გვხვდება, აგრეთვე, ქართული სიტყვა **შვილიც**....

ბასკურ ანბანში 23 თანხმოვანია და 5 ხმოვანი ეს ხმოვნები ზუსტად ქართული თანმიმდევრობითაა დალაგებული — ა, ე, ი, ო, უ. ასევე, ათვლის სისტემა ოცობითია, როგორც ქართულში....

ბასკური ზმნა ძალიან ჰგავს ქართულ ზმნას. მათი წარმოების ფორმები: გვარი, კილო, პირი იდენტურია, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ისეა, როგორც ქართულში.

მკვლევართა აზრით, ბასკურ ენაზე ისეთი დიდი გავლენა მოახდინა ინდოევროპულმა ნაკადმა, რომ დღეს თითქმის შეუძლებელია ძველი ბასკური ენის აღდგენა, ამიტომ ბასკური ენის ნათესაობა იბერიულ-კავკასიური ენებთან ისევ და ისევ მხოლოდ ჰიპოთეზაა, რომელსაც დამტკიცება სჭირდება.

ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბასკებამდე პირინეის ნახევარკუნძულზე მოსახლეობდნენ ე.წ. იბერები, ხოლო ბასკები ამ იბერების შთამომავლები არ არიან, რადგან, მათი აზრით, აღმოჩენილ

უძველეს იბერიულ ტექსტებსა და ახლანდელ ბასკურ ენას შორის ძალიან დიდი განსხვავება.

დევიდ ლანგი მიიჩნევს, რომ პირენეის „იბერები“ და ბასკები იდენტურა, მაგრამ არ იზიარებს ქართველ იბერებთან ნათესაობას.

ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი და ინდოევროპეისტი, ძველი ქართული ხელნაწერების მკვლევარი ჰუგო შუხარდტი (ქ. გრაცი, ავსტრია) წერს, რომ ბასკურის კვლევამ ის კავკასიურ ენებამდე მიიყვანა, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო მან კავკასიური ენების შესწავლა.

ერთ-ერთ ბოლო ჰიპოთეზას წარმოადგენს ცნობილი რუსი ენათმეცნიერის სერგეი სტაროსტინის ე. წ. მაკროოჯახური ჰიპოთეზა, რომლის მიხედვით, ბასკური ენა, შესაძლებელია, ენათესავებოდეს ჩრდილო-კავკასიურ და სინო-ტიბეტურ ენებს, რომლებსაც სინო-კავკასიურ ან დენე-კავკასიურ მაკროოჯახს უწოდებენ. მაკროოჯახური თეორიის ფარგლებში, ქართველები მიეკუთვნებიან ნოსტრატულ ენათა მაკროოჯახს, რომელსაც განეკუთვნება ქართველური, ინდოევროპული, დრავიდული, ურალური, ალთაური და აფროაზიური ოჯახები. მაკროოჯახების თეორია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია, მაგრამ ყურადღებას იქცევს მთელი რიგი საერთო-ქართველური და საერთო-ინდოევროპული ლექსიკური ერთეულების გასაოცარი მსგავსებები.

ახლახან კი მეცნიერებმა ესპანეთში მცხოვრები ბასკების წარმომავლობა დაადგინეს. მათი თქმით, ბასკებს გენეტიკურად მეტი საერთო აქვთ პირველ ევროპელ ფერმერებთან, ვიდრე ნეოლითურ რევოლუციამდე, იბერიის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ შემგროვებლური კულტურის მქონე ადამიანებთან. კვლევა უფსალის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ჩაატარეს, რომლის შედეგებიც ჟურნალში *Proceedings of the National Academy of Sciences*-ში გამოქვეყნდა.

გენეტიკური კვლევა ოთხი ქალისა და ოთხი კაცის ნეშტებს ჩა-

უტარდა. ისინი გამოქვაბულ ელპორტალონში აღმოაჩინეს. გამოქვაბული იმ ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელზეც ადამიანები 30 ათასი წლის წინათაც ცხოვრობდნენ. რაც შეეხება კვლევის ობიექტებს, ისინი გამოქვაბულში 3500-5500 წლის წინათ ცხოვრობდნენ.

ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ 3500-5500 წლის წინანდელი ადამიანები გენეტიკურად ყველაზე ახლოს დღევანდელ ბასკებთან არიან. ამ მოსაზრებას ისიც ამყარებდა, რომ ბასკების ენა იზოლირებულად და განსხვავებულად განვითარდა სხვა ევროპულ ენებთან შედარებით.

ასე რომ, კითხვაზე, თუ ვინ არიან ბასკები, მეცნიერება დასაბუთებულ პასუხს ვერ სცემს. ყოველივე ზემოთ თქმულს ემატება ისიც, რომ მათი უმრავლესობის სისხლის რეზუსფაქტორიც ყველა პრიმატის სისხლისგან განსხვავებულია. უარყოფითი რეზუსფაქტორი აქვთ ასევე მედიუმთა, წინასწარმეტყველთა უმრავლესობას და უჩვეულო ფსიქიკური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს.

როგორც ვიცით, სულ 4 ჯგუფის სისხლი არსებობს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება შემადგენლობით, უფრო ზუსტად კი — სისხლის უჯრედებში სხვადასხვა ცილის შემადგენლობით, რომლებიც ებრძვიან ბაქტერიებს ორგანიზმში. ადამიანთა უმრავლესობას ეს ცილები აქვს და ისინი არიან დადებითრეზუსიანები.

რატომაა, რომ ზოგ ადამიანს ეს ცილები არ აქვს, გამოცანაა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დედამიწაზე უარყოფითრეზუსიანი პირველი ადამიანები 35 ათასი წლის წინათ გაჩნდნენ. როგორ? არავინ იცის. მაგრამ ყველაზე პოპულარული თეორია ამ ადამიანების დნმ-ის არამიწიერ წარმოშობაზე ღალატებს.

აი ზოგიერთი საერთო მახასიათებელი უარყოფით რეზუსფაქტორიანი ადამიანებისა:

მათ აქვთ უფრო მაღალი IQ, ვიდრე „დადებით“ ადამიანებს;

ჩვეულებრივ, მათი სხეულის ტემპერატურა უფრო დაბალია, ვიდრე დანარჩენის;

ფსიქიკურად და ემოციურად ეს ადამიანები უფრო განონასწორებულნი არიან;

მათ უმრავლესობას ჟღალი თმა აქვს;

ისინი ძალიან მგრძნობიარე არიან სითბოს მიმართ და არ უყვართ სიცივე;

ხშირ შემთხვევაში მათ ცისფერი, მწვანე ან ღია თაფლისფერი თვალები აქვთ;

ცნობილია, რომ უარყოფითრეზუსიანი ადამიანების კლონირება არ შეიძლება;

ამ ადამიანების კიდევ ერთი საინტერესო ფენომენი ორსულობას უკავშირდება;

თუკი მომავალ დედას რეზუსი უარყოფითი აქვს, მამას კი დადებითი, შესაძლოა, ორსულსა და ნაყოფს შორის რეზუსკონფლიქტი წარმოიშვას: თუ ბავშვს მამის დადებითი რეზუსი დაჰყვა, მის სისხლს დედის სისხლთან შეთავსება გაუჭირდება.

ნაყოფის რეზუსფაქტორი პლაცენტის მეშვეობით დედის სისხლში გადადის. ქალის ორგანიზმში ნაყოფს უცხო სხეულად აღიქვამს და იწყებს ანტისხეულების გამოშვებას, რომელთაც დედის უცხო ცილისგან დაცვა ევალებათ.

აი რატომ არის, რომ ასეთ ქალებს ექიმები ორსულობის პერიოდში სპეციალური ნამლების მიღებას სთავაზობენ, რომელიც იმუნიტეტს აქვეითებს. საინტერესოა, მათი სხეული საკუთარ შვილებს რატომ ებრძვის, ანუ რატომ იღებს ის მათ, როგორც უცხო? ამაზე პასუხი არ არსებობს, მაგრამ არსებობს მოსაზრება ამ ადამიანების „უცხოპლანეტიდან“ წარმომავლობის შესახებ.

სხვათა შორის, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უამრავი უძველესი ტექსტი და ხელოვნების ნიმუში, რომლებიც აღწერენ უცნაურ არსებებს, რომლებიც სტუმრობდნენ ჩვენს პლანეტას. ასე რომ, თავად განსაჯეთ, რამდენად შესაძლებელია, რომ ეს თეორია სწორი აღმოჩნდეს.

«ჰინს გეოგრაფიკ არ იზვას წყლისაგან, გან ვერ იხილოს ხათა სასუფეველი»

„ნათლისღებისას სულიწმინდის საიდუმლო მოქმედებით ქრისტიანი ქრისტეს სხეულს, ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განწმენდს, სულიწმინდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განგანს“ (კირილე იერუსალიმელი).

ნათლობის საიდუმლო ეკლესიაში არსებული 7 საიდუმლოდან ერთ-ერთი უმთავრესია. ნათლობით იწყება ადამიანის ქრისტიანული ცხოვრება, რადგან მონათლული ადამიანი ქრისტეს ეკლესიის წევრი ხდება. ყველა ადამიანი უნდა ისწრაფოდეს, გახდეს ამ უდიდესი საიდუმლოს თანაზიარი. ნათლისღება ახალი აღთქმის ერთ-ერთი უმთავრესი საიდუმლო და ქრისტიანული დღესასწაულია, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია 19 იანვარს (ძველი სტილით 6 იანვარს) აღნიშნავს.


მართლმადიდებლობა, ქრისტეს მოძღვრების მართალი აღმსარებლობა, თვითშეფასებით, დასაბამს მოციქულთა ხანიდან იღებს და დღემდე შეურყვნელად და მრთელად ინახავს მას. ამიტომაც იგი თავის თავს მიიჩნევს იმავე ეკლესიად, რომელზედაც მრწამსშია ნათქვამი: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. რაც შეეხება სხვა ეკლესიებს, რომლებთანაც მას არ აქვს ევქარისტიული კავშირი, ისინი გაიაზრებიან არა ერთი, კათოლიკე და სამოციქულო

ეკლესიის განშტოებებად, არამედ მისგან ჩამოშორებულებად (განდგომილებად) ისტორიის განმავლობაში.

ამ დღეს, სახარების თანახმად, იოანე ნათლისმცემელმა მდინარე იორდანეში (მდინარე ახლო აღმოსავლეთში. ითვლება მსოფლიოს უწმინდეს მდინარედ, ძველი აღთქმის შესაბამისად, ისუ ნავესმა ეგვიპტიდან გამოსული ებრაელები გადაიყვანა სასწაულებრივად განეულ იორდანეს წყლებზე და ამით დასრულდა ებრაელთა 40-წლიანი ხეტიალი უდაბნოში) მონათლა იესო ქრისტე.

სახარებების (მათე, მარკოზი) თანახმად, იოანე ნათლისმცემელი იესო ქრისტეს უახლოესი წინამორბედი, რომელმაც მესიის (ქრისტეს) მოსვლა იწინასწარმეტყველა. ცხოვრობდა უდაბნოში (ძველი აღთქმის წინასწარმეტყველ ელიას მსგავსად), ამხელდა საზოგადოების ბიწიერებას და მოუწოდებდა მონანიებისკენ. მონათლა მრავალი ებრაელი, აგრეთვე, იესო ქრისტე მდ. იორდანეში.

იოსებ ფლავიუსის (ახ. წ. I საუკუნე) ცნობით, იოანე ნათლისმცემელი ჰეროდე I-ის (I საუკუნის




მაცხოვრის ნათლისღება

I ნახევარი) თანამედროვე იყო. ჰეროდემ თავისი საყვარლის ჰეროდიადას საამებლად იოანე ნათლისმცემელი საპყრობილეში ჩასვა, შემდეგ კი თავი მოაკვეთინა. სინამდვილეში იოანე ნათლისმცემლის კულტი ქრისტიანობაში უფრო ადრე უნდა შემოსულიყო.

იოანე ნათლისმცემლის თემა აისახა მხატვრობასა (ა. ვეროკიო, ლეონარდო და ვინჩი, პ. ბრეიგელი, ა. ივანოვი) და ქანდაკებაში (დონატელო, ო. როდენი და სხვები). შუა საუკუნეების ხატწერაში იოანე ნათლისმცემელი ვედრების (ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი) კომპოზიციის ერთ-ერთი აუცილებელი ფიგურა იყო.

ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის მსახურება (დიდი აიაზმა) სრულდება და ნაკურთხი წყალი მთელი წლის განმავლობაში ინახება.

ამ დღეს ასევე ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად წმინდა სამება.



მდინარე იორდანე



**ნათლისღების მართლმადიდებლური
ხატი, კირილო-გეროზელის მონასტარი,
რუსეთი, 1497 წელი**



**კველი ალექსის სამეზის ხატი,
ანდრია რუზლიოვი, მარცხნიდან:
მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა**

სამება არის ჭეშმარიტად ერთი ღმერთი, სამპიროვანი ღმერთი: **მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა ღმერთი**. წმინდა სამების ამ ერთი მხრივ არაჩვეულებრივი ბუნების აღსაქმელად წმინდა მამები სამებას მზეს ადარებდნენ, რადგანაც არის პლანეტა მზე, რომლისგან გამოდის სითბო და სინათლე. საოცარია, მაგრამ ამ შეხედულებას თავისებური ანარეკლი აქვს რეალობაშიც. მოგეხსენებათ რომ, მზე რომლიდანაც სითბო და სინათლე მოედინება, შეესაბამება მამა ღმერთს, სითბო — სულიწმინდა ღმერთს, ხოლო სინათლე — ძე ღმერთს. ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, არის იესო ქრისტე.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც სინათლეს აქვს ორი ბუნება, დიახ ორი ბუნება: ტალღური და კორპუსკულური (ფოტონები), ასევე, ძე ღმერთსაც აქვს ორი ბუნება: ღვთაებრივი და განკაცების შემდეგ კაცობრივიც.

ღვთის განცხადებისას ძე ნათელს იღებდა, სულიწმინდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ“.

ქრისტიანული ნათლობა უფლისგან არის დადგენილი, როდესაც თვითონ უფალმა ნათელი ილო იოანე ნათლისმცემელისგან. იოანე ნათლისმცემელი ნათლობის ჟამს ამბობს: ესე არს ტარიგი ღმრთისა და თავის მოწაფეებს მიუთითებს, რომ მისულიყვნენ და დამოწაფებოდნენ მაცხოვარს, ანუ თვითონ ნათლისღების ჟამს, როდესაც მაცხოვარი ნათელს იღებს, იოანე ეუბნება, მე მეკუთვნის შენგან ნათლისღება და შენ ჩემგან ღებულობა ნათლისაო. უფალმა მიიღო ნათლობა იოანესგან, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება და ამ დროს ყველამ დაინახა, როგორ დაადგა მაცხოვარს მტრედის სახით სულიწმინდის მადლი და ხმა ისმის,

ესე არს ძე ჩემი და მას უსმინეთო.

ეს არის განცხადება ქრისტიანული ცხოვრებისა და ნათლისღების მადლით, შთაფვლით ხდება ადამიანის მეორედ შობა. უფალი ამბობს: „ვინც მეორედ არ იშვას წყლისაგან, მან ვერ იხილოს ცათა სასუფეველი“. ამდღეს სამების საკატედრო ტაძარში პატრიარქის ნათლული ასობით ბავშვი ხდება. პირველი ნათლობა 2008 წელს გაიმართა. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე უკვე ათიათასობით ბავშვის ნათლიაა.

ბათუმში მეუფე დიმიტრიმ დაამკვიდრა ნათლისღებისთვის ტრადიციულად ზღვაში შესვლის რიტუალის ჩატარება. მიუხედავად იმისა, რომ ყინულივით ცივი წყალი და ცუდი ამინდია, ძალიან ბევრი მორწმუნე და მსურველი იკრიბება სანაპიროზე. ეს ტრადიცია — განბანვის ტრადიცია, უკვე რამდენიმე წელია, სრულდება, რადგან ნათლისღების მადლით, შთაფვლით ხდება ადამიანის მეორედ შობა.



ნათლისობის მართლმადიდებლური სატი,
კირილ-პროუპის მონასტერი, რუსეთი, 1497 წ.

დიმიტრი თაყაიძის ესკიზები



ISSN 1987-5908

